ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო
ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის
ნაწილი II

სოციალური უფლებები

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ფრანგული გამოცემა: Manuel sur les droits de l'homme pour les élus locaux et régionaux. Volume II – Droits sociaux

ამ გამოცემაში წარმოდგენილი მასალების გამოყენება ნებადართულია იმ პირობით, რომ წყარო მითითებული იყოს სრულად: ევროპის საბჭო. მასალების კომერციული მიზნით გამოყენების ან ევროპის საბჭოს რომელიმე არაოფიციალურ ენაზე თარგმნისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: publishing@coe.int

ბეჭდვა და გრაფიკული დიზაინი: OPTEMIS, სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი"

ფოტოები: ევროპის საბჭო - Shutterstock

გამოცემის თარიღი: თებერვალი, 2021

ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

ნაწილი II

სოციალური უფლებები

გამოცემის მასალები ხელმისაწვდომია ქვემოთ მითითებულ ვებგვერდზე, რომელიც რეგულარულად განახლდება ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში შემუშავებული ინიციატივებით

www.coe.int/congress-human-rights

დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით:

ევროპის საბჭო

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

მონიტორინგის კომიტეტი

Congress.monitoring@coe.int

ტელ: +33 3 88 41 21 10

გამოცემა ამავე სერიიდან:

ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

ნაწილი I: **ბრძოლა დისკრიმინაციის წინააღმდეგ**

გამოცემა: 2021 წლის თებერვალი

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

ანდერს კნაპე, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პრეზიდენტი 5

ჰერალდ ბერგმანი, კონგრესის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში 7

რისთვის არის საჭირო ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო? 11

რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა? 12

სოციალური უფლებები, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა როლი 15

სოციალური უფლებები COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში 17

სოციალურ უფლებათა დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტები 21

როგორ უნდა დაიცვას და განავითაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოციალური უფლებები? 24

ძირითადი გამოწვევები 25

განათლების უფლება 33

განმარტება 34

რეაგირების მაგალითები 35

რეკომენდაციები 42

შრომის უფლება 45

განმარტება 46

რეაგირების მაგალითები 48

რეკომენდაციები 65

საცხოვრისის უფლება 67

განმარტება 68

რეაგირების მაგალითები 69

რეკომენდაციები 78

ჯანმრთელობის უფლება 81
- განმარტება 82
- რეაგირების მაგალითები 83
- რეკომენდაციები 90

სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება 93
- განმარტება 94
- რეაგირების მაგალითები 95
- რეკომენდაციები 108

სოციალური ინკლუზიისა და ინტეგრაციის უფლება 111
- განმარტება 112
- რეაგირების მაგალითები 113
- რეკომენდაციები 129

გამოყენებული წყაროები და დამატებითი საკითხავი 130

შენიშვნები 132

ანდერს კნაპე

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პრეზიდენტი (2018-2021)

ამ წიგნის გამოცემით, კონგრესი აგრძელებს მუშაობას ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოების სერიაზე, რომელიც განკუთვნილია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის. ეს საქმიანობა კონგრესმა 2018 წელს დაიწყო, როდესაც გამოსცა სახელმძღვანელოს I ნაწილი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ (კერძოდ, ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების, მიგრანტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ბოშების, მოგზაურებისა და ლგბტი პირების მიმართ).

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ I ნაწილი წარმატებული აღმოჩნდა: გამოცემით დაინტერესდნენ არა მხოლოდ მთელი ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, არამედ ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

ამ წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კონგრესმა მოამზადა ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოს II ნაწილი, რომელიც შეეხება სოციალურ უფლებებს. გამოცემა შემუშავდა კონგრესის ყველა წევრისა და პარტნიორის ჩართულობით და მინდა, მადლობა გადავუხადო მათ ამ წვლილისათვის.

სოციალური უფლებები სახელმძღვანელოს თემად განისაზღვრა კონგრესში გამართული ფართო დისკუსიების შედეგად, რომელთა ფარგლებშიც განიხილებოდა ადგილობრივ პოლიტიკაზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე საკითხები. მე მხოლოდ მხარს ვუჭერ ამ გადაწყვეტილებას, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული პოლიტიკოსი და პრაქტიკოსი - კარლსტადის მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრი, ასევე, შვედეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა და რეგიონთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება უნდა იცავდეს და ხელს უწყობდეს სოციალურ უფლებებს, რათა შეასრულოს სხვადასხვა სფეროში ადამიანის უფლებათა კუთხით აღებული ვალდებულებები. მათ შორისაა: საცხოვრებლით უზრუნველყოფა, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური და სამედიცინო დახმარება, სოციალური

კეთილდღეობა. ამასთან, ეს ხელს შეუწყობს ადამიანური ღირსების დაცვას, სოციალურ მართლმსაჯულებასა და კეთილდღეობას, და სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოების შექმნას - მიზნებს, რომლებსაც ცალსახად ესწრაფვის თითოეული ჩვენგანი.

ამავდროულად, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფა გარკვეული გამოწვევაა ხელისუფლების ყველა დონეზე და ევროპის საბჭოს თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, რა სამართლებრივი ვალდებულებები აქვთ ნაკისრი ამ სფეროში (როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე).

ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა Covid-19-ის მსოფლიო პანდემიის პირობებში, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიკური რეცესიის ტენდენციები, საჯარო რესურსების დეფიციტი და მზარდი სოციალური დაძაბულობები. ამ სირთულეების მიუხედავად, ჩვენ, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, ვალდებულნი ვართ, გავაგრძელოთ საკუთარი მოვალეობების შესრულება სოციალურ უფლებათა სფეროში, სოციალური თანასწორობის, სოლიდარობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთა შესაბამისად.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, თავი მოუყაროს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობათა მიერ სოციალური უფლებების განხორციელებაში.

მჯერა, რომ არსებული სანიტარიული კრიზისის პირობებში ჩვენ გვეძლევა ერთად მუშაობის შესაძლებლობა, რათა შევქმნათ ყველასთვის ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ინკლუზიური მომავალი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და სოციალური მართლმსაჯულების ფასეულობებით.

ჰერალდ ბერგმანი

კონგრესის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში (2015-2021)

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოს II ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის და სოციალურ უფლებებს ეხება. მისი მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეულ წარმომადგენლებს, ასევე, მათი ადმინისტრაციების თანამშრომლებს, რომ გადაწყვეტილებები მიიღონ სოციალურ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით. წინამდებარე სახელმძღვანელო ავლენს საუკეთესო პრაქტიკას და შეიცავს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სოციალურ უფლებათა განხორციელება ამ ორ დონეზე.

სახელმძღვანელო ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფია და მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა მის მომზადებაში.

გამოცემა ხაზს უსვამს სოციალურ უფლებათა მნიშვნელობას ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაში. COVID-19-ის პანდემიის დროს კიდევ უფრო გაიზარდა მათი როლი სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში. მერები და წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები კვლავაც სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე რეაგირების წინა ხაზზე დგანან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კრიზისის გავლენათა შემცირებაში (განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ შექმნილმა ვითარებამ, ჯანმრთელობის უფლების გარდა, ბევრ სხვა უფლებაზეც იმოქმედა).

სახელმძღვანელო განიხილავს სოციალურ უფლებათა არსს და თითოეულ კატეგორიას ცალკე თემატურ თავს უძღვნის (მაგ: „განათლების უფლება“, „დასაქმების უფლება“, „უფლება საცხოვრებელ ადგილზე“, „ჯანმრთელობის უფლება“ და ა.შ.). გამოცემა აღწერს იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება აწყდება სოციალურ უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობისას.

ამ გამოწვევათა დაძლევაში ადგილობრივი ხელისუფლების დასახმარებლად, სახელმძღვანელო ეყრდნობა შესაბამის გამოცდილებას - 65 მაგალითს, სადაც ასახულია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მიერ

სოციალურ უფლებათა წარმატებით განხორციელება ევროპაში. ნაშრომში წარმოდგენილია პრაქტიკული რჩევებიც ლოკალურ დონეზე ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად.

თითოეული თემატური თავი შეიცავს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მოქალაქეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების სიახლოვე ადამიანებზე ფოკუსირებული და გეოგრაფიულად ორიენტირებული პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც მიემართება სოციალურ უფლებათა რეალიზაციას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

მტკიცედ მჯერა, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კარგი პრაქტიკა მყარ საფუძველს შექმნის ერთობლივად სწავლისთვის, შთაგონებისა და ქალაქთაშორისი თანამშრომლობისთვის.

ვფიქრობ, გამოცემა დააკმაყოფილებს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა საჭიროებებს და დაგვეხმარება უკეთესი პოლიტიკის შექმნა-განხორციელებაში. ვიმედოვნებ, რომ ის სასარგებლო იქნება ყველასთვის, ვისაც სურს ჩვენს საზოგადოებაში არსებული სოციალური პირობების გაუმჯობესება.

როგორც ჰოლანდიის ქალაქ მიდელბურგის მერი, სახელმძღვანელოს II ნაწილს ჩემს საქმიანობაში ისევე აქტიურად გამოვიყენებ, როგორც I ნაწილს, და თქვენც იმავეს გირჩევდით.

რისთვის არის საჭირო ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო?

რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა?

ადამიანის უფლებათა დაცვა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ძირითადი მიზანი, პასუხისმგებლობა და პოლიტიკური შესაძლებლობაა. ეს ორგანოები მთავარ როლს ასრულებენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ხელშეწყობასა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაში. ადგილობრივი მთავრობა ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან, რაც ნიშნავს, რომ მის წევრებს სხვებზე უკეთ ესმით მოქალაქეთა საჭიროებები და მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ამ კუთხით, მაშინაც კი, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება კრიზისში ან პოლიტიკურ ჩიხშია.

2015 წლის საბოლოო ანგარიშში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტმა დაადასტურა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა სავალდებულოა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. ბევრ ქვეყანაში მუნიციპალური ფუნქციები პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებებს და გარანტირებულია კონსტიტუციით, ხოლო სხვა სახელმწიფოები მუდმივი ძალისხმევით ცდილობენ ადამიანის უფლებათა ინტეგრირებას ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკაში.

ამის გათვალისწინებით, 2018 წელს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა[1] გამოსცა ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოს I ტომი. ნაშრომის მიზანია ადგილობრივი და რეგიონული დონის საჯარო ადმინისტრაციათა დახმარება, რომ გადაწყვეტილებები მიიღონ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით. I ტომი ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, ასევე, როგორ აისახება ეს საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დაცვასა და ინტეგრაციაში.

ადამიანის უფლებები უნივერსალური და განუყოფელია, თუმცა მათი კლასიფიცირების ყველაზე მყარი გზა გახლავთ თაობებად დაყოფა, იმ თანმიმდევრობით, რომლითაც შემუშავდა.[2] დისკრიმინაციის აკრძალვა, რომელსაც სახელმძღვანელოს I ტომი განიხილავს, თანასწორობის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ, თანასწორობა განეკუთვნება ფუნდამენტურ უფლებათა ე.წ. „პირველ თაობას“, რომელიც მოიცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს და მთავრობას ავალდებულებს გარკვეული

საქმიანობისგან (ამ შემთხვევაში, დისკრიმინაციისგან) თავშეკავებას.

ამ „უარყოფითი“ („თავშეკავების“) მოვალეობების გარდა, ფუნდამენტური უფლებები სახელმწიფოებს აკისრებს დადებითად ჩარევის ვალდებულებასაც, რომელიც II მსოფლიო ომის შემდგომ წარმოიშვა. უფლებათა „მეორე თაობა“ შეეხება ადამიანთა ერთად ცხოვრებასა და მუშაობას. ეს არის სოციალური და ეკონომიკური უფლებები, რომლებითაც თითოეული ადამიანისთვის გარანტირებულია ისეთი პირობების შექმნა, სადაც შეძლებს საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებას განათლების, ჯანდაცვის, საცხოვრებლის, დასაქმებისა და სხვა სოციალური სიკეთეების კუთხით.

მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს უფლებათა დაყოფას, ერთი მხრივ, სამოქალაქო და პოლიტიკურ და, მეორე მხრივ, სოციალურ უფლებებად, ეფუძნება გაეროს მიერ 1966 წელს მიღებული ორი დოკუმენტი: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)[3] და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR).[4] ევროპის საბჭოში შემუშავდა ორი სხვადასხვა ხელშეკრულება: 1950 წლის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ[5] და 1961 წლის ევროპის სოციალური ქარტია (გადახედილია 1996 წელს).[6] ეს ხელშეკრულებები ერთმანეთს ავსებენ, ვინაიდან პოლიტიკურ უფლებათა გარკვეული ასპექტები სოციალურ უფლებებს უკავშირდება, და პირიქით.[7] მაგალითად, სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვის უფლება (სამოქალაქო უფლებები) მჭიდროდ უკავშირდება ჯანდაცვის უფლებას (სოციალური უფლებები), ხოლო ოჯახური ცხოვრების პატივისცემისა და დაცვის უფლებას (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები) შეიძლება კავშირი ჰქონდეს ეკონომიკური დაცვის ან დედობის დაცვის უფლებასთან (სოციალური უფლებები).

ცრუ ინფორმაცია

სოციალური უფლებები მეორეული უფლებებია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დამხმარე უფლებებად მიიჩნევა.

ფაქტი

ადამიანის უფლებათა შორის იერარქია არ არსებობს - ყველა უფლება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. ადამიანური ღირსება მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ჩარევა, გათვალისწინებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. სოციალური უფლებები არ არის მხოლოდ საჯარო ხელისუფლების მიერ მინიჭებული სიკეთე - ისინი შეუცვლელია ადამიანის ღირსებისთვის და მოქალაქეთა ფუნდამენტური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ეს დაიმახსოვრეთ!

სოციალურ უფლებათა მეშვეობით, ადამიანებს დაკმაყოფილებული აქვთ საბაზისო საჭიროებები და შეუძლიათ ღირსეულად ცხოვრება. ამ უფლებებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ისეთი კუთხით, როგორიცაა ადამიანთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, მათი კმაყოფილება, ნდობის ჩამოყალიბება არსებული პოლიტიკური სისტემისა და საჯარო ხელისუფლების მიმართ, ასევე, წვლილის შეიტანა ადგილობრივ თემში და მისი დახმარება.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, თავი მოუყაროს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა წარმატებული ძალისხმევის მაგალითებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში; ასევე, ხელი შეუწყოს სოციალურ უფლებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მიღებას.

უფრო კონკრეტულად, გამოცემაში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა განხორციელების კარგი მაგალითები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ადგილობრივი მმართველობების პრაქტიკიდან, კერძოდ, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურ უფლებათა ჭრილში (განათლების უფლება, შრომის უფლება, უფლება საცხოვრებელ ადგილზე, ჯანმრთელობის უფლება, სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება, სოციალური ინკლუზიისა და ინტეგრაციის უფლება).

სოციალური უფლებები, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა როლი

როგორც კონგრესმა აღნიშნა,[8] ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს შეუძლიათ, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულონ სოციალურ უფლებათა განხორციელებაში. ამასთან, ევროკომისიის ბოლოდროინდელი ანგარიშის თანახმად, ევროპაში ქალაქები უფრო ახლოს დგანან განათლებისა და სიღარიბის დაძლევის მიზნებთან, ვიდრე სოფლები.[9] ვინაიდან ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს არიან და სხვებზე უკეთ იციან, რომელი სოციალური გამოწვევებია დასაძლევი, მათ უნიკალური შესაძლებლობა აქვთ, რომ შეიმუშაონ პრობლემის გადაჭრის გზები, ორიენტირებული ადამიანებსა და კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე, და დააკმაყოფილონ მოქალაქეთა სოციალური საჭიროებები. მოსახლეობასთან სიახლოვე ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, ჰქონდეს რეაგირების უნარი, ასევე, იყოს საზრიანი და ინოვაციური.[10] ცენტრალური დონისგან განსხვავებით, სადაც მოქმედებს უნიფიცირებული (არა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული) სტრატეგიები,

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ხელმისაწვდომია ქმედებათა უფრო მრავალფეროვანი სპექტრი.

ადგილობრივი ხელისუფლების სიახლოვე მოქალაქეებსა და მომსახურების მიმწოდებლებთან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაში. ამ ორგანოებზეა დამოკიდებული ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვაც, როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტია. სოციალური უფლებები (მაგ: უფლება საცხოვრებელ ადგილზე, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევა და სოციალური უზრუნველყოფის სერვისების მიღება) ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა მიერ ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებაში. ხშირად, აღნიშნული ორგანოები ზრუნავენ ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა: შშმ პირთა უფლებები; ოჯახების, ბავშვებისა და მოზარდების უფლებები სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე; ხანდაზმულთა უფლებები; და მოქალაქეთა უფლებები სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დასაცავად.

ამავდროულად, სოციალურ უფლებათა განხორციელება და ხელშეწყობა არ არის მხოლოდ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა პირდაპირი და მკაფიო პასუხისმგებლობა, განპირობებული მოქალაქეებთან სიახლოვით. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორიცაა სოციალური ერთიანობა, მოქალაქეთა ბედნიერება და მდგრადი და მიმზიდველი თემის ჩამოყალიბება გრძელვადიან პერსპექტივაში.

როდესაც ადგილობრივ დონეზე მიეწოდება ადეკვატური სოციალური სერვისები (საცხოვრებლის უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და დასაქმება), მოქალაქეები თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობენ. მათ უყალიბდებათ ნდობა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მიმართ და უჩნდებათ თემში დარჩენისა და მისი დახმარების სურვილი.

ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო შესაძლებლობები ახალგაზრდებს სთავაზობს უნარების განვითარებას, კარიერულ წინსვლასა და გაძლიერებას. ეს ეხება ყველა თაობის ადამიანს. შესაბამისად, განათლებას პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა. მომავალში, გამოწვევებზე ერთობლივი რეაგირებისათვის, მათ დასჭირდებათ ამ ახალგაზრდების ნიჭი.

Პირველ პონაწილეობა!

სოციალურ უფლებებში ინვესტირებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თემისთვის. შესაბამისად, ის უნდა მოექცეს იმ პროექტთა და ძალისხმევათა ცენტრში, რომელთა მიზანია მდგრადი საზოგადოების შექმნა.

სოციალური უფლებები COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში

ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი მაგალითია სოციალურ უფლებათა დაცვა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე COVID-19-ის პანდემიისას. პანდემიის გავლენა სოციალურ უფლებებზე საყურადღებო და მრავალგანზომილებიანია: კერძოდ, ის შეეხო სოციალურ უფლებათა არაერთ კატეგორიას და არ შემოფარგლულა მხოლოდ ჯანმრთელობის უფლებაზე ზემოქმედებით. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა ხელს უწყობს კატასტროფებისა

ცრუ ინფორმაცია

ჯანდაცვის გლობალური კრიზისის დროს ხელისუფლებას შეუძლია, უარი თქვას სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულებაზე..

ფაქტი

ადამიანის უფლებათა სამართალი ცალსახად არ აძლევს სახელმწიფოებს ნებართვას, რომ საგანგებო სიტუაციებში უარი თქვან ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულებაზე. მეტიც, თემი, სადაც დაცულია შრომის, საცხოვრებლისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებები, გაცილებით მედეგია და შეუძლია, კრიზისის რეჟიმიდან გადავიდეს პანდემიის შედეგების მართვაზე.

და კონფლიქტებისთვის მზაობასა და შემდგომ აღდგენასაც. კვლევები ადასტურებს, რომ სისტემური დისკრიმინაცია, უთანასწორობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობაში, ხელს უწყობს ან ამწვავებს სოციალურ და პოლიტიკურ დაძაბულობას, იწვევს კონფლიქტს, აუარესებს კატასტროფის შედეგებს და გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის აღდგენისკენ სავალ გზაზე.

ადგილობრივი მთავრობა პანდემიის შედეგების მართვის წინა ხაზზეა. სწორედ მათ უნდა დაიცვან ბალანსი, ერთი მხრივ, ჯანდაცვის კრიზისზე რეაგირებასა და, მეორე მხრივ, პანდემიის სოციალურ და ეკონომიკურ გავლენათა შემცირებას შორის. მაშინაც კი, როდესაც პანდემიას გავლენა აქვს სამუშაო ადგილებზე, ადგილობრივმა მმართველობამ უნდა გააგრძელოს ძირითადი სერვისების მიწოდება და მოიძიოს კრიზისის გადაჭრის უპრეცედენტო გზები. ეს ორგანოები კრიტიკულ როლს ასრულებენ სოლიდარობის ჩამოყალიბებაშიც, რათა სამოქალაქო საზოგადოებამ შეძლოს გაერთიანება და წვლილის შეტანა თემის გაძლიერებაში.[11]

გარდა იმისა, რომ მწვავე საფრთხე შეუქმნა ადამიანთა ჯანმრთელობას, COVID-19-ის პანდემიამ ნათლად დაგვანახა ისიც, თუ რამდენად მჭიდროდ უკავშირდება ჯანმრთელობის უფლება სხვა სოციალურ უფლებებს, როგორიცაა საცხოვრებელი ადგილისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებები.

ჯანდაცვის კრიზისში მთავრობა იმედოვნებდა, რომ ადამიანები შინ დარჩებოდნენ და ასე აირიდებდნენ ვირუსის გავრცელებას. უსაფრთხო საცხოვრებელზე წვდომით, ხელისუფლება იცავდა არა მხოლოდ უსახლკარო ადამიანებსა და არაფორმალურ დასახლებაში მცხოვრებთ (მათ უზრუნველყოფდა სათანადო სანიტარიული პირობებით), არამედ მთლიან მოსახლეობასაც, რადგან შინ დარჩენით პანდემიის მრუდი იკლებდა. კარანტინი და იზოლაცია იქცა მთავრობათა მიერ მიღებული გადაუდებელი ზომების ძირითად ნაწილად. ასეთი ღონისძიებებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა საცხოვრისის უფლების დაცვა. ადგილობრივი მთავრობა წამყვან როლს ასრულებს გასახლების პრევენციაში, ასევე, იმ მუშაკთა დაცვაში, რომელთაც თავიანთი ხელფასები ვერ შეინარჩუნეს, ან კრიზისის პერიოდში ბინის ქირას ვეღარ იხდიან. სათანადო საცხოვრებელი კორონავირუსისგან დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

აუცილებელია უსახლკაროთა უზრუნველყოფა გრძელვადიანი საცხოვრებლით, რადგან ეს გაზრდის ჩვენი საზოგადოების შესაძლებლობას, რომ მომავალში უკეთ გაუმკლავდეს კრიზისებსა და პანდემიებს. ჯანმრთელობის

მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ოფისმა 2019 წლის ანგარიშში, რომელიც შეეხება თანასწორობას ჯანმრთელობის კუთხით, განაცხადა, რომ ასეთი უთანასწორობის აღმოფხვრის ყველაზე ხარჯთეფექტური გზა არის ინვესტირება საცხოვრებელ ადგილებში, ასევე, მათ კეთილმოწყობაში ადგილობრივ დონეზე.[12]

საბოლოოჯამში,კრიზისმაგარკვეული გამოწვევები შეუქმნა სოციალურ უფლებებს: როგორ უნდა დავიცვათ ადამიანები მოხუცებულთა სახლებსა თუ თავშესაფრებში? როგორ შევამციროთ უსახლკარობის რისკი? როგორ უნდა შევძლოთ განათლების უფლების განხორციელება დროებით დაკეტილი სკოლების პირობებში?

ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ კუთხით, ვინაიდან სწორედ მათი პასუხისმგებლობაა პირველადი რეაგირება და იმ ხარვეზებთან გამკლავება, რომლებიც პანდემიამ გამოააშკარავა. სწორედ ისინი არიან ადგილობრივი საზოგადოების მოწყვლად წევრთა უპირველესი დამცველები. ამ და სამომავლო კრიზისზე ეფექტიანად რეაგირებისათვის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა განამტკიცოს **აქტიური სწავლის შესაძლებლობები** და ქალაქებს შორის კომუნიკაცია, ასევე, გააუმჯობესოს ინფორმაციის გაცვლა. მან ხელი უნდა შეუწყოს **ქალაქებს შორის თანამშრომლობასაც,** პრევენციის, გამკლავებისა და აღდგენის კუთხით.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კარგი პრაქტიკის მაგალითები შესანიშნავ საფუძველს შექმნის ერთობლივი სწავლის, შთაგონებისა და ქალაქთაშორისი თანამშრომლობისთვის.

ეს დაკავშირებულია

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რადგან სწორედ ისინი რეაგირებენ ხარვეზებზე, რომლებიც თვალსაჩინო გახდა Covid-19-ის პანდემიისა და სხვა მნიშვნელოვანი კრიზისების ფონზე.

ეს საინტერესოა

კონგრესის COVID-19-ის ცენტრი



https://covid-congress-hub.org/en/

Covid-19-ის პანდემიაზე რეაგირებისთვის, ევროპის საბჭოს კონგრესმა რამდენიმე ინიციატივა წამოიწყო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა მხარდასაჭერად, ვინაიდან ისინი, განსაკუთრებული პასუხისმგებლობებისა და მოქალაქეებთან სიახლოვის გამო, ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებიან. კრიზისის ადრეული ეტაპებიდანვე აშკარა იყო მთავრობის კოორდინირებული ქმედების საჭიროება ყველა დონეზე, ვინაიდან პანდემიის შედეგები საფრთხეს უქმნიდა როგორც ადამიანთა სიცოცხლეს, ისე დემოკრატიის ფუნქციონირებას.

კონგრესმა შექმნა ონლაინცენტრი, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების, პარტნიორი ქსელებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოყენებულ საშუალებებზე. ინტერაქტიული მოდულები ქალაქებსა და რეგიონებს საშუალებას აძლევს, პირდაპირი წვლილი შეიტანონ პროცესში და სხვებსაც გაუზიარონ თავიანთი ინიციატივები.

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩმა, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის გამოსცა ინსტრუმენტთა კრებული, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პატივისცემას Covid-19-ის კრიზისის პირობებში (https://www.coe.int/en/ web/congress/covid-19-toolkits).

იცით თუ არა, რომ?

არაერთი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტი იცავს სოციალურ უფლებებს.

ადამიანის უფლებათა სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი კანონია **ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი,** რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

ევროპის საბჭოს ორი ხელშეკრულება ფუნდამენტურ დებულებებს შეიცავს სოციალურ უფლებებზე. ესენია:

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR); და
- ევროპის სოციალური ქარტია (გადახედილი).

სოციალურ უფლებათა დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) და მისი ოქმები, ძირითადად, იცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, თუმცა მისი გარკვეული დებულებები პირდაპირ უკავშირდება სოციალურ უფლებებს. ამასთან, კონვენციითა და მისი ოქმებით დადგენილი რამდენიმე უფლება, რომლებიც არ მიიჩნევა სოციალურ უფლებებად, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების გარკვეულ ასპექტებსაც მოიცავს. თავად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „კონვენცია ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, თუმცა არაერთ მათგანს სოციალური ან ეკონომიკური გავლენაც აქვს“.[13] შესაბამისად, კონვენციის განმარტება შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკურ და

სოციალურ უფლებებზეც, რადგან „არ არსებობს მკაფიო გამყოფი ამ და კონვენციით დაცულ სფეროებს შორის.“

ევროპული სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი საერთაშორისო ინსტრუმენტი: ევროპის სოციალური ქარტია - ევროპის საბჭოს წევრებისთვის, და ევროპის სოციალურ უფლებათა სვეტი - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის.

- **ევროპის სოციალური ქარტია**[14] არის ევროპის საბჭოს ხელშეკრულება, რომელიც გარანტირებულად იცავს ფუნდამენტურ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს; ეს არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა დამცველი ხელშეკრულების - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგი. ქარტია გარანტირებულად იცავს იმ უფლებათა ფართო სპექტრს, რომლებითაც ადამიანები ყოველდღიურად სარგებლობენ (მაგ: შრომის, საცხოვრებლის, ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებები). ქარტიის სისტემის ფარგლებში მოქმედებს მონიტორინგის ორი განსხვავებული პროცედურა: სახელმწიფოს მიერ ანგარიშგება და კოლექტიური საჩივრების პროცედურა.[15] ქარტიის სისტემის გასამყარებლად, 2014 წელს შეიქმნა „ტურინის პროცესი“, რომელსაც უნდა გაეუმჯობესებინა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა განხორციელება კონტინენტურ დონეზე. **ადგილობრივი და რეგიონული მთავრობები ამ კუთხით განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, რადგან მათ შეუძლიათ, ხმა მიაწვდინონ მოქალაქეებს, აამაღლონ საზოგადოების ცნობიერება და გაავრცელონ ინფორმაცია ქარტიის შესახებ.**
- **ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტი (CDDH)** არის ევროპის საბჭოს ორგანო, რომელიც, მინისტრთა კომიტეტის დავალებით, აანალიზებს კონტინენტზე სოციალურ უფლებათა დაცვის სამართლებრივ ჩარჩოს. კერძოდ, CDDH-ს დაევალა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციისა და სხვა წყაროების ანალიზი, რის საფუძველზეც უნდა გამოავლინოს კარგი პრაქტიკა და წარმოადგინოს წინადადებები სოციალურ უფლებათა განხორციელების გასაუმჯობესებლად. მასვე ევალება კავშირის ხელშეწყობა სოციალურ უფლებათა დაცვის ევროპულ ინსტრუმენტებს შორის.[16]
- **ევროპის სოციალურ**

უფლებათა სვეტის[17] შესახებ ევროკავშირის ინსტიტუტებმა 2017 წლის ნოემბერში გამოცხადეს.[18] იგი ითვალისწინებს 20 ძირითად პრინციპს, რომლებიც მხარს უჭერს შრომის სამართლიან და ეფექტიან ბაზარს, სოციალურ დაცვასა და ინკლუზიას. დოკუმენტის პრეამბულაში მე-3 და მე-16 პუნქტები მკაფიოდ მიუთითებს ევროპის სოციალურ ქარტიაზე; ასევე განმარტებულია, რომ ევროპის სოციალურ უფლებათა სვეტი არ გამორიცხავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ან სოციალურ პარტნიორთა მიერ უფრო ამბიციური სტანდარტების დადგენას ამ სფეროში.[19]

- აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში ქალაქებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ იმ პოლიტიკურ ინიციატივათა მხარდაჭერაში, რომლებიც ევროპაში ხელს უწყობს ერთიანობასა და ინკლუზიას. კერძოდ, *Eurocities*-ის ფარგლებში, მერები ხელს აწერენ და აღიარებენ ევროპის სოციალურ უფლებათა სვეტის ერთ ან რამდენიმე პრინციპს, იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულებით სურთ პროგრესის მიღწევა ან ინვესტირება. დღეისათვის ინიციატივაში მონაწილეობს 20-ზე მეტი ქალაქის მერი.[20]

ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს ადამიანის უფლებათა არაერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი იცავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ბავშვის უფლებების კონვენცია (CRC);
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW);
- კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD);
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები (მათ შორის, კონვენცია ოჯახში დასაქმებულთა შესახებ).

იცით თუ არა, რომ?

სოციალური უფლებები უზრუნველყოფს ცხოვრების მინიმალურ სტანდარტს (მაგ: საცხოვრებლისა და განათლების კუთხით), ასევე, დასაქმების გონივრულ პირობებს; ყოველივე ეს კი ადამიანური ღირსების განუყოფელი ელემენტებია.

როგორ უნდა დაიცვას და განავითაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოციალური უფლებები?

ადამიანის უფლებათა განხორციელების კუთხით, საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

პატივისცემა: ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს მის იურისდიქციაში მყოფ პირთა უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევისგან. მაგალითად, ჯანმრთელობის უფლების შემთხვევაში, რომელიმე ჯგუფს ან თემს არ უნდა შეუზღუდოს წვდომა ჯანდაცვის ობიექტზე.

დაცვა: ხელისუფლება ვალდებულია, მიიღოს ზომები, რათა ადამიანის უფლებები დაიცვას მესამე მხარის ჩარევისგან. მაგალითად, ბავშვს არ უნდა შეეზღუდოს სკოლაში სიარულის შესაძლებლობა. დაცვის მოვალეობამ შეიძლება მოითხოვოს უსაფრთხო ურბანული გარემოს შექმნა (უფლება საცხოვრებელ ადგილზე), რაც შეამცირებს, მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობის რისკს.

განხორციელება: ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა უნდა გაატარონ პოზიტიური ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყონ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას.

ჩართულობა: მეოთხე მნიშვნელოვანი მინიმალური მოთხოვნა განსაკუთრებულად ეხება ადგილობრივ ხელისუფლებას. მას განიხილავს წინამდებარე სახელმძღვანელოს I ტომი, ნაწილში „ჩართულობა“. ჩართულობა მოიცავს ხმის მიწვდენას მოქალაქეებისთვის და მათი ცნობიერების ამაღლებას (განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ახლოს არის მოსახლეობასთან). ცნობიერების ასამაღლებელი ზომების გარდა, ჩართულობის მოვალეობა გულისხმობს ადამიანის უფლებათა ინტეგრირებას ადგილობრივ მთავრობათა საქმიანობაში (მაგ: ადგილობრივი საჯარო მოხელეებისთვის სისტემური ტრენინგის ჩატარებით ამ საკითხებზე).

როდესაც ვსაუბრობთ სკოლის ნაადრევად დატოვების პრობლემაზე, ამ პასუხისმგებლობათა ჭრილში ხელისუფლებას შეუძლია შემდეგი ზომების მიღება:

- ადრეული გაფრთხილების სისტემათა შექმნა პრევენციული ზომის სახით, რათა გამოვლინდეს მოსწავლის ჩართულობა კლასში და ზოგადი ქცევა;
- სოციალურ-ემოციური და ქცევითი მხარდაჭერა;
- კონსულტაცია და მენტორინგი, პროფესიული ორიენტაციისა და აკადემიური მხარდაჭერის ჩათვლით;
- მოსწავლეთა საჭიროებების მოსმენა, სასწავლო პროცესში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა და მოქნილი სასწავლო სტრატეგიების შეთავაზება.

ზემოთ დასახელებულ სამ პასუხისმგებლობაზე (**პატივისცემა, დაცვა და განხორციელება**) საუბრობს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტი თავის საბოლოო ანგარიშში HRC/30/49, რომელიც წარმოადგინა 2015 წლის აგვისტოში გამართულ მე-13 სესიაზე. დოკუმენტში განხილულია ადგილობრივი ხელისუფლების როლი ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის კუთხით.

მოსახლეობასთან **სიახლოვის** გათვალისწინებით, ადგილობრივი ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ უფლებათა ხელშეწყობაში. მას აქვს შესაძლებლობა, **მოახდინოს რეაგირება, ასევე, იყოს საზრიანი და ინოვაციური**. ამის მაგალითებს გვიჩვენებს წინამდებარე სახელმძღვანელოში შეტანილი საუკეთესო პრაქტიკა.

ძირითადი გამოწვევები

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სრული რეალიზება მთავარ მიზნად რჩება, თუმცა პროგრესული რეალიზაცია ითვალისწინებს ხელისუფლებისთვის მისაწვდომ რესურსებსაც: იგი აღიარებს, რომ ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება შეაფერხოს რესურსების ნაკლებობამ და დასახული მიზნის მიღწევა მხოლოდ დროთა განმავლობაში მოხერხდეს. ეს ნიშნავს, რომ შესაბამის მოვალეობათა შესასრულებლად სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები ფასდება ხელმისაწვდომი რესურსების (ფინანსური თუ სხვა) გათვალისწინებით.[21]

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან, როდესაც გაიღებენ ძალისხმევას სოციალურ უფლებათა ხელშეწყობისათვის.

ამ როლის შესრულებისას, ადგილობრივ ხელისუფლებას მთავარი გამოწვევები აქვს **პოლიტიკური** (მაგ: ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილება და კომპეტენცია, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შედარებით), **ადმინისტრაციული** (მაგ: კოორდინაცია ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის) და **ეკონომიკური** (მაგ: ლიმიტირებული ბიუჯეტი, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივ სოციალურ უზრუნველყოფას) კუთხით. ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის კოორდინაციისა და ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების გარდა, თანამედროვე მსოფლიოში არაერთი დამატებითი გამოწვევა არსებობს, რომელთა გადალახვაც მოეთხოვება ადგილობრივ ხელისუფლებას მოქალაქეთა სოციალური უფლებების პროგრესულად რეალიზებისთვის.

ეს გამოწვევები მომდინარეობს მოქალაქეთა მზარდი ინდივიდუალიზაციისა და დაუცველობისგანაც, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია **ტექნოლოგიებით გამოწვეული სწრაფი სოციალური ცვლილებებით** (მაგ: პროცესების ავტომატიზაცია, რომელიც სამუშაო ადგილებს ემუქრება; ადვილი წვდომა დიდი ოდენობის ინფორმაციაზე; და ცრუ ინფორმაცია). ამ მზარდ ბუნდოვანებათა ფონზე, მოქალაქეებს სკეპტიციზმი უჩნდებათ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი; ასევე, ეუფლებათ განცდა, რომ არ არიან საკმარისად ჩართულნი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. **პოლიტიკა, რომელიც ხაზს უსვამს სოციალურ უფლებებს, მთავრობას დაეხმარება მოქალაქეთა ნდობის დაბრუნებაში.**

სოციალური კრიზისი გაამწვავა ბოლოდროინდელმა **ფინანსურმა კრიზისმაც.** ღრმა და ხანგრძლივმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანთა დასაქმების პერსპექტივაზე, შემოსავალსა და საცხოვრებელ პირობებზე. 2020 წელს (მაისის მონაცემებით) OECD-ის ქვეყნებში[22], დაახლოებით, 54.5 მილიონი ადამიანი ეძებდა სამსახურს, რაც თითქმის 20 მილიონით აჭარბებს სამსახურის მაძიებელთა რაოდენობას 2007-2008 წლების ფინანსური კრიზისის დროს. მილიონობით ადამიანი იმყოფება ფინანსურ გასაჭირში. საბერძნეთში, ირლანდიასა და ესპანეთში გაორმაგდა იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც შემოსავლის გარეშე დარჩნენ. ფინანსურმა კრიზისმა ყველაზე მძიმე გავლენა იქონია დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე, ასევე, ახალგაზრდებსა და ბავშვიან ოჯახებზე.[23]

იცით თუ არა, რომ?

პროგრესული რეალიზაციის კონცეფცია

სოციალურ უფლებათა გააზრებისა და განხორციელების დონე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია მათ პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ განვითარებაზე. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება სოციალურ უფლებათა დაცვას, აუცილებელია, არსებობდეს „პროგრესული რეალიზაციის“ კონცეფცია. ეს კონცეფცია აღწერს სახელმწიფოს ვალდებულებათა მთავარ ასპექტებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებით.

ბოლო პერიოდში შრომის ბაზრის აქტივაციის ზომებმა უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მთავრობის ყველა დონეზე, მათ შორის, ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე. მკაცრ ეკონომიკურ ზომებთან დაკავშირებულ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს ეკონომიკური კრიზისი.[24] სახელმწიფო ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება სოციალურ უზრუნველყოფას. ამავდროულად, *Eurostat*-ის თანახმად, კრიზისის შედეგად შემცირდა სახელმწიფო ინვესტიციები, რამაც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივ ხელისუფლებაზე (2008 წლამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების შემთხვევაში აღინიშნა 12%-იანი შემცირება, მაშინ, როდესაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან შემცირების მაჩვენებელი იყო 8.1%). სოციალურ ხარჯებთან დაკავშირებით OECD-ის მიერ განახლებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივ დონეზე საერთო ინვესტირების მაჩვენებელი მცირდება.

ამავდროულად, მზარდი დიგიტალიზაციის შედეგად, **მოქალაქეთა ციფრული უნარები** აუცილებელი პირობა გახდა, განსაკუთრებით, განათლებასა და დასაქმებასთან მიმართებით.

შრომის უფლების კონტექსტში, საჭიროა ყურადღების გამახვილება სამუშაო ძალის ციფრული უნარების განვითარებაზე, ასევე, ციფრული სტრატეგიების შემუშავებაზე, რომლებითაც შესაძლებელი იქნება სოციალურ უფლებათა ჰარმონიზება ხელოვნური ინტელექტის აღმავლობასთან. სოციალური ინკლუზიის მხრივ, უაღრესად მნიშვნელოვანია ხანდაზმულ მოქალაქეთა ციფრული უნარების განვითარებაც. ქვემოთ წარმოდგენილი კარგი პრაქტიკა

სწორად გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ამ კუთხით, საჭიროა მეტის გაკეთება.

ახალი ბიზნესმოდელების წარმოშობა და სწრაფი დემოგრაფიული ცვლილებები ევროპაში მოითხოვს საზოგადოების წევრთა სოციალური უფლებების მტკიცედ დაცვას ადგილობრივ მთავრობათა მიერ. ევროპაში დასაქმებულთა ახალგაზრდა თაობას ახასიათებს **მობილურობა**. დასაქმების მოქნილი, არასტანდარტული ფორმები „ნაცრისფერი ზონების“ ახალ რისკებს წარმოშობს შრომით უფლებებსა და სოციალურ უზრუნველყოფაზე წვდომის კუთხით. შესაბამისად, დასაქმების პირობების მოქნილობა უნდა დაბალანსდეს შრომითი უფლებების დაცვასთან.

ამავდროულად, ევროპაში მოსახლეობის სტრუქტურა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. კერძოდ, დემოგრაფიული **დაბერება** მომავალ ათწლეულებში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება. ფაქტი, რომ შობადობის მაჩვენებელი სტაბილურად დაბალია, სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელი კი იზრდება, იწვევს ჩვენი საზოგადოებების ტრანსფორმაციას და მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას დაბერებისკენ ცვლის.

სამუშაო ასაკის პირთა რაოდენობა სულ უფრო მცირდება, საპენსიო ასაკის ადამიანთა რაოდენობა კი იმატებს. შედეგად, *Eurostat*-ის თანახმად, სწორედ სამუშაო ასაკის პირებს დააწვებათ მზარდი ტვირთი ხანდაზმული მოსახლეობისთვის საჭირო სერვისთა დასაფინანსებლად.[26]

და ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს **ინდივიდუალურ**

იცით თუ არა, რომ?

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (EU-28) 80 წელს ზემოთ მოსახლეობის რიცხვი 2018 წლიდან 2100 წლამდე, სავარაუდოდ, 5.6%-დან 14.6%-მდე გაიზრდება.[25] ამის გათვალისწინებით, მოქალაქეებმა და მთავრობებმა **უნდა შეცვალონ მიდგომა სოციალური უფლებებისადმი,** დაიცვან ხანდაზმული ადამიანები და, ამავდროულად, შეამცირონ ტვირთი მოსახლეობის დასაქმებულ ნაწილზე.

მოქალაქეთა როლი, ასევე, ინდივიდებსა და ადგილობრივ თუ რეგიონულ ხელისუფლებას შორის ინტერაქციის მნიშვნელობა სოციალურ უფლებათა ხელშესაწყობად. სოციალური უფლებები და პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს **ადამიანთა**

გაძლიერებას, ასევე, ინფორმირებას მინიჭებულ უფლებებზე, რათა გაიაზრონ თავიანთი უფლებების მნიშვნელობა და შეძლონ მათი მოთხოვნა და დაცვა. სოციალურ უფლებათა დაცვაზე მიმართული პოლიტიკის წარმატებულად განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანი წინაპირობაა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ასევე, ისეთი სერვისების მიწოდება, რომლებიც ყველაზე შორეულ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებამდეც აღწევს. მაგალითად, განათლების უფლების შემთხვევაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მთავრობის ინფორმაციამ და სერვისებმა მიაღწიოს ნაკლებად ინტეგრირებულ ახალგაზრდებამდეც, რომელთაც არ აქვთ მიზნები და ეუფლებათ განცდა, რომ ხელისუფლებას ისინი დაავიწყდა, ან რომ მომავალი მათ არ აქვთ. მსგავს ფიქრებს შეიძლება მძიმე სოციალური შედეგები მოჰყვეს, რომელთა შორისაც არის ძალადობა და დანაშაულებრივი ქმედებები. ამ ახალგაზრდების ხელახლა ინტეგრაცია განათლების სისტემაში რთული იქნება, რადგან უმეტესობა დაუცველ რაიონებში ცხოვრობს და სხვადასხვა პრობლემას განიცდის. მათ შორისაა ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება, სოციალური სირთულეები, დაბალი თავდაჯერებულობა, პერსონალის მართვის უნარების არქონა, შვილების არასათანადოდ აღზრდა და ა.შ. შესაბამისად, სკოლის მიტოვების პრევენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების მომავლისთვის, ასევე, ფართო საზოგადოებაში პრობლემათა ასარიდებლად.

ცნობიერების ამაღლება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ სოციალურმა პოლიტიკამ მოიპოვოს კერძო დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერა. მაგალითად, შრომის უფლებასთან მიმართებით, თავდაპირველად დამსაქმებელმა შეიძლება არ გაითვალისწინოს ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების მნიშვნელობა დასაქმებულისთვის, რომელიც ახალგაზრდა მშობელია.

ცრუ ინფორმაცია

სოციალურ უფლებათა რეალიზაცია ეკონომიკური ზრდის ბუნებრივი შედეგია.

ფაქტი

ეკონომიკური ზრდა ავტომატურად არ აისახება სოციალურ უფლებათა დაცვასა და გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება საზოგადოების ყველაზე მარგინალიზებულ წევრებს. ზრდასთან ერთად, საჭიროა კონკრეტული ეფექტიანი ქმედებები, როგორიცაა შშმ პირთა ფიზიკური წვდომა სკოლებსა და დასაქმებაზე, ან ზრუნვა იმაზე, რომ ხანდაზმული ადამიანები არ ჩამორჩნენ ტექნოლოგიურ განვითარებებს.

ხელისუფლებამ უნდა გააუმჯობესოს დამსაქმებელთა ცოდნა და აამაღლოს დასაქმებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერება საჭირო ინვესტიციებსა და პოტენციურ სარგებელზე. შედეგად, არაერთი საწარმოსა და მხარის ჩართულობით, დაინერგება მდგრადი ზომები სოციალურ უფლებათა დასაცავად.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან, თვალყური ადევნონ მწვავე გლობალურ პრობლემებს, მათ შორის, გამოწვეულს **სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიებით,** ან **კლიმატის ცვლილებით**. ეს პრობლემები გარკვეულ ცვლილებებს განაპირობებს როგორც შრომის ბაზარზე, ისე დასაქმების პირობებში. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ასეთ პრობლემებზე რეაგირების მაგალითი - კლიმატის დაცვა ე.წ. „მწვანე სამუშაო ადგილების“ შექმნით. ეს არის დასაქმებისა და მეწარმეობის შესაძლებლობა, რომელიც შეიქმნა გარემოზე ადამიანთა უარყოფითი გავლენის პრევენციით, შეზღუდვით, მინიმუმამდე შემცირებით ან კორექტირებით.[27] მწვანე სამუშაო ადგილები, ძირითადად, უკავშირდება შემდეგ საქმიანობებს: კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, ენერგიის წარმოება განახლებადი წყაროებიდან, გამოყოფილი ნახშირბადის დონის შემცირება, ენერგოეფექტურობის გაზრდა, ნარჩენებისა და წყლის მართვა, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების აღდგენა და შენარჩუნება. ასეთი ადგილები, როგორც წესი, ადგილობრივ დონეზე რჩება, რადგან შეუძლებელია მათი აუთსორსინგი. ამასთან, მწვანე ეკონომიკა მდგრადია ბიზნესის ციკლში განხორციელებული ცვლილებების მიმართ. წინამდებარე სახელმძღვანელოში

წარმოდგენილია ზაგრებისა და ბერლინის მაგალითები, რომლებიც შეეხება „მწვანე“ ასპექტების ინტეგრირებას სოციალური უფლებებისადმი მიდგომაში.

და ბოლოს, მომდევნო თავებში ნათლად ჩანს, რომ როდესაც საქმე ეხება სოციალურ უფლებებს, **ადგილობრივმა მთავრობამ უნდა ისარგებლოს მოქალაქეებთან სიახლოვით** და შეიმუშაოს მათ საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიები, ასევე, მრავალდონიანი, ინტეგრირებული მიდგომები. პრობლემის გადაჭრის გზები, რომლებიც მორგებულია ადამიანებსა და კონკრეტულ ტერიტორიებზე, ქალაქებს შორის ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობის გაზრდა, მოქალაქეთა გაძლიერება და მათი ჩართულობის ამაღლება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე სოციალურ უფლებათა რეალიზებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია.

და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კომპლექსური ცვლილებები მოითხოვს ჰოლისტიკურ აზროვნებას, უფლებათა კატეგორიებს შორის კავშირის დანახვას, ასევე, ინტერდისციპლინური და კომპლექსური მიდგომების გამოყენებას. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები თვალყურს უნდა ადევნებდნენ მიმდინარე ტექნოლოგიურ განვითარებებს. მათ უნდა აამაღლონ მოქალაქეთა ციფრული წიგნიერება და ხელი შეუწყონ „მწვანე“ და გრძელვადიანი ზომების მიღებას, რათა გადაჭრან პრობლემები სახელმძღვანელოში განხილული უფლებებით დაცულ სფეროებში.

W=2πf
sin²+co
PV=nRT
dn/dx
OH
OH
Δp=ρgh

განათლების უფლება

ნაწილი I **განმარტება**

განათლების უფლება უზრუნველყოფს წვდომას ხარისხიან სკოლაზე, ასევე, განათლებაზე, რომელიც მიემართება პიროვნების სრულ განვითარებას. იგი ადამიანებს აძლევს თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტიანი მონაწილეობის საშუალებას. განათლების უფლება გულისხმობს, რომ საჭიროა ინკლუზიური განათლების მიღწევა, ასევე, თანაბარი შესაძლებლობების (მათ შორის, არატრადიციული და ალტერნატიული საშუალებების) უზრუნველყოფა განათლების მისაღებად.

ევროპის ქალაქებში შედარებით მაღალია განათლებისა და სწავლების ნაადრევად მიტოვების (ELET) მაჩვენებელი. ეს სერიოზული გამოწვევაა, რადგან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს როგორც სოციალურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე (მაგ: იზრდება უმუშევრობის, სიღარიბის, მარგინალიზაციისა და სოციალური გარიყულობის რისკი). ამ პრობლემის გადაჭრა გულისხმობს დეპრივაციის, სიღარიბისა და უთანასწორობის თაობათაშორისი ციკლის გაწყვეტას.

იცით თუ არა, რომ?

განათლების უფლებასთან დაკავშირებული გამოწვევებია ურბანული მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მოუმზადებლობა, უპასუხონ შექმნილ გამოწვევებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სკოლის მიტოვების მაჩვენებელი. OECD-ის 2016 წლის ანგარიშში - „საზოგადოება ერთი შეხედვით“ - აღნიშნულია, რომ ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში 25-დან 34 წლამდე პირებს შორის ყოველი 6-დან ერთს არ დაუსრულებია საშუალო განათლების ზედა საფეხური. შედეგად, შეიძლება შეიქმნას სიღარიბისა და გაუნათლებლობის თაობათაშორისი „მოჯადოებული წრე“.

რეაგირების მაგალითები

„ოპერაცია წარმატება“ სკოლის მიტოვებასთან საბრძოლველად, გენტი, ბელგია[28]

მოსახლეობა: 248 358

სკოლის მიტოვების მაჩვენებლის შესამცირებლად, ქალაქ გენტში მიიღეს ადგილობრივი სტრატეგია, სახელწოდებით Operatie Geslaagd **(„ოპერაცია წარმატება“). იგი ითვალისწინებს უნიკალურ, ინტეგრირებულ და სხვადასხვა სერვისზე დაფუძნებულ მიდგომას და მოქმედებს 12 საშუალო სკოლაში. ამ პროექტის ფარგლებში შეძენილი გამოცდილება ამჟამად გამოიყენება ახალი პროექტისთვის, რომელიც გენტის ყველა საშუალო სკოლაში დაინერგება.**

2016-2020 წლებში გენტმა დაამტკიცა გეგმა, რომელიც მოიცავს 30 ღონისძიებას და მიზნად ისახავს სკოლის მიტოვების მაჩვენებლის შემცირებას 15%-დან 10%-მდე. ამ პროექტს გამოარჩევს ის, რომ ხორციელდება ადგილობრივი სამსახურების, მათ შორის, დასაქმების, კულტურის, სოციალურ და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე უწყებების ჩართულობით. იგი იყენებს ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურად სტუდენტებზე მორგებულ საკითხებს, ისე ზოგად ასპექტებს სისტემურ დონეზე. გეგმით გათვალისწინებულ 30 ღონისძიებაში შედის: ადრეული გაფრთხილების სისტემის ოპტიმიზაცია, მაღალი ხარისხის პროფესიული ორიენტაცია სკოლაში, ჰოლანდიური ენის გაკვეთილები უცხოელებისთვის, პარტნიორობა მშობლებსა და მასწავლებლებთან. გამოწვევებს შორის იყო სკოლების აქტიური ჩართულობა და ინდივიდუალურ პრიორიტეტთა ასახვა კონკრეტულ სამოქმედო გეგმაში.

ქ-ნი არვენ დევილდი
ელფოსტა: arwen.dewilde@stad.gent
ქ-ნი ჯესი დე ნეგელი
ელფოსტა: Jessie.DeNaeghel@stad.gent
City of Ghen, Botermarkt 1, 9000 Ghent, Belgium
ტელეფონი: +32/(0)92101010

GoLearn! - ლესტერშირის ზრდასრულთა სწავლების სამსახური ლოქდაუნის პირობებში, ლესტერშირი, გაერთიანებული სამეფო

მოსახლეობა: 698 268

იმისათვის, რომ ლოქდაუნის დროს საგანმანათლებლო შეთავაზებით საზოგადოების ყველა წევრს ესარგებლა, ლესტერშირის საოლქო საბჭომ გააფართოვა ზრდასრულთა სწავლების პლატფორმა - GoLearn: მან შექმნა დისტანციური სწავლების კურსები, ასევე, შეთავაზებები ოჯახებისა და დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლების დაკეტვის პერიოდში.

ლესტერშირის საოლქო საბჭოს პლატფორმაზე მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომია გაკვეთილები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ციფრული უნარები, ჟესტების ენა და კეთილდღეობა. გაკვეთილებზე დასწრება შესაძლებელია დროის სხვადასხვა მონაკვეთში - დღის განმავლობაში, საღამოს, ან უქმეებზე. COVID-19-ის გამო დაწესებულ შეზღუდვებზე საპასუხოდ, საბჭომ შექმნა ახალი ონლაინ სასწავლო პლატფორმა ზრდასრულებისა და ოჯახებისთვის, რომლით სარგებლობაც უფასოა. იგი ხელმისაწვდომია ახალგაზრდებისთვისაც. ამასთან, პლატფორმა მშობლებსა და მზრუნველებს მთელი ლესტერშირის მასშტაბით უზრუნველყოფს საშინაო სკოლის რესურსებით. **ადგილობრივი თემის** მხარდასაჭერად, *GoLearn*-ის შემქმნელებმა[29] ზრდასრულებისათვის განკუთვნილი სისტემა მოარგეს ახალგაზრდებს, რათა პლატფორმით მათაც ესარგებლათ. ჯგუფმა ონლაინ **ოჯახური სწავლებისთვის განკუთვნილ გვერდზე**[30] განათავსა უფასო საგანმანათლებლო რესურსები და აქტივობები. გვერდის გამოყენება ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია, 2020 წლის ზაფხულში კი მას დაემატა სახალისო ოჯახური აქტივობებიც. საბჭო ლესტერშირის მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ისარგებლონ ხელმისაწვდომი რესურსებით და მხარი დაუჭირონ ბავშვთა სწავლებას.

ლესტერშირის საოლქო საბჭო
ლესტერშირის ზრდასრულთა სწავლების სამსახური
Room 600, County Hall, Glenfield, LE3 8RL, United Kingdom
ტელეფონი: +44/(0)8009880308
ელფოსტა: adultlearning@leics.gov.uk

განათლება COVID-19-ის დროს, არხანგელსკი, რუსეთის ფედერაცია

მოსახლეობა: 346 979

ქალაქმა არხანგელსკმა შეიმუშავა სტრატეგიები, რათა COVID-19-ის საგანგებო მდგომარეობისას გაეგრძელებინა საგანმანათლებლო შესაძლებლობათა შეთავაზება. კერძოდ, დაინერგა დისტანციური და ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიები და მასწავლებლებს მეთოდოლოგიური მხარდაჭერა შესთავაზეს დისტანციური განათლების გამოწვევათა დასაძლევად; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ამოქმედდა ე.წ. „მორიგე ჯგუფები“ - იმ მუშაკთა ბავშვებისათვის, რომლებსაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა ლოქდაუნის დროს; მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული „ლედა ცენტრი“ მშობლებს, ბავშვებსა და მასწავლებლებს ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ და საკონსულტაციო დახმარებას უწევდა.

ელექტრონული და დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები არხანგელსკში 2020 წლის 19 მარტიდან გამოიყენება. მათთან ადაპტაციაში დასახმარებლად, მუნიციპალიტეტის განათლების დეპარტამენტის ოფიციალურ ვებსაიტზე მასწავლებელთათვის შეიქმნა „დისტანციური სწავლების ქსელური მოდელის“ გვერდი. სკოლამდელი, ზოგადი და შემდგომი განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან იმართებოდა საკონფერენციო ზარები. დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების პერიოდში მუნიციპალიტეტი სადილით უზრუნველყოფდა შშმ მოსწავლეებს, ასევე, მოსწავლეებს დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან.

ჯანდაცვის პროტოკოლების შესაბამისად, 2020 წლის 30 მარტიდან დღემდე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მოქმედებს მორიგე ჯგუფები, იმ საწარმოების თანამშრომელთა შვილებისთვის, რომელთაც არ შეუჩერებიათ საქმიანობა ლოქდაუნის პირობებში. რაც შეეხება სპეციალურ სამუშაო პირობებს, კორონავირუსის ინფექციის გავრცელებასთან საბრძოლველად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს ეპიდემიოლოგიური ღონისძიებები: ხელების დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით, სხეულის ტემპერატურის გაზომვა, ზედაპირებისა და სათამაშოების გაწმენდა სადეზინფექციო ხსნარებით. ეს დაწესებულებები პედაგოგიურ მხარდაჭერას უწევდნენ მშობლებს, რომელთა ბავშვებიც საბავშვო ბაღში არ დადიოდნენ. კერძოდ, ბაღების ოფიციალურ ვებსაიტებზე განთავსდა მასალები სახლში საბავშვო თამაშებისა და აქტივობების დასაგეგმად. ვებსაიტებზე ასევე ხელმისაწვდომია ვიდეოკონსულტაციები, ვირტუალური ტურები, მასტერკლასები, დიდაქტიკური თამაშები, რეკომენდაციები კორონავირუსის პრევენციაზე და სხვა მასალები.

ამასთან, ფსიქოლოგები მშობლებს სთავაზობდნენ სხვადასხვა ფორმის ინტერაქციას, მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული „ლედა ცენტრი“ კი ვიდეოკონფერენციებს მართავდა სტრესთან გამკლავების საკითხებზე. იგი უფასო ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ, მეთოდოლოგიურ და საკონსულტაციო დახმარებასაც აწვდიდა 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების, მათ შორის, შშმ არასრულწლოვნების მშობლებს, ასევე, მოქალაქეებს, რომელთაც ზრუნვის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მინდობით აღზრდა სურდათ.

დისტანციური განათლების ლიდერებსა და მასწავლებლებს არხანგელსკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა წერილები გაუგზავნა და მადლობა გადაუხადა გაწეული ძალისხმევისათვის.

ბ-ნი ალექსანდრ უტკინი
არხანგელსკის ქალაქის საბჭოს
გენერალური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
ტელეფონი: +7/(0)8182606899
ელფოსტა: utkinal@arhgorduma.ru

კამპანია „დაეხმარე შინ სწავლაში“, ვოლოგდა, რუსეთის ფედერაცია

მოსახლეობა: 317 329

როდესაც ყველა სკოლა დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა, ვოლოგდას მუნიციპალიტეტმა მოიძია სახსრები და კომპიუტერული ტექნიკის არმქონე ბავშვებისთვის ლეპტოპები და პლანშეტები შეიძინა, რათა მათ ჰქონოდათ ონლაინკურსებზე დასწრების შესაძლებლობა და არ ჩამორჩენოდნენ თანატოლებს.

კორონავირუსის გავრცელების გამო, 2020 წლის 6 აპრილს ვოლოგდაში სკოლები მთლიანად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ. ამ პროცესმა თვალნათლივ გამოაჩინა, რომ ბევრ მოსწავლეს არ ჰქონდა საჭირო მოწყობილობები და ინტერნეტი. კამპანიის - „დაეხმარე შინ სწავლაში“ - ფარგლებში, რომელიც რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დააფინანსა, მუნიციპალიტეტმა მოსწავლეებისთვის კომპიუტერები, ლეპტოპები და პლანშეტები შეიძინა, რათა მათ პანდემიის დროს დისტანციურად სწავლის შესაძლებლობა ჰქონოდათ. მუნიციპალიტეტის ძალისხმევის შედეგად, დისტანციური სწავლების პროცესში მხოლოდ მინიმალური ხარვეზები აღინიშნა. კომპიუტერული მოწყობილობები, ძირითადად, სჭირდებოდათ მრავალშვილიანი ოჯახების

წარმომადგენლებს. კერძოდ, COVID-19-ის პანდემიის დროს, ასეთ ოჯახებში კომპიუტერული ტექნიკა ერთდროულად ესაჭიროებოდათ როგორც ბავშვებს, ისე მშობლებს, რომლებიც დისტანციურად მუშაობდნენ.

ვოლოგდას ადგილობრივი დუმის დეპუტატები დაუყოვნებლივ შეუერთდნენ კამპანიას „დაეხმარე შინ სწავლაში“. მათ პირადი სახსრებით შეიძინეს 148 პლანშეტური კომპიუტერი შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, SIM ბარათებთან ერთად, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლომდე შეძლებდნენ ინტერნეტით სარგებლობას. ამის მიზანი იყო, ბავშვებს მაქსიმალურად მოკლე ვადებში მიეღოთ წვდომა ხარისხიან დისტანციურ სწავლებაზე. დეპუტატებმა კომპიუტერული მოწყობილობები პირადად გადასცეს მათ, უსაფრთხოების ზომების დაცვით.

ბ-ნი იური საპოჟნიკოვი
ვოლოგდას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი

ბ-ნი სერგეი ვოროპანოვი
ქალაქ ვოლოგდას მერი
ელფოსტა: duma@vgd35.ru
ელფოსტა: agv@vologda-city.ru

ბავშვები, სასკოლო განათლება და სკოლის, ბიბლიოთეკებისა და კულტურული დაწესებულებების მუშაკები COVID-19-ის პანდემიის დროს, თბილისი, საქართველო

მოსახლეობა: 1 114 000

თბილისის ბიუჯეტის 30%-ზე მეტი ხმარდება სოციალურ ზრუნვას. ლოქდაუნის დროს დაბალანსებული კვების შესანარჩუნებლად, დედაქალაქში ბაღის ათობით ათასი მოსწავლე რეგულარულად იღებდა უფასო სადილსა და ვახშამს.

2013 წლიდან ბაღში სწავლა უფასოა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში. რეგისტრაციისას პრიორიტეტი ენიჭებათ მოწყვლადი და დაუცველი ოჯახების შვილებს, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს. ბოლო წლებში, ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, თბილისის ბაღებში ბავშვების რაოდენობა 159-დან 181-მდე გაიზარდა. 2020 წლის მდგომარეობით, დედაქალაქში 62 000 ბავშვი იღებს სკოლამდელი აღზრდის მომსახურებას, რაც მოიცავს უფასო ნოყიერ საუზმეს, სადილსა და ვახშამსაც.

თბილისში, მუნიციპალურ დონეზე, სრულად არის დაფინანსებული სოციალურად დაუცველ ბავშვთა სწავლა ხელოვნების სკოლებში, ახალგაზრდულ ცენტრებში, სპორტულ სკოლებსა და ფიტნესცენტრებში. ლოქდაუნის დროს ამ მნიშვნელოვანი სფეროს მხარდასაჭერად, მუნიციპალიტეტმა ხელფასები შეუნარჩუნა შესაბამის დაწესებულებებში (მათ შორის, 181 ბაღსა და 36 ბიბლიოთეკაში) დასაქმებულ პირებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სარეაბილიტაციო ქვეპროგრამის მწვრთნელთა მხარდაჭერა აუტიზმის სპექტრული აშლილობის მქონე ბავშვებისთვის. შედეგად, სულ 10 000 დასაქმებულს შეუნარჩუნდა ხელფასი.

საკონტაქტო ინფორმაცია
შარტავას ქ. 7, თბილისი
ტელეფონი: +995/(0)2722222
ელფოსტა: info@tbilisi.gov.ge

კულტურათაშორისი პროექტები სკოლებში და სკოლების მიღმა, რეიკიავიკი, ისლანდია

მოსახლეობა: 122 853

კულტურათაშორისი პოლიტიკა ადამიანის უფლებათა პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ქალაქ რეიკიავიკში. სასკოლო განათლება, რეიკიავიკის საქალაქო ბიბლიოთეკა და ადგილობრივი კულტურული დაწესებულებები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ კულტურათაშორის მიდგომებზე.

ქალაქში სკოლები რეიკიავიკის კულტურათაშორისი პოლიტიკის შესაბამისად ფუნქციონირებენ. მათი უმრავლესობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ეროვნული კულტურისა და წარმომავლობის ასპექტებზე, არამედ ინდივიდუალურ ინტერესებსა და თითოეული ადამიანისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზეც. რეიკიავიკის საქალაქო ბიბლიოთეკა რეგულარულად აწყობს ღონისძიებებს ნებისმიერი წარმომავლობის პირთათვის. ეს ღონისძიებები მთელი ქალაქის მასშტაბით იმართება ბიბლიოთეკების ფილიალებში, მათ შორის, ბრეიდჰოლტშიც, სადაც ყველაზე მეტი იმიგრანტი ცხოვრობს. რეიკიავიკი განსაკუთრებულად უწყობს ხელს ღონისძიებათა ორგანიზებას იმიგრანტთა მიერ.

ქალაქის კულტურული დაწესებულებები სტუმართა მრავალფეროვან ჯგუფებს ემსახურებიან და შესაბამის გარემოს ქმნიან კავშირების დასამყარებლად, ასევე, კრეატიულობისა და კულტურული დიალოგისთვის. და ბოლოს,

რეიკიავიკის კულტურისა და ტურიზმის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა 2017-2020 წლების პოლიტიკა ქალაქში მრავალფეროვანი კულტურის შესახებ, სახელწოდებით „ფესვები და ფრთები: კულტურისა და ენების ფართო სპექტრის აღნიშვნის ხელოვნება“. ამ პოლიტიკის მიზანია, ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა კულტურულ განზომილებაზე.[31]

ქ-ნი გუდრუნ ელსა ტრიგვადოტირი
სამართლებრივი ექსპერტი
ქალაქ რეიკიავიკის მერია
ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის ოფისი
101 Reykjavík, Iceland
ტელეფონი: +354/(0)4114156
ელფოსტა: gudrun.elsa.tryggvadottir@reykjavik.is
www.rvk.is

ლანსიმაკის კომპლექსური სკოლა, ჰაკუნილას ოლქი, ვანტაა, ფინეთი

მოსახლეობა: 11 238

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის დახმარებით, ასევე, ამ ბანკსა და ქალაქ ვანტაას შორის 2020 წლის იანვარში მიღებული და 2020 წლის მაისში ხელმოწერილი სასესხო შეთანხმებით, ვანტაას სტრატეგიული სოციალური და ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ფარგლებში, შეიქმნა ახალი, კომპლექსური მიდგომის მქონე სკოლა.

2016 წელს ლანსიმაკის კომპლექსური სკოლის 570 მოსწავლის 44% შინ უცხო ენაზე საუბრობდა, თვითონ სკოლაში კი წარმოდგენილი იყო 29 განსხვავებული ენა. სასწავლო დაწესებულებამ ინოვაციურ მიდგომას მიმართა: მან ახალ სტუდენტებს დამატებითი მხარდაჭერა გაუწია ენის, მათ შორის, ფინური ენის სწავლაში. სპეციალიზებული პედაგოგები მოსწავლეებს სპეციფიკურ გამოწვევათა დაძლევაში ეხმარებოდნენ, ხოლო სკოლის კლუბები მხარს უჭერდნენ საშინაო დავალების მომზადებაშიც. ოჯახებსა და სკოლას შორის კომუნიკაციას ხელს უწყობდნენ თარჯიმნები.

ვანტაან კუპუნკი
Länsimäen koulu
Pallastunturintie
27 01280 Vantaa, Finland
https://bit.ly/3qnYLvM

ნაწილი III **რეკომენდაციები**

- **შემუშავდეს** მიზანმიმართული პროგრამები განათლების, დასაქმების ან სწავლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების საზოგადოებაში ჩასართავად და ხანგრძლივი უმოქმედობის ასაცილებლად;
- **შემუშავდეს** ეფექტიანი პოლიტიკა საზოგადოების წევრთა შორის ციფრული უნარების განვითარებისთვის;
- **ინვესტიცია განხორციელდეს** დისტანციური სწავლების შესაძლებლობებში და თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს წვდომა საჭირო ტექნოლოგიაზე (განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი გლობალური მოვლენების გათვალისწინებით);
- **გაერთიანდეს** ძალისხმევა სკოლის მიტოვებასთან საბრძოლველად, კერძოდ, საზოგადოების საჭიროებებზე მორგებულ სტრატეგიათა შემუშავებით, მუნიციპალურ საგანმანათლებლო ძალისხმევაში ინტერდისციპლინური და მულტიკულტურული მიდგომის გამოყენებით და განათლების მიღების ალტერნატიულ შესაძლებლობათა შექმნით;
- **თანამშრომლობა შედგეს** კერძო კომპანიებთან, უნივერსიტეტებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა შეიქმნას ერთობლივი პროექტები, საზოგადოების თითოეული წევრი ჩაერთოს სტანდარტულ საგანმანათლებლო სისტემაში და შენარჩუნდეს ეს ჩართულობა;
- **მონიტორინგი** გაეწიოს მოწყვლად ან მარგინალიზებულ მოსწავლეთა პროგრესს და მათ შესთავაზონ ფსიქოლოგიური ან კარიერული ორიენტაცია/მხარდაჭერა.



შრომის უფლება

ნაწილი I **განმარტება**

შრომის უფლება ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, დასაქმდეს დამაკმაყოფილებელ და ღირსეულ სამუშაოზე, ასევე, უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებში, და მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება, რომელიც მას და მის ოჯახს მისცემს ღირსეულად ცხოვრების საშუალებას. ეს ასევე გულისხმობს უმუშევრობისგან თავისუფლებასა და ორგანიზების უფლებასაც.

შრომის უფლების ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტების გათვალისწინება, როგორიცაა: პროფესიული მომზადების ხელმისაწვდომობა, შრომით ცხოვრებაზე გადასვლის ხელშეწყობა, შრომის სტანდარტებისა და შრომის ღირსეული პირობების დაცვა, მუშაკის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ამასთან, მნიშვნელოვანია, დასაქმების ადგილი შეესაბამებოდეს მუშაკის უნარებს და პირს ჰქონდეს მინიმალური სავალდებულო ციფრული უნარები.

შრომისა და განათლების უფლებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევაა **დასაქმების, განათლების ან სწავლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები** (NEETs). ამ ჯგუფში შემავალი ადამიანები ყველაზე მოწყვლადნი არიან, რადგან სირთულეებს აწყდებიან დასაქმების კუთხით და, ამასთან, არ ცდილობენ დამატებითი უნარების შეძენას სწავლისა თუ განათლების გზით.[32]

Eurostat-ის სოციალურ ინდიკატორთა თანახმად[33], რომლებიც ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს მოიცავს, განათლებისა და სწავლის ნაადრევად მიტოვების მაჩვენებელი 18-დან 24 წლამდე მოსახლეობაში 10.6%-ს შეადგენს, ხოლო 15-დან 24 წლამდე პირებში - 11.6%-ს. ეს ციფრები განსხვავდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით. სოციალური ინდიკატორების თანახმად, ევროკავშირში ადამიანთა 23.5% იმყოფება სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის რისკის წინაშე.

2015 წელს OECD-ის ქვეყნებში დასაქმების, განათლების ან სწავლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების მაჩვენებელი იყო 15% (დაახლოებით, 40 მილიონი ადამიანი).[34] მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალგაზრდები, რომელთა მშობლებიც უმუშევრები არიან და არ აქვთ განათლება, ყველაზე ხშირად განიცდიან უმოქმედობას. ეს მიუთითებს, რომ, სავარაუდოდ, NEET-ის სტატუსი თაობიდან თაობას გადაეცემა. ამას უარყოფითი გავლენა აქვს საზოგადოების ერთიანობაზეც, რადგან აღნიშნული პირები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პოლიტიკითა და საზოგადოებაში ჩართულობით. შესაბამისად, დასაქმების, განათლებისა და სწავლების მიღმა დარჩენილ პირთა შემცირება ნიშნავს მაღალი ნდობის, კმაყოფილებისა და პოლიტიკური ინტერესის აღდგენას მოქალაქეთა შორის.

ნაწილი II **რეაგირების მაგალითები**

სოციალური მეწარმეობის საგრანტო პროგრამა, რიგა, ლატვია[35]

მოსახლეობა: 632 614

ქალაქ რიგის საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა განახორციელა სოციალური მეწარმეობის საგრანტო პროგრამა, რომლის მიზანიც იყო სამუშაო ადგილების შექმნა სოციალურად გარიყული ჯგუფებისთვის. ლატვიაში ეს ერთადერთი პროგრამა ითვალისწინებს პროექტთა მხარდაჭერას და დაფინანსებას გრანტით, რომლის ოდენობაც 4 000-დან 7 000 ევრომდეა (2016).

პროგრამის ფარგლებში, საგრანტო დაფინანსებით ისარგებლეს სოციალურმა კომპანიებმა, ფონდებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მისი მიზანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და არსებული სამუშაო ადგილების გაუმჯობესება სოციალური გარიყულობის საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფებისთვის. კერძოდ, საგრანტო დაფინანსება მხარს უჭერს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას კომპლექსური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, რომლებიც მოწყვლადნი არიან სხვადასხვა ფაქტორის გამო (სიღარიბე, დისკრიმინაცია ან განათლების დაბალი დონე); ასევე, ტრენინგებსა და პროფესიულ მომზადებას დასაქმებული ადამიანებისთვის, რათა მათ შეძლონ სამუშაო ადგილის შენარჩუნება. პროგრამა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ რიგამ გადაწყვიტა, გაეგრძელებინა გრანტების გაცემა და მათი მოცულობა 11 000 ევრომდე გაეზარდა.

რიგის საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი
Baznīcas iela 19/23,
Centra rajons, Rīga, LV-1010
ტელეფონი: +371/(0)80005055
ელფოსტა: dl@riga.lv

AIRE, ჰელიოტექნიკა მოწყვლადი ახალგაზრდების დასაბრუნებლად საგანმანათლებლო სისტემაში, ბერლინი, გერმანია

მოსახლეობა: 3 769 000

Eurocities-ის 2015 წლის პუბლიკაცია „მწვანე სამუშაო ადგილები სოციალური ინკლუზიისათვის“[36] კარგი პრაქტიკის ნიმუშებს შორის განიხილავს ბერლინის მაგალითსაც, რომელიც, ეკონომიკის „გამწვანებასთან“ ერთად, უზრუნველყოფს სოციალური და შრომითი ბაზრის ინკლუზიურობასაც. კერძოდ, ამ ქალაქმა შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ახალგაზრდებს ხელს უწყობს პროფესიულ მომზადებაში მწვანე და მდგრადი ტექნოლოგიების კუთხით.

პროგრამის ძირითად სამიზნეები არიან ჯგუფები, რომლებიც საგანმანათლებლო სისტემის მიღმა დარჩნენ, ან რომლებსაც არ აქვთ განსაზღვრული მიმართულება თავიანთ მომავალთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო სისტემაში მათ დასაბრუნებლად, პროექტი იყენებს ინოვაციურ მეთოდს და ბენეფიციარებს ეხმარება ისეთ საკითხებში, როგორიცაა თავდაჯერებულობის, მოტივაციისა და სწავლის შესაძლებლობების გაზრდა, ასევე, მწვანე ენერგიის მზარდ სექტორში დასაქმება.

„განახლებადი ენერგიის შესახებ პროფესიული ტრენინგის ადაპტაციისა და დანერგვის“ (AIRE) ქსელი საშუალო სკოლის მოსწავლეებს ეკონომიკურად დაუცველი უბნებიდან საშუალებას აძლევს, შექმნან მცირე ზომის მანქანის მოდელი, რომელიც მუშაობს მზის ენერგიაზე და დისტანციურად კონტროლდება. ამ პროცესში ბენეფიციარები ეუფლებიან სხვადასხვა ტექნიკურ უნარს. ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემის მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების მოსამზადებლად და სისტემაში ჩასართავად, გამოიყენება პრაქტიკული, ინოვაციური და ხალისიანი მიდგომა. პროექტი მიზნად ისახავს ისეთი პერსონალური და სოციალური უნარების განვითარებასაც, როგორიცაა დროის მართვა, შეუპოვრობა, საჯარო გამოსვლები და გუნდური მუშაობა. ბენეფიციართა მოტივირებისთვის, პროექტი ითვალისწინებს დასრულებული მოდელების გამოფენას ადგილობრივ და საერთაშორისო აღლუმებზე. ისინი თავიანთ ნამუშევარს თვითონ წარუდგენენ აღლუმის მონაწილეებს. პრეზენტაციები ტარდება ინგლისურ ენაზე, ხოლო ჩანაწერი *YouTube*-ზე იტვირთება. პროექტი განკუთვნილია შემდეგი ჯგუფებისთვის: ახალგაზრდები, რომელთაც მიატოვეს სკოლა ან ასეთი რისკის ქვეშ იმყოფებიან; ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლეები; და შეზღუდული სენსორული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები.

AIRE-ის პროექტში მონაწილეობა მიიღო ბერლინის ექვსმა სკოლამ. მათი გამოცდილება ადასტურებს, რომ, შედეგად, შემცირდა სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, მოხერხდა ახალგაზრდების ხელახლა ინტეგრირება საზოგადოებაში და დაბრუნება საგანმანათლებლო სისტემაში. პროექტმა ხელი შეუწყო მათი ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვით საკითხებზე, ასევე, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე განახლებადი ენერგიების მზარდ სფეროში.

ბ-ნი ედუარდო კაბრერა
ელფოსტა: e.cabrera@fls-international.de
www.photovoltaire.de

პროფესიული ორიენტაციის ცენტრები (CISOK) - ამჟამად მოქმედებს ხორვატიის 13 ქალაქში[37]

პროფესიული ორიენტაციის ცენტრების (CISOK) მიზანია, მოქალაქეებს მთელი ცხოვრების განმავლობაში შესთავაზონ კარიერის დაგეგმვის მომსახურება, მათი საჭიროებების შესაბამისად. ცენტრების სამიზნეები არიან: ახალგაზრდები, ზრდასრულები, დასაქმებულები, უმუშევრები, განათლების, დასაქმებისა და სწავლების მიღმა დარჩენილი პირები, სტუდენტები, მასწავლებლები და დამსაქმებლები. ამჟამად ისინი შექმნილია ხორვატიის 13 მუნიციპალიტეტში. ცენტრები აწვდიან ღია და ადვილად აღსაქმელ მომსახურებას, ასევე, ხელს უწყობენ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების სერვისთა გაუმჯობესებას ხორვატიაში.

CISOK-ის ახალი, პარტნიორობაზე დაფუძნებული მოდელი პირველად 2013 წელს დაინერგა, IPA EU-ის მიერ დაფინანსებული პროექტით - „ხანგრძლივი პროფესიული ორიენტაციისა და ICT მხარდაჭერის გაუმჯობესება“. პირველ ეტაპზე ცენტრები ხორვატიის 9 რეგიონში გაიხსნა და 2022 წლამდე იგეგმება ყველა რეგიონში გახსნა.

CISOK კლიენტთა მომსახურებისას ითვალისწინებს მათ საჭიროებებს, ასევე, მზაობას კარიერულ გადაწყვეტილებათა მისაღებად. თითოეული ცენტრი ორგანიზებულია ე.წ. „დიფერენცირებული სერვისების მოდელით“, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, კონკრეტული კლიენტის საჭიროებათა შეფასების საფუძველზე. CISOK მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებებს: თვითდახმარების სერვისები,

ვებზე დაფუძნებული სერვისები, ხანმოკლე დახმარების სერვისები (მათ შორის, ინფორმაცია და კონსულტაცია), ე.წ. ქოუჩინგი (ინდივიდუალური სერვისები), ინფორმაციის მიწოდება კარიერის საკითხებზე, თანამშრომელთა მოსამზადებელი კურსები. ვისაც დამატებითი დახმარება სჭირდება კარიერულ გადაწყვეტილებათა მიღებაში, CISOK სთავაზობს ინდივიდუალურ/კონკრეტულ შემთხვევაზე მორგებულ სერვისებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ინდივიდუალურ ან ჯგუფურ საკონსულტაციო სესიებს.

CISOK-ის წარმატების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეფექტიანი პარტნიორობები, მათ შორის, როლები და პასუხისმგებლობები CISOK-ის სერვისების განხორციელებისა და დაფინანსების კუთხით; ასევე არსებითია შეთანხმებები, დადებული ინფორმაციის გასაზიარებლად, ვინაიდან ისინი ცენტრებს ეხმარება სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებაში და აქტივობების დაგეგმვაში საჭიროებათა შეფასებაზე დაყრდნობით. ცენტრები სერვისებს აწვდიან ხარისხის სტანდარტთა შესაბამისად; ამავდროულად, ისინი ინარჩუნებენ მოქნილობას, რათა შეძლონ კონკრეტულ რეგიონულ ან ადგილობრივ საჭიროებებზე მორგება. ეს დამოკიდებულია კლიენტის ან სერვისის ტიპზე, მონაწილე პარტნიორ ორგანიზაციებზე (განსაკუთრებით, არასამთავრობო სტრუქტურებზე), გამოყოფილ ტერიტორიაზე და ა.შ. თითოეული ცენტრი ცდილობს სერვისების მორგებას ადგილობრივ და რეგიონულ საჭიროებებზე, რათა ხელი შეუწყოს შესაბამისი მიზნის მიღწევას. შედეგად, მათი საერთო მეთოდებისა და მიზნების მიუხედავად, სერვისების მიწოდების გზები და სამიზნე ჯგუფები შეიძლება განსხვავდებოდეს.

2013 წლიდან 2017 წლის 31 მაისამდე CISOK-ის სერვისებით ისარგებლა 186 428 მომხმარებელმა. 2016 წელს ისინი გამოიყენა 2 719-მა NEET-მა, რომელთაგან 2 519 აქტიურად ეძებდა სამსახურს, ხოლო 200 - არააქტიურად.

ქ-ნი ივანა დრობაჩ კერნი
დასაქმებისთვის მომზადების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ქ-ნი თამარა პავლიჩი
ექსპერტი კონსულტანტი
ხორვატიის დასაქმების სამსახური - ცენტრალური ოფისი
Savska cesta 64, 10000 Zagreb, Croatia
ტელეფონი: +385/(1)6126065; +385/(1)6126224
ელფოსტა: Ivana.Drobac.Kern@hzz.hr ; Tamara.Pavlic@hzz.hr

Future Starter Initiative /Training Works - რეგიონული დასაქმების სააგენტოები და ადგილობრივი ინიციატივები, გერმანია[38]

25-დან 35 წლამდე ნაკლებკვალიფიციური ახალგაზრდების მხარდასაჭერად, გერმანიის რეგიონული დასაქმების სააგენტოები და ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებენ ინიციატივას, სახელწოდებით Training Works, **რომელიც 2020 წლამდე გაგრძელდა Future Starter Initiative-ის სახელით. ინიციატივის მიზანია, ერთი მხრივ, გრძელვადიან უმუშევრობასთან ბრძოლა და დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდა ახალგაზრდებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, დასაქმების ადგილობრივი სააგენტოს მუშაკთა მგრძნობელობისა და ნოუჰაუს გაუმჯობესება.**

ნაკლები გამოცდილების მქონე ადამიანები გრძელვადიანი უმუშევრობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. დაბალი ანაზღაურება და დასაქმების შესაძლებლობათა ნაკლებობა ხელს უწყობს სიღარიბის დამკვიდრებას. დასაქმების გაზრდა, მონაწილეობის ხელშეწყობა და გრძელვადიანი უმუშევრობის პრევენცია სოციალური ინკლუზიის ძირითადი გამოწვევებია. ინიციატივის მიზანი გახლდათ 100 000 ახალგაზრდის ჩართვა ტრენინგში, რათა ისინი დაუფლებოდნენ კვალიფიკაციას და მიეღოთ შესაბამისი სერტიფიკატი, 2020 წლამდე კი ამ რიცხვის გაზრდა 120 000-მდე. 2013-2015 წლებში პროგრამა დატოვა 15 000-მა ადამიანმა, 2 500-მა მონაწილემ მისი დასრულება ვერ შეძლო, რადგან ისინი დასაქმდნენ. საერთო ჯამში, პროექტი დაეხმარა 98 735 ადამიანს.

პროგრამის ოფისი JOBSTARTER
Robert-Schuman-Platz 3, 53175 Bonn, Germany
ტელეფონი: +49/(0)2281072909
ელფოსტა: info@jobstarter.de
www.jobstarter.de

ხანგრძლივად უმუშევარ პირთა ჩართვა საჯარო სივრცეების გამწვანებასა და ტრენინგში, ზაგრები, ხორვატია

მოსახლეობა: 806 341

Eurocities-ის პროექტის „მწვანე სამუშაო ადგილები სოციალური ინკლუზიისთვის“ ფარგლებში კიდევ ერთი ინოვაციური პროექტი განხორციელდა ზაგრებში. კერძოდ, საჯარო სივრცეების გამწვანებით, ქალაქი ადგილობრივებს დასაქმებაში ეხმარება. ხანგრძლივად უმუშევარ ადამიანებს შეუძლიათ, იმუშაონ ქალაქის საჯარო სივრცეების

გასამწვანებლად და სანაცვლოდ მიიღონ განათლება და ტრენინგი იმ სფეროებში, რომლებზეც მაღალია მოთხოვნა ადგილობრივ დონეზე. ეს მათ ეხმარება, რომ უფრო კონკურენტულნი გახდნენ შრომის ბაზარზე და მეტი შანსი ჰქონდეთ სამუშაოს მოსაძებნად. ამავდროულად, პროექტის მეშვეობით ხერხდება ქალაქის მწვანე სივრცეებისა და გარემოს შენარჩუნება-დაცვა.

განათლებისა და ტრენინგების პროექტის მიზანია უმუშევართა გააქტიურება და ჩართვა მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობაში. სანაცვლოდ, მათ უფლება აქვთ, დაესწრონ საგანმანათლებლო კურსებს/ტრენინგებს და გაიუმჯობესონ შანსები შრომის ბაზარზე. პროექტი ფარავს კურსებში მონაწილეობის ხარჯებს, რომელიც 1 მონაწილისთვის 400-დან 1000 ევრომდე მერყეობს. მათ შეუძლიათ, პროგრამა თავიანთი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად შეარჩიონ. კურსები ითვალისწინებს დაწყებითი და საშუალო სკოლის განათლებას, ასევე, პროფესიულ მომზადებას.

ზაგრები პროექტს ახორციელებს რეგიონული დასაქმების სამსახურებსა და ადგილობრივ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან ერთად, მთლიანად თავისი დაფინანსებით. ამ ხარჯებს აბალანსებს ქალაქის მწვანე სივრცეების რეგულარული მოვლა-პატრონობისთვის საჭირო თანხების შემცირება. შესაბამისად, პროექტი პრობლემის გადაწყვეტის მომგებიანი გზაა როგორც ზაგრებისთვის, ისე უმუშევარი მოქალაქეებისთვის, რომელთაც წვლილი შეაქვთ ქალაქის ბუნებრივი საფარის მოვლა-პატრონობაში და მთლიანი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ.

ქ-ნი ვესნა ჰელფრი
ელფოსტა: vesna.helfrih@zagreb.hr
www.zagreb.hr

ბავშვზე ზრუნვის მოქნილი სერვისების ვაუჩერები იმ დასაქმებულთათვის, რომლებიც არასტანდარტული სამუშაო გრაფიკით მუშაობენ, ქალაქები რიგა, ელგავა და ვალმიერა, ლატვია

მოსახლეობა: 632 614 (რიგა), 55 972 (ელგავა), 23 125 (ვალმიერა)

დამსაქმებელმა უნდა დაიცვას ბალანსი კომპანიისა და დასაქმებულთა საჭიროებებს შორის. მიუხედავად ამისა, თანამშრომელთა პროფესიული და პირადი ცხოვრების დაბალანსების კონტექსტში, ლატვიური კომპანიები პრიორიტეტს არ ანიჭებენ ბავშვზე ზრუნვის სერვისებს. ამის გათვალისწინებით, ქვეყანაში შეიქმნა ვაუჩერული სისტემა, რომელიც კერძო სექტორში დასაქმებულ და არასტანდარტული სამუშაო გრაფიკით მომუშავე პირებს უზრუნველყოფს ბავშვზე ზრუნვის მოქნილი სისტემით. სისტემა ასევე ხელს უწყობს თვითრეგულირებას და გადასვლას სექტორთაშორისი (საჯარო და კერძო) სუბსიდიის სქემაზე. ევროკავშირის დასაქმებისა და სოციალური ინოვაციის პროგრამით თანადაფინანსებული ეს პროექტი (2014-2020) განხორციელდა ქალაქებში ელგავა, რიგა და ვალმიერა.

ბავშვზე ზრუნვის ხელმისაწვდომი და მაღალხარისხიანი სერვისების პოვნა მნიშვნელოვანი გამოწვევაა დასაქმებულთათვის (განსაკუთრებით, ვინც არასტანდარტული სამუშაო გრაფიკით მუშაობს). მშობლებისთვის, რომლებიც ღამით ან შაბათ-კვირას მუშაობენ, რთულია ბავშვზე ზრუნვის პრობლემების გადაჭრა. სხვადასხვა კვლევის თანახმად, არანორმირებული და არასტანდარტული სამუშაო განრიგით დასაქმებულებს, როგორც წესი, დაბალი ხელფასი აქვთ, რაც მათთვის კიდევ უფრო ართულებს ბავშვზე ზრუნვის ხელმისაწვდომ და ხარისხიან სერვისებზე წვდომას.

პროექტის განხორციელების პროცესი სამი ეტაპისგან შედგებოდა. *პირველი ეტაპი* მოიცავდა მომზადებას და წინასწარ შეფასებას. ინიციატივა ელგავაში, რიგასა და ვალმიერაში ჩატარებულ 7 რეგიონულ სემინარზე წარადგინეს და შეარჩიეს კომპანიები, რომლებიც სავაუჩერო სისტემაში მიიღებდნენ მონაწილეობას და კოორდინაციას გაუწევდნენ პროექტის აქტივობებს. *მეორე ეტაპზე* ბავშვზე ზრუნვის სერვისთა სუბსიდირების სისტემა 10 თვის განმავლობაში ინერგებოდა. შედეგად, ვალმიერას, ელგავასა და რიგის ტერიტორიაზე ამ მომსახურებით ისარგებლა 150-ზე მეტმა პირმა. არასტანდარტული სამუშაო განრიგით დასაქმებულებს თითოეული ვაუჩერით 7 წლამდე ასაკის ბავშვისთვის შეეძლოთ მაქსიმუმ 20-საათიანი ზრუნვის

სერვისის მიღება კვირაში. პროექტის განხორციელების პროცესი მოიცავდა მონიტორინგს და პერსონალთან კომუნიკაციას. *მესამე და საბოლოო ეტაპზე* შეფასდა ინტერვენციის გავლენა და შედეგები. საბოლოო შეფასება წარედგინათ დაინტერესებულ მხარეებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგებია: მიზნობრივი ინტერვენციებით ბავშვზე ზრუნვის მოქნილი სისტემის შექმნა არასტანდარტული სამუშაო განრიგით დასაქმებულთათვის; თვითრეგულირების შემდგომი განვითარება; ან სექტორთშორისი (კერძო და საჯარო) სუბსიდიის სქემის შექმნა.[39]

ქ-ნი ივეტა ბალტინა
პერსონალისა და დოკუმენტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი
ტელეფონი: +371 67021635
ელფოსტა: Iveta.Baltina@lm.gov.lv

ქ-ნი დაცე შმიტა-სტოუნი
ელგავას მუნიციპალური პროექტის კოორდინატორი
ტელეფონი: +371 63048908

თანამეგობრობის შეგირდობის სქემა, გლაზგო, შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო[40]

მოსახლეობა: 598 830

ახალგაზრდების უმუშევრობაზე რეაგირებისთვის, შეიქმნა გლაზგოს შეგირდობის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს შეგირდობის შესაძლებლობებს მათთვის, ვისაც სკოლა ახალი დამთავრებული აქვს. ამასთან, ინიციატივა ბიზნესებს უმარტივებს შერჩევისა და დასაქმების პროცესს.

თანამეგობრობის შეგირდობის სქემა (CAI) დასაქმების სერვისია, რომელიც ახალგაზრდებს სთავაზობს შეგირდობის შესაძლებლობებს. იგი ეფუძნება მოთხოვნისა და მიწოდების მოდელს და ხორციელდება როგორც დამსაქმებლების, ისე ახალგაზრდების მონაწილეობით. CAI დამსაქმებლებსა და კანდიდატებს მხარს უჭერს ძიების, შერჩევისა და განაცხადის შეტანის პროცესებში. პროგრამა გლაზგოში 2009 წელს დაიწყო ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის შესამცირებლად. ორივე მხარესთან მუშაობით, იგი შეგირდობის შესაძლებლობებს ადგენს იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სკოლა ახალი დამთავრებული აქვთ.

CAI-ის ოფიცრები დამსაქმებლებთან ერთად განიხილავენ შეგირდობის

შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის. კერძოდ, ისინი ერთობლივად მსჯელობენ საკითხებზე, როგორიცაა პოტენციური ვაკანსიები, ხელფასები, ტრენინგი, დასაქმების ვადები და ხელმისაწვდომი ფინანსური დახმარება. ვაკანსიები ქვეყნდება CAI-ის ვებგვერდზე. სწორედ CAI უწევს პროცესს ადმინისტრირებას: კერძოდ, იგი პასუხისმგებელია გასაუბრებებზე, კომუნიკაციასა და უკუკავშირზე.

ყოველ წელს, დაახლოებით 5,000 ახალგაზრდა მონაწილეობს საინფორმაციო დღეებში. CAI ვიზიტებს ახორციელებს სკოლებში, ესწრება მშობელთა ღონისძიებებსა და კარიერულ საღამოებს. დარეგისტრირების შემდეგ, ახალგაზრდებს ეძლევათ წვდომა CAI-ის ვებგვერდზე, სადაც შეუძლიათ სასურველი ვაკანსიის მოძიება. ვაკანსიის არჩევისა და განაცხადის შეტანისას, ბენეფიციარები იღებენ შესაბამის მხარდაჭერას, პირისპირ გასაუბრებების, სატელეფონო კონტაქტისა და ჯგუფური სესიების სახით. პროგრესს მონიტორინგს უწევენ CAI-ის ვებზე დაფუძნებული მონაცემთა ბაზის საშუალებით. ამავდროულად, საჭიროების შემთხვევაში, CAI მზად არის დამატებითი დახმარებისთვის. იგი ითვალისწინებს საკომუნიკაციო ინსტრუმენტებს, რომლებიც ახალგაზრდებს შორის ყველაზე პოპულარულია (მაგ: მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ელფოსტა, *Facebook*) და სწორედ მათი გამოყენებით ახერხებს სქემის პოპულარიზაციასა და კანდიდატებთან დაკავშირებას.

2009 წლიდან CAI 2,000-ზე მეტ ბენეფიციარს დაეხმარა შეგირდობის პროგრამის დაწყებასა და დასაქმებაში. უმრავლესობამ პროგრამა ბოლომდე გაიარა - 2009-2010 წლებში მისი მიტოვების მაჩვენებელი მხოლოდ 9.9% იყო. 2012 წლიდან ინიციატივაში მონაწილეობს 852 ბიზნესი, რომელთა 97% დაინტერესებულია CAI-სთან თანამშრომლობის გაგრძელებით (კერძოდ, დასაქმების კუთხით).

ქ-ნი შონა ჰანიმენი
ელფოსტა: shona.honeyman@glasgow.gov.uk
www.glasgow.gov.uk/apprentices

Eurocities
1, Square de Meeûs B-1000 Brussels
ტელეფონი: +32-2-552.0888
ელფოსტა: info@eurocities.eu

სახლი სტარტაპებისთვის: ყველა სერვისი ერთ სივრცეში, ტამპერე, ფინეთი[41]

მოსახლეობა: 806 341

სახლი სტარტაპებისთვის ქალაქ ტამპერეში მდებარობს და მომხმარებლებს ერთ სივრცეში სთავაზობს ყველა სერვისს. მისი მიზანია ქალაქში სტარტაპების რაოდენობის გაზრდა, ასევე, ადგილობრივი ბიზნესის გაფართოებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. სტარტაპების მხარდაჭერით, ქალაქი საერთაშორისო დონეზე კონკურენტულ და მიმზიდველ გარემოს ქმნის დამწყები ბიზნესებისთვის.

ამ დრომდე ტამპერეში ცოტა ადგილობრივი კომპანია დებდა ინვესტიციას ახალშექმნილ ბიზნესში. ასეთი ინვესტიციები მნიშვნელოვანია დამწყები მეწარმეებისთვის, ადგილობრივ დონეზე შესაბამისი კონსულტაციების მიწოდება კი დადებითად აისახება ინვესტიციებზე. შესაბამისად, ტამპერეს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, შეექმნა სახლი სტარტაპებისთვის, რომლის ფილიალებიც მდებარეობს რკინიგზასთან, უნივერსიტეტის კამპუსსა და პიენტეოლისუსტალოს მცირე ზომის მეწარმეთა კლასტერთან ახლოს. პროექტი, რომლის მოდელის შემუშავებაც 2020 წლის მარტში დაიწყო, მომხმარებელს ერთ სივრცეში აწვდის ყველა შესაბამის მომსახურებას. კერძოდ, მცირე ზომის ახალშექმნილ კომპანიებს სთავაზობს სივრცეს და ოპერატორებს, რომლებიც დაეხმარებიან ინვესტორთა მოძიებასა და სხვა აქტუალურ საკითხებში.

ქ-ნი ტიმო ანტიკანინი
ბიზნესის განვითარების დირექტორი
ტელეფონი: +358/(0)503211279
ელფოსტა: Timo.Antikainen@tampere.fi

ბ-ნი ტეპო რანტანენი
ეკონომიკური პოლიტიკის, კონკურენტულობისა და ინოვაციის მიმართულების დირექტორი
ტელეფონი: +358/(0)400235442
ელფოსტა: Teppo.Rantanen@tampere.fi
http://www.startuphub.fi/#english

პროგრამა „მოემზადე დასაქმებისთვის“, ქალაქ დანდის საბჭო, გაერთიანებული სამეფო

მოსახლეობა: 149 320

ეს რვაკვირიანი პროგრამა (პლუს, შემდგომი ინდივიდუალური მხარდაჭერის ეტაპი) ლტოლვილებს ეხმარება დასაქმების შესაძლებლობათა გაუმჯობესებასა და ენის სწავლაში, რათა თავი დაიმკვიდრონ შრომის ბაზარზე. 2018 წელს შოტლანდიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კონგრესზე პროექტმა ოქროს მედალი მიიღო „პარტნიორობის სფეროში შედეგების გაუმჯობესებისთვის“.

ინგლისური ენის გაკვეთილები პირდაპირ უკავშირდება დასაქმებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა CV-ისა და სააპლიკაციო ფორმის მომზადება, გასაუბრების გავლა, დასაქმების/დამსაქმებლის მოლოდინები, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და მოსალოდნელი კარიერული განვითარება. პროგრამა ეყრდნობა ადგილობრივი ხელისუფლებისა და გარე პარტნიორი ორგანიზაციების სერვისებს და ბენეფიციარებს სძენს დასაქმების, IT-ის გამოყენებისა და ფინანსების მართვის უნარებს; ასევე, მათ მხარს უჭერს სამუშაო ადგილზე განაწილებასა და ენობრივ საკითხებში. სპეციალურად შექმნილი ინსტრუმენტების გამოყენებით, ადგილობრივი ხელისუფლება პროგრამის მონაცემებს უზიარებს პარტნიორებს, რისი საშუალებითაც ისინი თვალყურს ადევნებენ მიღწეულ პროგრესსა და შედეგებს.

სასწავლო კურსის გავლასთან ერთად, მონაწილეებს შეუძლიათ, სულ მცირე, კვირაში ერთხელ იმუშაონ ქალაქში არსებულ ორგანიზაციებსა თუ კომპანიებში. ეს მათ აძლევს ინგლისურ ენაში გავარჯიშების, სამუშაო გარემოს უკეთ გაცნობისა და დამსაქმებლისგან რეკომენდაციის მიღების საშუალებას.

პროგრამის თანამშრომლები ბენეფიციარებს ეხმარებიან ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა დამატებითი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა, ან ასეთ კურსებზე დასწრება. მაგალითად, მონაწილეებს შეუძლიათ, მოინახულონ მშენებლობის ადგილები და დააკვირდნენ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრაქტიკას, ან მიიღონ დახმარება ტრენინგზე დასასწრებად საჭირო სახსრების მოძიებაში. თუ ბენეფიციარს ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული სუბსიდიების საშუალებით, პროგრამის თანამშრომლები მას ეხმარებიან ბავშვზე ზრუნვის საკითხებში. თუ პირი იღებს დასაქმების შეთავაზებას, მაგრამ, ფინანსური ბარიერების გამო, მასზე უარის თქმა უწევს - მაგალითად, არ აქვს თანხა მგზავრობისთვის, ან სათანადო მოწყობილობის შესაძენად - ადგილობრივი ხელისუფლების მიერ

გამოყოფილი დაფინანსება გამოიყენება სამგზავრო საშვების ან ტანსაცმლის/ მოწყობილობის ვაუჩერთა შესაძენად. თუ კურსის დასრულების შემდგომ საჭიროა დამატებითი მხარდაჭერა, პროგრამის თანამშრომელი დასაქმებიდან 6 თვის განმავლობაში აგრძელებს ბენეფიციართან მუშაობას.

„დანდის ქალთა საერთაშორისო ცენტრთან“ თანამშრომლობის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლება მხარს უჭერს ქალებს, რომელთაც არასოდეს უმუშავიათ. მეწარმეთა დასახმარებლად, იგი ასევე თანამშრომლობს სტარტაპების პროექტთან - *Ezone* - და შოტლანდიის ლტოლვილთა საბჭოსთან.

პროგრამის ბოლო კვირაში ბენეფიციარები და თანამშრომლები მონაწილეობენ მისი დასრულების ცერემონიალში, რომელიც ადგილობრივ სათემო ცენტრში იმართება. ღონისძიებას ესწრება ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელი, რომელიც თითოეულ მონაწილეს გადასცემს კურსის გავლის სერტიფიკატს.

ქალაქ დანდის საბჭო
პროგრამა „მოემზადე დასაქმებისთვის“
ელფოსტა: Carol.McKelvie@dundeecity.gov.uk
https://bit.ly/36vYJKq

La Fabrique de l'Emploi (სამუშაო ადგილების ქარხანა), ლილი, საფრანგეთი

მოსახლეობა: 232 741

„სამუშაო ადგილების ქარხანა“ ლილში უმუშევრობასთან საბრძოლველად მხარს უჭერს სხვადასხვა აქტივობას, რომლებსაც ორგანიზებას უწევენ და მართავენ თავად დასაქმებულები. გუნდური მუშაობა ერთგვარი ეკონომიკური მოდელია ამ ოლქის მცხოვრებთათვის.

ლილის ინოვაციური, „ქვემოდან ზემოთ“ მონაწილეობაზე დაფუძნებული მოდელი ადასტურებს, რომ „შრომის ბაზარზე რეინტეგრაცია უფრო ადვილია, როდესაც ძალისხმევა ორიენტირებულია ადამიანებისთვის სამუშაო ადგილების შექმნაზე და არა ადამიანთა მორგებაზე არსებულ როლებთან.“[42] „სამუშაო ადგილების ქარხანა“ იყენებს ტერიტორიულ მიდგომას და ფოკუსირებულია იმ პოტენციალის, უნარებისა და შესაძლებლობების გამოყენებაზე, რომლებსაც უკვე ფლობენ უმუშევარი მოქალაქეები.

„სამუშაო ადგილების ქარხანა“ სამუშაო ადგილებზე ორიენტირებული

კომპანიაა, რომელიც მუშაობს ადგილობრივებთან ერთად და ადგილობრივებისთვის. მისი მიზანია დასაქმების შესაძლებლობებში არსებულ ხარვეზთა აღმოფხვრა და ახალი შესაძლებლობების შექმნა. ქარხანა ასაქმებს მოქალაქეებს, რომლებიც, სულ მცირე, ბოლო ერთი წელია უმუშევრები არიან და ცხოვრობენ იმ ორ უბანში, სადაც ქარხანა მუშაობს (*Loos les Oliveaux* და *Tourcoing Triangle de Menin*). „სამუშაო ადგილების ქარხანა“ მათ სთავაზობს უვადო კონტრაქტებს, სწორედ ისეთს, როგორსაც ტრადიციული კომპანიები აფორმებენ დასაქმებულებთან. ეს ადამიანები დავალებებს ასრულებენ თავიანთი უნარებისა და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებების შესაბამისად.

ამ ეტაპისთვის ქარხანამ 130-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა ორ ოლქში, რის შედეგადაც გაიზარდა გრძელვადიანი დასაქმების მაჩვენებელი.

საკონტაქტო ინფორმაცია
Loos : +33/(0) 3 74 46 87 45
Tourcoing : +33/(0) 3 74 46 87 40
ელფოსტა: infos@fabrique-emploi.fr
https://fabrique-emploi.fr/

ციფრული სამუშაო უნარები, სოლნა, შვედეთი

მოსახლეობა: 80 950

ქალაქის ეს ახალი პროექტი ევროპის სოციალურმა ფონდმა დააფინანსა და მიზნად ისახავს ადმინისტრაციული ორგანოების მენეჯერთა და თანამშრომელთა აღჭურვას კომპეტენციებით, რომლებიც მათ ჭკვიანი და ეფექტიანი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაში დაეხმარება.

პროექტი წარადგინა *Eurocities*-მა[43], რათა გაეზარდა ზემოხსენებულ პირთა ციფრული უნარები და დასაქმების შესაძლებლობები, ასევე, შეექმნა მოქნილი და თანამედროვე ორგანიზაციები. გაციფრულების პროცესს ხელმძღვანელობენ მენეჯერები. ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, ისინი ქმნიან „კოლეგებისგან სწავლის“ (peer learning) შესაძლებლობებს და ინკლუზიურ გარემოს. ასეთი კომპეტენციების მქონე ლიდერები კოლეგებს დაეხმარებიან ციფრული სამუშაო მეთოდების გამოყენებაში. დისტანციურ სწავლებასა და კოლეგებისგან სწავლაში მონაწილეობენ სკოლამდელი აღზრდისა დაწესებულებების თანამშრომლებიც.

პროექტი ბენეფიციართა ჯგუფებს (რომელთა 80%-ს უმაღლესი განათლების

არმქონე ქალები წარმოადგენენ) აძლევს უწყვეტი სწავლების შესაძლებლობებს და აუმჯობესებს მათ დასაქმებას. ზრუნვის სამსახურებში დასაქმებულთა 60%-ს უცხო ქვეყანაში დაბადებული ადამიანები შეადგენენ. პროფკავშირები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტში. ბავშვებთან, ხანდაზმულებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან იმუშავებს სათანადო უნარების მქონე პერსონალი, რომელიც მიაწვდის მაღალხარისხიან სერვისს. საბოლოო ჯამში, ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესება სარგებელს მოუტანს ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელს.

ქ-ნი კატერინა კოტო
პროექტის ლიდერი - ქალაქი სოლნა
ტელეფონი: +46/(0)725833182
ელფოსტა: katarina.koto@solna.se

ხშირად დასმული კითხვები COVID-19-ის შესახებ, შოტლანდიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კონვენცია (COSLA), გაერთიანებული სამეფო

ამ კონვენციის ჯგუფმა მოამზადა პასუხები COVID-19-ის შესახებ ხშირად დასმულ კითხვებზე და დაურიგა ადგილობრივ ორგანოებში დასაქმებულ პირებს, რათა მათ უკეთ გაეაზრებინათ პანდემიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები და ცენტრალური ხელისუფლების რეკომენდაციები. ეს პასუხები მოიცავს ზოგად ინფორმაციას COVID-19-ზე, უსაფრთხოების ზომების განმარტებებს და რეკომენდაციებს შინიდან მუშაობის შესახებ.

COSLA-მ პროფკავშირებთან ერთად შეიმუშავა ხშირად დასმულ კითხვების ნაკრები (FAQ), რათა დასაქმებულებს დახმარებოდა ცენტრალური ხელისუფლების რეკომენდაციათა გააზრებაში COVID-19-თან დაკავშირებით. თითოეულ ადგილობრივ ორგანოს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა და მომხმარებელთა უსაფრთხოებას. ხშირად დასმული კითხვები შეეხება ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის რეკომენდაციებს, მათ შორის, ცალკეული ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, რომლებიც უკეთ პასუხობს ლოკალურ დონეზე არსებულ საჭიროებებს. დოკუმენტი მოიცავს რეკომენდაციებს შინიდან მუშაობის შესახებაც.

COSLA-ს მიერ გამოქვეყნებული ხშირად დასმული კითხვები ასევე შეეხება ზოგად (არა ჯანდაცვის) გარემოს. ეს იმ ფართო ძალისხმევის ნაწილია, რომელიც დასაქმებულებს უზრუნველყოფს წვდომით პრაქტიკულ

ინსტრუქციებსა და პერსონალურ დამცავ აღჭურვილობაზე (PPE), რათა მათ თავდაჯერებულად გააგრძელონ თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულება. COSLA-მ გამოსცა განცხადება PPE-ის გამოყენებაზე და შექმნა მისი დისტრიბუციის მოდელი, რათა თემში მოწყვლად ადამიანებთან მომუშავე პირებსა და მთლიან სამუშაო ძალას საჭიროებისამებრ ჰქონდეთ წვდომა ასეთ აღჭურვილობაზე. ადგილობრივი ცენტრები PPE-ის მარაგებს დაარიგებენ მთელ სოციალური ზრუნვის სექტორში, მათ შორის, არა მხოლოდ სოციალური ზრუნვის პროვაიდერებისთვის, არამედ პერსონალური ასისტენტების, ოჯახის დამხმარეებისა და ანაზღაურების გარეშე მომუშავე მომვლელებისთვისაც.

საკონტაქტო ინფორმაცია
Bureau de la COSLA de Bruxelles
Judith@cosla.gov.uk

ხშირად დასმული კითხვები დასაქმებულთათვის:
https://bit.ly/2VpRk9g

ხშირად დასმული კითხვები COVID-19-თან დაკავშირებით, არა ჯანდაცვის სფეროში:
https://bit.ly/3qlljNL

PPE-ზე წვდომა სოციალური ზრუნვის ყველა პროვაიდერისთვის:
https://bit.ly/3lwLo9g

Senior Enterprise პროექტი, დუბლინი, ირლანდია[44]

მოსახლეობა: 80 950

პროექტი 2010-2014 წლებში ხორციელდებოდა და მიზნად ისახავდა საწარმოებში 50 წელს ზემოთ ასაკის პირთა ჩართულობის გაზრდას. კერძოდ, ითვალისწინებდა დახმარებას საკუთარი ბიზნესის შესაქმნელად, ან ბიზნესში ინვესტირების კუთხით. მისი მიზანი იყო, აღმოეფხვრა მოსაზრება, რომ ხანდაზმული ადამიანები აფერხებენ ეკონომიკის ზრდას, საწარმოების განვითარებას, ინოვაციასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

პროექტი ხორციელდებოდა ირლანდიის შუა აღმოსავლეთის რეგიონული ხელისუფლების (წამყვანი პარტნიორი), *PRIME*-ისა (ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია) და *Inno TSD*-ის (ბრეტანი, საფრანგეთი) ტრანსნაციონალური პარტნიორობის ფარგლებში და 50 წელს ზემოთ ბენეფიციარებს მხარს უჭერდა საკუთარი ან საერთო ბიზნესის დაწყებაში. ამ მიზნით, *Senior Enterprise Project* კონსულტაციებსა და რჩევებს აწვდიდა ახალი ბიზნესის დაწყების ადმინისტრაციულ, ფინანსურ და კომერციულ ასპექტებზე.

მან ერთმანეთს დააკავშირა ახალგაზრდები და ხანდაზმულები, რათა ამ უკანასკნელთ ახალგაზრდების ენთუზიაზმით ესარგებლათ, ახალგაზრდებს კი - ხანდაზმულთა გამოცდილებითა და ცოდნით. ამასთან, პროექტი ყურადღებას ამახვილებდა ასაკოვანი ჯგუფის მხრიდან ინვესტირებას სხვების მიერ დაწყებულ ბიზნესებში. ინიციატივის განხორციელებისას ევროპულ საწარმოებში არაფორმალური ინვესტირების (ე.ი. ინვესტირება ოჯახის წევრებისა და მეგობრების მხრიდან) მაჩვენებელი საკმაოდ დაბალ ნიშნულზე (4%) იყო (შედარებისთვის, აშშ-ში ის 6%-ია). 50 წელს ზემოთ ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ ცოდნა და კაპიტალი, ინვესტირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, პროექტი მიზნად ისახავდა ხანდაზმულ მოხალისეთა მხარდაჭერასაც, რათა ისინი თავიანთი უნარებითა და გამოცდილებით დახმარებოდნენ 50+ ასაკის მეწარმეებს, რომელთაც ახალი დაწყებული ჰქონდათ ბიზნესი.

და ბოლოს, *Senior Enterprise Project* წარმატებულ ხანდაზმულ მეწარმეთა ისტორიებს იყენებდა სხვების წასახალისებლად. პროექტი დადებითი გზავნილი იყო გადაწყვეტილების მიმღები და სხვა გავლენიანი პირებისთვისაც.

ამ ინიციატივის მეშვეობით, წარმატებულად მოხერხდა 50+ ასაკის პირთა ცნობიერების ამაღლება საკუთარი ბიზნესის დაწყებაზე, ასევე, შესაბამისი ტრენინგების შემუშავება და ტესტირება. ასეთი კურსები ირლანდიასა და საფრანგეთში პირველად ჩატარდა, მათი შედეგები კი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო, რადგან არაერთი ახალი ბიზნესი შეიქმნა.

ბ-ნი ჯონ ბირნი
პროექტის მენეჯერი
ტელეფონი: +35/(0)40466058
ელფოსტა: jbyrne@seniorenterprise.ie
www.seniorenterprise.ie

FILUR, ინტენსიური ქმედებები უმუშევარი ახალგაზრდების დასახმარებლად, სტოკჰოლმი, შვედეთი[45]

მოსახლეობა: 975 904

FILUR მხარს უჭერს 16-დან 24 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან შრომის ბაზარზე ინტეგრირების კუთხით. პროგრამა ხელს უწყობს მონაწილეთა წვდომას ამ ბაზარზე და მათ კარიერულ წინსვლას. პროექტი დააფინანსა ევროპის სოციალურმა ფონდმა და სტოკჰოლმის შრომის დეპარტამენტმა.

FILUR-ის მიზანია ახალგაზრდებს შორის თავდაჯერებულობის განვითარება და მათი მოტივირება საკუთარი ცხოვრების შესაცვლელად. ეს მიზანი მიიღწევა ტრენინგკურსებით, რომლებიც ითვალისწინებს ყოველდღიურ ჯგუფურ შეხვედრებსა და ინდივიდუალურ მხარდაჭერას. თითოეული მათგანი 12 კვირა გრძელდება და ეფუძნება შესაბამის თემატურ სავარჯიშოებს, რომლებიც წარმოაჩენს მონაწილეთა პროგრესს სამუშაოსადმი მეგობრული უნარებისა და კარიერული წინსვლის გეგმათა განვითარებაში. თორმეტკვირიანი პროგრამის დასასრულს, მონაწილეები ამზადებენ სამოქმედო გეგმებს, რომლებიც ასახავს მათთვის სასურველ მომავალს. დასაქმების შემდეგ, FILUR მონაწილეებს ერთწლიან მენტორობას უწევს, რომლის ფარგლებშიც მათ პირდაპირი კავშირი აქვთ მენტორთან. პროექტის ფარგლებში იქმნება 3 ჯგუფი, თითოეული - 15 მონაწილით.

FILUR ახალგაზრდებს აძლევს თავდაჯერებულობის განვითარების საშუალებას. შედეგად, ისინი შეძლებენ თავიანთი კარიერის გაკონტროლებას და მეტი პასუხისმგებლობის აღებას. პროექტის ფარგლებში, მონაწილეები იძენენ მნიშვნელოვან სამუშაო გამოცდილებას, რომელიც დადებით გავლენას ახდენს მათ დასაქმებაზე. ეს დამსაქმებელთა სასიკეთოდაც მოქმედებს, რადგან ამ პროგრამით ახალგაზრდები სწავლობენ ავტორიტეტის მიმღებლობას სამუშაო ადგილას, კონტაქტების დამყარებას შესაბამის გარემოში და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას. ვინაიდან ტრენინგი ასახავს მონაწილეთა არჩევანსა და პრეფერენციებს, ახალგაზრდები მაქსიმალურად არიან ჩართულნი პროექტში და კონსტრუქციული დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ.

თავის მხრივ, ქალაქისთვისაც მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვთ მოტივირებულ მოქალაქეებს. ამასთან, პროექტი სტოკჰოლმს საშუალებას აძლევს, გრძელვადიანი და მტკიცე ურთიერთობები დაამყაროს კერძო, საჯარო და მოხალისეთა სექტორებთან. შედეგად, მას წვლილი შეაქვს ისეთ საკითხში, როგორიცაა ახალგაზრდების განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2012 წლის ოქტომბრამდე 12-კვირიან პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 245-მა ადამიანმა (122 კაცი და 123 ქალი). აქედან 80.4%-მა წარმატებით დაასრულა ფსიქოლოგიური წარმატების თეორიული ეტაპი და ამჟამად დასაქმებულია, ან სწავლის დაწყებას აპირებს.

ქ-ნი ჰელენ სტარკმანი
პროექტის მენეჯერი
ტელეფონი: +46/(0)761235602
ელფოსტა: Helen.starkman@stockholm.se

ნაწილი III **რეკომენდაციები**

- **ყურადღება გამახვილდეს** სოციალური ორიენტირის მქონე სტარტაპებსა და მეწარმეებზე, რომელთაც საკმარისი სტიმული სჭირდებათ ნაკლებად განვითარებულ პროფესიულ გზაზე სიარულის გასაგრძელებლად;
- **განვითარდეს და დაჩქარებულად შეიქმნას** მწვანე სამუშაო ადგილები, ასევე, ადგილები IT და ციფრულ სექტორში. ეს არაერთ მოქალაქეს მისცემს დასაქმების შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს მდგრადი მომავლის ჩამოყალიბებას;
- **შეიქმნას** უწყვეტი კარიერული კონსულტაციისა და სწავლის შესაძლებლობები, რათა უმუშევარმა ახალგაზრდებმა შეძლონ სამუშაო ძალასთან შეერთება;
- შრომის ბაზრის რე(ინტეგრაციის) პოლიტიკა **დაეფუძნოს** „ქვემოდან ზემოთ“ მონაწილეობის მიდგომას, რათა მოხერხდეს ხანგრძლივად უმუშევარ პირთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, იმ თემის ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინებით, რომელშიც დასაქმდებიან.

საცხოვრისის უფლება

ნაწილი I **განმარტება**

საცხოვრისის უფლება უზრუნველყოფს წვდომას უსაფრთხო, დაცულ, საცხოვრებლად ვარგის და ფინანსურად ხელმისაწვდომ საცხოვრებელზე და იცავს იძულებით გასახლებისგან. ამავდროულად, ის ამცირებს და პრევენციას უწევს უსახლკარობას. მოსახლეობასთან სიახლოვიდან გამომდინარე, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ საცხოვრებელთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენა-დაკმაყოფილება, ასევე, საცხოვრებელთა განვითარების დაგეგმვა და კოორდინაცია.

უსაფრთხო, მდგრადი და მედეგი ქალაქების განვითარებას შეეხება გაეროს მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანი (განსაკუთრებით მე-11).[46] SDG-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური ხელისუფლება, თუმცა, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უნდა გააცნობიეროს თავისი მნიშვნელოვანი როლი ამ კუთხით.

2018 წლის ივლისში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები შეიკრიბნენ გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მთავრობების (UCLG) მიერ ორგანიზებულ სესიაზე. შეხვედრაზე ბარსელონას მერმა წარმოადგინა ერთობლივი დეკლარაცია („ქალაქები ადეკვატური საცხოვრებელი ადგილებისთვის“[47]), რომელიც შეეხება საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის სტრატეგიებს.[48]

გამოვლენილ გამოწვევებს შორის არის: არაფორმალურ დასახლებათა ზრდა, სოციალურ-სივრცითი სეგრეგაცია, ინკლუზიური და მდგრადი ურბანული განვითარების გეგმის საჭიროება, ასევე, დამატებითი ინსტრუმენტების შექმნა, რომ ადგილობრივმა მთავრობებმა უზრუნველყონ უკეთესი სოციალური საცხოვრისები და გამოძებნონ თემზე ორიენტირებული გზები პრობლემის გადასაჭრელად.

გაიხსოვეთ!

საცხოვრებელი ადგილი უფლებაა და არა მოთხოვნილების საგანი. და თუ ქალაქებს სურთ არსებობა და ადამიანის უფლებათა განხორციელება, საცხოვრებელი ადგილი ადამიანის უფლებად უნდა გაითვალისწინონ!

ნაწილი II **რეაგირების მაგალითები**

Wiener Wohnen, ვენა, ავსტრია[49]

მოსახლეობა: 1 897 000

ვენის Wiener Wohnen მუნიციპალური საცხოვრებლის ყველაზე დიდი კომპანიაა ევროპაში, რომელიც, დაახლოებით, 220 000 სოციალურ საცხოვრისს მართავს. ამ ქალაქისთვის სოციალური საცხოვრისი განვითარებისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია.

ვენაში ყოველი ოთხი მოქალაქიდან ერთი მუნიციპალურ ან სუბსიდირებულ საცხოვრებელში ცხოვრობს. გამოსახლების ასაცილებლად, ქალაქის მთავრობამ დანერგა საქმის მართვის ახალი სისტემა, რომელიც ეფუძნება სოციალური მუშაკის ადრეულ ინტერვენციას, როცა პირს გამოსახლება ემუქრება (მაგ: ქირის გადაუხდელობის, ფსიქიკური პრობლემებით გამოწვეული ანტისოციალური ქცევის, ნარკოტიკების/ალკოჰოლის მოხმარების, დემენციის, კომპულსიური აშლილობის ან სხვა მიზეზების გამო). *Wiener Wohnen* მაგალითია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ადამიანთა საჭიროებებზე მორგებული მიდგომა კრიზისისა და გაურკვევლობის დროს; იგი ადასტურებს საცხოვრებლის უზრუნველყოფისა და უსახლკარობის პრევენციის მტკიცე პოლიტიკური ნების არსებობას ადგილობრივ დონეზე.

Stadt Wien – Wiener Wohnen-ის სერვისცენტრი
Rosa-Fischer-Gasse 2,
1030 Vienna, Austria
ტელეფონი: +43/(0)5757575

საცხოვრებელი პოდები და პრობლემის გადაჭრის სხვა საშუალებები, სტოუკ-ონ-ტრენტი, გაერთიანებული სამეფო[50]

მოსახლეობა: 270 726

COVID-19-ის გამო დაწესებულ შეზღუდვებზე რეაგირებისთვის, ქალა სტოუკ-ონ-ტრენტის საბჭო თანამშრომლობს სარემონტო კომპანია Unitas-სა და ორგანიზაცია Macari Foundation-თან. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საცხოვრებელს უსახლკარო ადამიანებისთვის, რათა შესაბამისი საჭიროების მქონე საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ უსაფრთხო განთავსების ადგილი. ამ პარტნიორობისა და ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ყოფილი საწყობი გადაკეთდა განთავსების ცენტრად; კერძოდ, Macari Foundation-**ში დარეგისტრირებულ პირთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ტერიტორიაზე განთავსდა მცირე ზომის ინოვაციური ინდივიდუალური საცხოვრებლები.**[51]

ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რათა ამ პირებს ჰქონდეთ ტუალეტი, საშხაპე კუთხე, სამზარეულო და სამრეცხაო. ადგილზე უკვე არსებობს ხისგან დამზადებული და ცეცხლგამძლე 12 პოდი. თითოეული მათგანი მომხმარებელს სთავაზობს ინდივიდუალურ საწოლს და საცხოვრებელ პირობებს (ტელევიზორთან ერთად). უსაფრთხოების მიზნით, შესაძლებელია შენობის კარის ჩაკეტვა. პირველი მცხოვრებნი პოდებში 2020 წლის მაისში გადავიდნენ. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები 12 ოთახის დასამატებლად, სადაც მოეწყობა სანიტარული სივრცეებიც (სააბაზანოები, ტუალეტები).

საბჭომ სულ 70 ადგილობრივი პირი უზრუნველყო საცხოვრებლით, მათ შორის, სასტუმროებსა და დროებითი განთავსების ადგილებში. ვინაიდან არაერთი ადამიანი აწყდება გამოწვევებს საცხოვრებლის შენარჩუნების კუთხით, ხელისუფლების წარმომადგენლები მუშაობენ ადგილობრივ პარტნიორებთანაც (პოლიცია, ჯანდაცვის სექტორი, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებასთან ბრძოლის ადგილობრივი სამსახური), რათა ამ ადამიანებმა მიიღონ საჭირო მხარდაჭერა. შედეგად, მინიმუმამდე შემცირდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც საცხოვრებელი დაკარგეს. საბჭო ამჟამად მუშაობს ე.წ. აღდგენის გეგმაზე, რათა ადამიანებს საცხოვრებელი ადგილი შეუნარჩუნდეთ შეზღუდვების გაუქმების შემდეგაც.

სტოუკ-ონ-ტრენტი - ები ბრაუნი, საბჭოს წევრი
ლიდერის ოფისი, სამოქალაქო ცენტრი
Glebe Street, Stoke-on-Trent ST4 1HH, United Kingdom
ტელეფონი: +44/(0)1782232468 ან +44/(0)7793844169
ელფოსტა: abi.brown@stoke.gov.uk

500 საკარანტინო ადგილი სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ოდემირა, პორტუგალია[52]

მოსახლეობა: 26 066

თუ ქალაქ ოდემირას სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები COVID-19-ით დაავადდებიან და საჭირო გახდება მათი იზოლირება, მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს გეგმა 500 საკარანტინო ადგილის მოსაწყობად მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ობიექტებში.

ოდემირას მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულია არაერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე. ქალაქის მერის, ხოსე ალბერტო გერეიროს თანახმად, იმიგრანტთა რაოდენობა 8-10 000 ადამიანს შეადგენს[53] და, თუ საჭირო გახდება მათი კარანტინში მოთავსება, მუნიციპალიტეტს მომზადებული აქვს პრევენციის გეგმა: მის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი ობიექტები (მაგ: სპორტული დარბაზები და მრავალფუნქციური პავილიონები), სადაც არსებობს შესაბამისი პირობები, საკარანტინო ადგილებად გადაკეთდება კორონავირუსით დაავადებულთა იზოლირებისთვის. მერი გეგმავს საჭირო ნაბიჯების გადადგმასაც, რათა იზოლაციაში მყოფი პირები უზრუნველყოს საკვებით. გამოყოფილ სივრცეებში შესაძლებელია იქნება, დაახლოებით, 500 ადამიანის განთავსება.

ოდემირას მუნიციპალიტეტი - Câmara Municipal de Odemira
Praça da República 7630-139 Odemira
ტელეფონი: +351/(0)283320900
ელფოსტა: geral@cm-odemira.pt

სოციალური საცხოვრისი ყველაზე მოწყვლადი ადამიანებისთვის პანდემიის პირობებში, ეტერბიკი, ბელგია

მოსახლეობა: 48 194

ეტერბიკი ბრიუსელში პირველი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც უსახლკარო ადამიანებისთვის ქმნის საკარანტინო ადგილებს და იზოლაციის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროს რეკვიზიციით.

სასტუმროში შესაძლებელია 15 ადამიანის განთავსება, უსაფრთხოებისა და სანიტარიული რეგულაციების დაცვით. თითოეულ მოსახლეს აქვს ინდივიდუალური ოთახი და სანიტარიული სივრცე. პრევენციის სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი ასრულებს კოორდინატორის ფუნქციას და უძღვება მათ მიღება-განთავსებას. ჰიგიენის წესების მაქსიმალურად დასაცავად და გადადების რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად, მუნიციპალიტეტის კოორდინატორი, სასტუმროს მენეჯერთან ერთად, ყოველკვირეულად ამოწმებს და მონიტორინგს უწევს სასტუმროში არსებულ მდგომარეობას. ოთახების გარდა, საცხოვრისში მყოფი პირები ყოველდღიურად იღებენ ერთ ცხელ და ერთ ცივ კერძს.

ამ მოკლევადიან ღონისძიებასთან ერთად, აღნიშნულ პირებს ადგილობრივი ხელისუფლება ეხმარება უსახლკარობის პრობლემის მოგვარებაშიც. მათთან მუშაობენ სოციალური მუშაკები, რომლებიც ადგენენ საჭიროებებს, უსმენენ პრობლემებს და გადასაჭრელად სთავაზობენ კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ გზებს (სამედიცინო ცენტრებში დარეგისტრირება, მიგრანტთა სერტიფიცირება და ა.შ.). ამით ბენეფიციარები ერთი ნაბიჯით უახლოვდებიან მუდმივი საცხოვრებლის ქონას. საიზოლაციო პერიოდის გასვლის შემდეგ, სასტუმროს ზოგიერთ მოსახლეს მუდმივი საცხოვრებელი გადაეცა. ზოგიერთი მათგანი გადაიყვანეს შუალედურ სოციალურ საცხოვრისში და ამჟამად ადგილობრივი ხელისუფლება და მისი პარტნიორები მუშაობენ ამ ადამიანთა უსახლკარობის პრობლემის გრძელვადიანად გადაჭრის გზებზე. შუალედურ სოციალურ საცხოვრისში ყოფნისას, მუნიციპალიტეტი აგრძელებს მონიტორინგს ბენეფიციარებზე და აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.

ბ-ნი ვინსენტ დე ვულფი
ელფოსტა: vincentdewolf@etterbeek.be

საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ბოშათა არასტანდარტულ დასახლებებში, ურბანული დაგეგმვის გზით; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ეროვნული ასოციაცია, ბელგრადი, სერბეთი

მოსახლეობა: 1 374 000

ბოშათა დასახლებებში, რომლებმაც, ურბანული დაგეგმვის შედეგად, გარკვეული ცვლილებები განიცადეს, სხვადასხვა პრობლემა აღინიშნება, მაგალითად: საკუთრების საკითხის დაურეგულირებლობა, ქუჩების სპონტანურად ფორმირება და არაადეკვატური რეგულირება, სათანადო

ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებული მიწისა და ობიექტების (ბოროტად) გამოყენება. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში („ევროკავშირის მხარდაჭერა ბოშების ინკლუზიისთვის - ადგილობრივი თემების განმტკიცება“), ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მუდმივმოქმედი კომისია (სერბეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ეროვნული ასოციაცია) ბოშათა დასახლებებს მხარდაჭერას სთავაზობს საცხოვრებლის ლეგალიზებაში, ურბანულ დაგეგმარებასა და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტების მომზადებაში.

მუდმივმოქმედმა კონფერენციამ ღია კონკურსი გამოაქვეყნა ურბანული გეგმების მოსამზადებლად. შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრა მშენებლობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. 23 განმცხადებლიდან შეირჩა 11 ქალაქი და მუნიციპალიტეტი, რომელთაც შესაბამისი მხარდაჭერა გაეწიათ. ამ ადგილობრივ მმართველობათა ტერიტორიებზე ბოშათა თემებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ურბანული გეგმების განვითარებისადმი: 44 სემინარში მონაწილეობა მიიღო 1 100-ზე მეტმა პირმა და მომზადდა 11 ურბანული გეგმა. ადგილობრივ თემთან ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის შესანიშნავი მაგალითია ქალაქი სომბორი (მოსახლეობა: 85 903), სადაც ბაცკი მონოსტორის დასახლების ყველა მცხოვრებმა წერილობით გამოხატა თანხმობა დასახლების ზონირებაზე.

ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მუდმივმოქმედი კონფერენცია სერბეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ეროვნული ასოციაცია
22 Makedonska St. მე-8 სართული, 11 000 ბელგრადი, სერბია
ტელეფონი: +381/(0)113223446
ფაქსი: +381/(0)113221215
ელფოსტა: secretariat@skgo.org

პროექტი „მარია“: უსახლკარო ადამიანთა დროებითი განთავსება COVID-19-ის პანდემიის დროს, ანდერლეხტი, ბელგია

მოსახლეობა: 108 940

COVID-19-ის გავრცელების ასაცილებლად, მუნიციპალურ დაწესებულება „მარიას“ ამჟამად შეფარებული ჰყავს 35 უსახლკარო ადამიანი. მათი უმრავლესობა ანდერლეხტის დასავლეთიდან არის.

სქემა, რომელიც 2020 წლის აპრილში ამოქმედდა, მიზნად ისახავს ღირსეული და ადეკვატური დროებითი საცხოვრებლის შეთავაზებას ანდერლეხტის უსახლკარო პირთათვის, რათა მათ შეძლონ იზოლაციის წესების დაცვა და აირიდონ დაავადების გავრცელება. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლება ბენეფიციარებს სოციალურ და ადმინისტრაციულ რეაბილიტაციას სთავაზობს. ისინი გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასაც იღებენ სოციალური მუშაკების საშუალებით, რომელთა მობილიზებაც მოხერხდა სხვადასხვა პარტნიორთან თანამშრომლობით (მაგ: *Red Cross*, *Medecins du Monde* და ანდერლეხტის მუნიციპალიტეტის სოციალური ინიციატივების საზოგადოებრივი ცენტრი).

ბ-ნი ჰაროლდ პიტერსი
Secrétaire général
Centre public d’action sociale, Commune d’Anderlecht
ელფოსტა: harold.peeters@cpas-anderlecht.brussels

ბ-ნი ფაბრის კამპსი
Bourgmestre
Commune d’Anderlecht
ელფოსტა: mdegrez@anderlecht.brussels

ვაკანტური სახლების გაქირავების სქემა, სტრასბურგი, საფრანგეთი[54]

მოსახლეობა: 1 374 000

სტრასბურგმა შეიმუშავა ახალი სქემა, რომელიც ითვალისწინებს ცარიელ სახლებში სოციალური საცხოვრისის შექმნას. მფლობელთა მხარდაჭერითა და ქირავნობის მართვის ინსტრუმენტთა გამოყენებით, ქალაქი ღარიბ ოჯახებს სთავაზობს ხელმისაწვდომ საცხოვრებელს, რითაც ხელს უწყობს სოციალურ მრავალფეროვნებასა და მდგრად განვითარებასაც.

სტრასბურგში მაღალი მოთხოვნა სოციალურ საცხოვრისზე განპირობებულია იმ ფაქტორებით, რომლებიც ევროპის არაერთ ქალაქში გვხვდება: მოსახლეობის დაბერება, ოჯახების დანგრევა, ახალგაზრდების მუშაობა დაბალანაზღაურებად სამსახურში, ლტოლვილთა შემოდინება და ა.შ. მას შემდეგ, რაც ქალაქს სოციალური საცხოვრისის მოთხოვნით 23 000 განცხადება წარედგინა, მზარდი მოთხოვნის შესამცირებლად, მთავრობამ გადაწყვიტა ცარიელი კერძო საცხოვრებლების მობილიზაცია. სამშენებლო პროექტებისა და ქირის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი გრანტები იმ დროს ხელმისაწვდომი იყო, თუმცა ეს ვერ აგვარებდა ძირითად პრობლემას - მიზეზს, რის გამოც მესაკუთრეები უარს ამბობდნენ თავიანთი საცხოვრებლების გაქირავებაზე.

2016 წელს ქალაქმა გადაწყვიტა, დაეწყო ბრძოლა უსახლკარობასა და უთანასწორობასთან. შედეგად, შეიქმნა ცარიელი სახლების გაქირავების სქემა, რომელსაც აფინანსებდა ქალაქის ხელმძღვანელობა და მხარს უჭერდა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო. მესაკუთრეთა წასახალისებლად, გამოიყო 320 000 ევრო და, დამატებით, 15 000 ევრო საკომუნიკაციო ხარჯების დასაფარად. სქემას ხელმძღვანელობდა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე კოორდინატორი.

პროექტი მესაკუთრეებს საშუალებას აძლევს, 60%-მდე სუბსიდიები მოითხოვონ, მაგალითად, მშენებლობისთვის, ან ენერგიის დასაზოგავად საჭირო სამუშაოებისთვის; ასევე, უფასო დახმარებით ისარგებლონ საბანკო სესხის მისაღებად და შესაბამისი დოკუმენტების მოსამზადებლად. მესაკუთრეებს მიეწოდათ სანდო ადგილობრივ კომპანიათა ჩამონათვალი, რომლებიც შეძლებდნენ მათ დახმარებას ყველა მიმართულებით, მათ შორის, სამშენებლო სამუშაოებში, მძიმე ავეჯის გადაადგილებაში და ა.შ. სურვილის შემთხვევაში, მესაკუთრეებს დახმარების მიღება შეუძლიათ დამქირავებლის მოძიებაშიც, მათ შორის, ასოციაციებისგან, რომლებიც შუამავლის ფუნქციას ასრულებენ მესაკუთრეებსა და იმ დამქირავებლებს შორის, რომელთაც შეზღუდული აქვთ წვდომა საცხოვრებელზე (მაგ: ლტოლვილები, ან ძალადობის მსხვერპლნი). ასეთ შემთხვევაში, ასოციაცია იღებს პასუხისმგებლობას ქირავნობის მართვასა და ქირის გადახდაზე. შესაბამის ინსტრუმენტთა კრებულში განმარტებულია, თუ როგორ შეუძლიათ მესაკუთრეებს 70%-მდე შეღავათით სარგებლობა ქონების გადასახადთან მიმართებით, თუკი სახლს სოციალური სააგენტოების მეშვეობით გააქირავებენ, ასევე, 6 000 ევრომდე ბონუსის მოთხოვნა, თუ მათი სახლი გახდება სერტიფიცირებული სოციალური საცხოვრებელი.

პროექტის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ, სქემის პარტნიორია 10 მუნიციპალიტეტი, 225 კერძო საცხოვრებლით, რომლებიც ხელმისაწვდომ სახლებად გადაიქცა. აქედან, დაახლოებით, 40%-ში ცხოვრობენ ყველაზე

მოწყვლადი ადამიანები სოციუმში. ქალაქი მიიჩნევს, რომ ამ წარმატებას განაპირობებს სამი გარემოება: მოკრძალებული და პრაგმატული მიდგომა; პირდაპირი ინტერაქცია მესაკუთრეებთან, რომლებიც უარს ამბობენ თავიანთი საკუთრების მიქირავებაზე შეზღუდული ფინანსური რესურსების მქონე ადამიანებისთვის; და ასოციაციების ჩართულობა.

ქ-ნი ჟენევიევ ბრუნი
პროექტის მენეჯერი
Service habitat – Strasbourg
ელფოსტა: Genevieve.BRUN@strasbourg.eu

ჭკვიანი სახლების პროექტი, ბრისტოლი, გაერთიანებული სამეფო[55]

მოსახლეობა: 535 907

„ჭკვიანი სახლები“ ევროკავშირის REPLICATE-**ის პროექტის ნაწილია და ბრისტოლის სამი ოლქის მოსახლეობას აძლევს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გაცნობის საშუალებას, რომლებიც მათ ფინანსების დაზოგვაში დაეხმარება.**

პროექტი ქალაქს სხვადასხვა მნიშვნელოვან შესაძლებლობას სთავაზობს: არსებულ უთანასწორობასთან საბრძოლველად, მოქალაქეებს აძლევს ტექნოლოგიურ უნართა დაუფლების საშუალებას; მოსახლეობის ქცევის შესაცვლელად, ხელს უწყობს ენერგიის ყველაზე იაფი და ეკომეგობრული წყაროების გამოყენებას; ასევე, ითვალისწინებს ჭკვიანი ტექნოლოგიების კვლევასა და გამოცდას და შესაბამისი ცოდნის მოპოვებას ჭკვიანი ქალაქის პლატფორმის შესამუშავებლად.

ქალაქმა ბრისტოლის ენერგიის ქსელს (ენერგოსაკითხებით დაინტერესებული ადამიანებისა და მათი ჯგუფების ქოლგა ორგანიზაცია) დაავალა ისეთი პირებისა და არაკომერციული ორგანიზაციების მოძიება, რომლებიც ქალაქს პროექტის მომზადებაში დაეხმარებოდნენ. ჭკვიანი ტექნიკის გამოსაცდელად, შეირჩა ენერგოსაკითხებით დაინტერესებული 14 ადგილობრივი ჯგუფი, რომელთაც დაევალათ პროექტის პოპულარიზაცია და მონაწილეთა მოზიდვა. მთელი ეს პროცესი არაფორმალურად მიმდინარეობდა: გადაწყვეტილებები, რომლებიც, როგორც წესი, დახურულ კარს მიღმა მიიღებოდა, ღიად განიხილებოდა. ჩატარდა შეხვედრები, ინტერაქტიული ღონისძიებები, სემინარები და ქუჩის დისკუსიები.

პროექტმა შეძლო, წარმატებით დაკავშირებოდა ადამიანებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არიან ჩართულნი მსგავს სქემებში: მონაწილეთა 29% სოციალურ საცხოვრისში ცხოვრობს, 31%-ს შეადგენენ ფერადკანიანები, აზიელები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ხოლო 14% რეგისტრირებულია, როგორც შშმ პირი. პროექტმა სამიზნე მაჩვენებლებს გადააჭარბა: კერძოდ, 150-ზე მეტ სახლში უფასოდ განთავსდა ინტერნეტთან დაკავშირებული სარეცხი და საშრობი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები და ჭკვიანი ტექნოლოგიის ნაკრებები. კომპლექტი მოიცავს ჭკვიან მრიცხველებსა და კომპიუტერებს, რომლებიც, უსაფრთხო ვირტუალურ ქსელის საშუალებით, მონაცემებს ჭკვიანი ქალაქის პლატფორმას გადასცემენ. მონაწილე ოჯახები წელიწადში, დაახლოებით, 55 ბრიტანულ ფუნტს ზოგავენ და ხელს უწყობენ წლიურად გამოყოფილი ნახშირორჟანგის 100კგ-ით შემცირებას. მზადდება ინოვაციური პროექტი, რომელიც განიხილავს ოჯახების მიერ ფინანსური რესურსების დაზოგვას ელექტროენერგიის ყველაზე ნაკლებმოთხოვნად პერიოდებში გამოყენებით. ეს შეიძლება მოხერხდეს ისეთი ტექნოლოგიების მეშვეობით, რომლებითაც კონტროლდება მათი საოჯახო ტექნიკის ფუნქციონირება.

ბ-ნი მეთიუ ჯონსი
„ჭკვიანი სახლების“ პროექტის მენეჯერი
ელფოსტა: matt.jones@bristol.gov.uk

ნაწილი III **რეკომენდაციები**

- **გათვალისწინებული და დაცული იყოს** ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, როდესაც საქმე ეხება ურბანულ დაგეგმვასა და საცხოვრებლებს, ასევე უსახლკარობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს;
- **ხელი შეეწყოს და დაინერგოს** ჭკვიანი საცხოვრებლის ტექნოლოგია, ნახშირორჟანგის გამოყოფის შესამცირებლად და კლიმატის მდგრადი საშუალებებით დასაცავად;
- **შეიქმნას და შენარჩუნდეს** სოციალური საცხოვრისები მუნიციპალიტეტში, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (ჯანდაცვის) მორიგ კრიზისზე პირველად რეაგირებაში;
- **შეღავათები შესთავაზონ** უძრავი ქონების მესაკუთრეებს, რათა მათ გააქირაონ თავიანთი საკუთრება სოციალური საცხოვრებლის მიზნებისთვის;
- **გამოიყენონ** არსებული მუნიციპალური არქიტექტურა სოციალურ უფლებათა ხელშეწყობისა და გაჭირვებული მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით.

ჯანმრთელობის უფლება

ნაწილი I **განმარტება**

ჯანმრთელობის უფლება უზრუნველყოფს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლეს სტანდარტს, მათ შორის, წვდომას ზრუნვაზე, კვებაზე, სუფთა წყალსა და ჰაერზე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად[56], ჯანმრთელობა განისაზღვრება, როგორც სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა, და არა მხოლოდ რაიმე სახის დაავადების ან უძლურობის არარსებობა. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვა არ კმარა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებათა ეფექტიანად და მდგრადი ფორმით დაკმაყოფილებისთვის. **ამ სფეროში არსებულ უთანასწორობათა აღმოფხვრა მოითხოვს სოციალურ უფლებებზე დაფუძნებულ კომპლექსურ მიდგომას.**[57]

მაგალითად, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ჯანდაცვის პოლიტიკის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ გენდერზე. ირლანდია პირველი ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც ჯერ კიდევ 2008 წელს მოამზადა ასეთი პოლიტიკა კონკრეტულად კაცებისთვის.[58]

მაგრე ბონუსი!

ჯანდაცვაზე სრულფასოვანი წვდომისათვის, ხელისუფლებამ უნდა გაატაროს სოციალური დაცვის ფართო ღონისძიებები და შეიმუშაოს ინკლუზიური და მდგრადი ჯანდაცვის სისტემები, რომლებიც ფინანსურად ხელმისაწვდომი იქნება თითოეული მოქალაქისთვის.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა როლი ამ მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ აქვთ არაერთი ინსტრუმენტი, რომლებიც გააუმჯობესებს წვდომას ჯანდაცვასა და სამედიცინო დახმარებაზე, ასევე, აამაღლებს ცნობიერებას და **ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას** აღნიშნული საკითხების მიმართ.

ნაწილი II **რეაგირების მაგალითები**

Doctors of Hope, ვარშავა, პოლონეთი

მოსახლეობა: 248 358

ვარშავაში დაზღვევის არმქონე პაციენტებს ემსახურება ერთადერთი სამედიცინო კლინიკა, სახელწოდებით Doctors of Hope, რომელიც თავდაპირველად Doctors of the World-ის (Medicins du Monde) ფილიალი იყო. 2016 წელს დაფინანსების 40% მისთვის ვარშავამ და მაზოვიას პროვინციამ გამოყო.

ექიმები პაციენტებს უსასყიდლოდ ემსახურებიან, ხოლო კლინიკა სერვისებს დისკრიმინაციის გარეშე აწვდის როგორც პოლონეთის, ისე ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებს, ბინადრობის სტატუსის მიუხედავად. 2015 წელს იგი, დაახლოებით, 8 000 პაციენტს მოემსახურა. ვარშავაში ეს ერთადერთი დაწესებულება ოპერირებს სამედიცინო დაზღვევის არმქონე პაციენტებისთვის, თუმცა მთლიანად პოლონეთში ორი ასეთი კლინიკა მოქმედებს. *Doctors of Hope* სამინისტროებსა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან აქტიურად ლობირებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას მათთვის, ვისაც დაზღვევა არ აქვს (სტატუსის მიუხედავად). კლინიკის ექიმები მჭიდროდ თანამშრომლობენ პოლონეთის ომბუდსმენთან და არიან საქალაქო საბჭოში არსებული სამოქალაქო საზოგადოების საკონსულტაციო ორგანოს წევრებიც (ეს ორგანო კონსულტაციას აწვდის უსახლკარობის საკითხებზე).

Doctors of Hope - ლეკარზე ნაძიეი
ul. Wolska 172,
01-258 Warsaw
ტელეფონი: +48/(0)228368182
ელფოსტა: lekarzenadziei@vp.pl

ჯანმრთელობის მონიტორინგის სახელმძღვანელო, ატიკას რეგიონი, საბერძნეთი[59]

მოსახლეობა: 3 742 000

კორონავირუსის პანდემიაზე რეაგირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, რათა ადამიანებმა შეძლონ ჯანმრთელობის შენარჩუნება და კარანტინის რეგულაციების დაცვა. ჯანმრთელობაზე მონიტორინგის სახელმძღვანელო, რომელიც ატიკის რეგიონში (ათენი) გამოიცა ათენის სამედიცინო ასოციაციის ძალისხმევით, ხელმისაწვდომია ონლაინ და შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა და ამობეჭდვა.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია: რჩევები და დეტალური ინსტრუქციები სიმპტომების მონიტორინგზე; ტემპერატურის 14-დღიანი კალენდარი, რომელიც მოქალაქეებმა უნდა შეავსონ; და ცხელი ხაზის ნომრები, რომლებზეც მათ უნდა დარეკონ ამ სიმპტომთა გაუარესების შემთხვევაში.

ატიკას რეგიონი
Leof. Andrea Siggrou 15-17,
117 43, ათენი, საბერძნეთი
ტელეფონი: 30/(0)2132064100

ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების მკურნალობის ინტეგრირებული სერვისი, ანგუსის საბჭო, გაერთიანებული სამეფო

მოსახლეობა: 116 040

„ანგუსის ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების მკურნალობის ინტეგრირებული სერვისი“ შეიქმნა სხვადასხვა სექტორში არსებულ მომსახურებათა გასაერთიანებლად. კერძოდ, პროექტმა გააერთიანა ორი სხვადასხვა სფეროს პერსონალი: (1) „ჯანდაცვის ეროვნული სერვისის“ კვალიფიციური მედდები, რომლებიც კლინიკის ბაზაზე ახორციელებენ ოპიოიდით ჩანაცვლების თერაპიას და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირებს უწევენ კონსულტაციას ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტისა და Care Excellence-**ის პროტოკოლის შესაბამისად; (2) კვალიფიციური სოციალური მუშაკები, რომლებიც აწვდიან თემზე დაფუძნებულ სერვისებს და იყენებენ ინტერვენციის ფსიქოსოციალურ მოდელს. შედეგად, ჩამოყალიბდა ერთი**

ახალი სერვისი, რომელიც აერთიანებს ორივე მიმართულებით არსებულ საუკეთესო პრაქტიკას.

ინოვაციური პროექტი ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს:

მკურნალობის ახალი, ხელმისაწვდომი, ადამიანზე ორიენტირებული და მოქნილი მიდგომების დანერგვა როგორც თემში, ისე კლინიკებში; სერვისის მიწოდების ჰოლისტიკური მიდგომის გამოყენება; დაჩქარებული წვდომა მკურნალობაზე; მულტიდისციპლინური მხარდაჭერა პაციენტებისათვის გამოჯანმრთელების ყველა ეტაპზე; დეტოქსიკაცია და რეციდივის პრევენცია. ადგილობრივ პროფესიონალთა გუნდი სათანადო მხარდაჭერას უწევს სერვისის მომხმარებლებს, ეფექტიანად რეაგირებს პაციენტთა საჭიროებებზე და მოქმედებს მომსახურების მიწოდების ადგილობრივი გეგმით დადგენილ სტანდარტთა შესაბამისად.

AIDARS Gowanlea
12-14 Seaton Road, Arbroath DD11 5DT
ტელეფონი: +44 1241 822502
ელფოსტა: alcoholdrugbbv@angus.gov.uk
https://bit.ly/3qnhRSO

საბერძნეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ასოციაციის ძალისხმევა COVID-19-თან ბრძოლისათვის, საბერძნეთი

მოსახლეობა: 3 742 000

საბერძნეთში საჭირო გახდა არსებული სახელმწიფო სერვისების მორგება იმ ახალ პრიორიტეტებზე, რომლებიც წარმოიშვა კორონავირუსული პანდემიით შექმნილი საგანგებო მდგომარეობის დროს. საბერძნეთის მუნიციპალიტეტთა ცენტრალურმა ასოციაციამ (KEDE) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ძალისხმევა ეფექტიანად მიმართა ჯანდაცვის კრიზისით გამოწვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისკენ:

მანქანების გაქირავების კერძო კომპანიასთან თანამშრომლობით, KEDE-მ მუნიციპალიტეტებისთვის გამოყო 500 მანქანა; *My Market Group*-თან მჭიდრო თანამშრომლობით, მუნიციპალური ბაზრები აღიჭურვა 600 000-ზე მეტი ნივთით (რომელთა საერთო ღირებულება 120 000.00 ევროა), რათა მათ შეძლებოდათ მოსახლეობის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება; ინიციატივა ΕΛΛΑ-ΔΙΚΑ ΜΑΣ-სთან თანამშრომლობით კი ათენისა და ქსანტის მუნიციპალიტეტებში დარიგდა მარაგები უსახლკარო ადამიანთა კვებითი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება საბერძნეთის მუნიციპალიტეტებში არსებულ სამედიცინო საჭიროებებს, KEDE მათ აღსარიცხად იყენებს საკუთარ ვებსაიტზე განთავსებულ ინტერაქტიულ ცენტრს.[60] ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ქვეყანამ კერძო დაფინანსება მოიძია. KEDE-ს სოლიდარობის ცენტრმა საფუძველი შექმნა მუნიციპალიტეტებს შორის სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობისთვის.

ამასთან, ასოციაცია თანამშრომლობს საბერძნეთის მოხალისეთა მოძრაობასთან, რომელიც 2 000 ადამიანს აერთიანებს. მან შექმნა პლატფორმა, რომლის საშუალებითაც მუნიციპალიტეტები ახერხებენ მოხალისეთა მობილიზებას ადგილობრივ დონეზე სოციალური სამუშაოს შესასრულებლად.

KEDE-ს ვებგვერდზე შექმნილია მუნიციპალიტეტთა სოლიდარობისა და ინტერაქციის ცენტრი, რომელიც თვითმმართველობებს აძლევს ადგილობრივ დონეზე არსებულ სოციალურ საჭიროებათა დარეგისტრირების საშუალებას.

და ბოლოს, შემცირდა მუნიციპალური შენობების იჯარა და მასთან დაკავშირებული გადასახადები; ამასთანავე, პლატფორმა, რომელსაც KEDE ტელეკონფერენციისთვის იყენებს, ხელმისაწვდომი გახდა მუნიციპალიტეტებისთვისაც, რათა შეხვედრები ტელეკონფერენციის ფორმატში გამართონ.

საკონტაქტო ინფორმაცია
Akadimias 65 & Gennadiou 8, 106 78, Αθήνα
ტელეფონი: +30/(0)2132147500
ტელეფონი: +30/(0)2103820807
ელფოსტა: info@kedke.gr

საკვების შინ მიწოდებისა და უფასო ტაქსის სერვისი ხანდაზმულთათვის COVID-19-ის პირობებში, მონაკოს საქალაქო საბჭო, მონაკო

მოსახლეობა: 38 682

70 წელს გადაცილებულ ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც COVID-19-ის გამო იზოლაციაში იმყოფება, შეუძლია სარგებლობა საკვების შინ მიტანის სერვისით. გარდა 150 ულუფა საკვებისა, რომლებსაც Princess Grace Hospital Centre **ყოველდღიურად ამზადებს და აწვდის ხანდაზმულებს, 150 სადილსა და 75 ვახშამს ამზადებს მონაკოს** Lycée Technique et Hôtelier **(LHTM). დამატებით, მობილიზებულია მონაკოს ტაქსებიც, რათა ბენეფიციარები უფასოდ წაიყვანონ ექიმთან ვიზიტებზე.**

ხანდაზმულ მოქალაქეთათვის საკვების შინ მიტანის სერვისი შემდეგ უწყებათა თანამშრომლობის შედეგია: LTHM-ის გუნდი (დირექტორისა და მერის მე-6 მოადგილის ხელმძღვანელობით); მონაკოს საქალაქო საბჭოს ორი დეპარტამენტი (ხანდაზმულ მოქალაქეთა სამსახური და სოციალური ინიციატივების სამსახური, რომლებიც მართავენ საკვების შეკვეთა-გადაცემის პროცესს); და *Service du Domaine Communal – Commerce, Halles et Marchés* (რომელიც ქმნის მენიუებს და უკვეთავს საჭირო ნედლეულს/ინგრედიენტებს). საკვებს აწოდებენ ხანდაზმულ მოქალაქეთა და სოციალური ინიციატივების სამსახურების ჯგუფები, *Monegasque Red Cross*-ის მოხალისეთა მხარდაჭერით. გაჭირვებული და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისთვის საკვების მიწოდებას აფინანსებს ქალაქის მერია.

ამ სერვისის გარდა, მობილიზებულია მონაკოს ტაქსებიც, რათა ხანდაზმული პირები უფასოდ გადაიყვანონ ექიმთან ვიზიტებზე. მოქალაქეთა საჭიროებებისა და ტაქსზე არსებული მოთხოვნების აღრიცხვა და მართვა ევალება ხანდაზმულ მოქალაქეთა და სოციალურ ინიციატივების სამსახურებს.

ქ-ნი ჰელენ ზაკაბრი
მერიის გენერალური მდივანი
ტელეფონი: +377/(0)93152850
ელფოსტა: hzaccabri@mairie.mc

პირბადეების საწარმო, სადეზინფექციო გვირაბი და წიგნების მიწოდების ონლაინსერვისი COVID-19-ის პირობებში, გაზიანთეფის, ორდუს და ქეჩიორენის მუნიციპალიტეტები, თურქეთი

მოსახლეობა: 1 931 836 (გაზიანთეფი), 771 932 (ორდუ), 817 262 (ქეჩიორენი)

COVID-19-ის კრიზისის დროს თურქეთის მუნიციპალიტეტებმა არაერთი სოციალური და ჰუმანიტარული დახმარების პროექტი განახორციელეს. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად, პროგრესულად დაინერგა პროაქტიული ღონისძიებები. გაზიანთეფის, ორდუსა და ქეჩიორენის ქვემოთ განხილული მაგალითები წარმოგვიდგენს ინოვაციის, მოქნილობისა და ადაპტაციის ნიმუშებს ჯანდაცვის გლობალური კრიზისის დროს, კერძოდ, სოციალური უფლებების ჭრილში.

გაზიანთეფის მუნიციპალიტეტმა COVID-19-ის პანდემიის დროს მხარი დაუჭირა ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო წარმოებას და განახორციელა

პროექტები ფერმერებისთვის. ქალაქი არაერთ სირიელ ლტოლვილს მასპინძლობს. შესაბამისად, მისმა ხელმღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე დაცვის ღონისძიებების, პერსონალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის საკითხების შესახებ. გაზიანთეფი პირველი მუნიციპალიტეტია თურქეთში, სადაც შეიქმნა პირბადეების საწარმო. გარდა ამისა, ქალაქმა ჯანდაცვის სპეციალისტები უზრუნველყო უფასო საცხოვრებლითა და ტრანსპორტით. COVID-19-ის პანდემიის დროს მან ყველაზე ეფექტიანად მართა კრიზისი 18 პროექტის განხორციელებით, რომელთაგან 10 ითვალისწინებდა დაცვას, ხოლო 8 - სოციალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას.

ორდუს მუნიციპალიტეტმა შექმნა „Aircor 52-ის სადეზინფექციო გვირაბი“ იმ მოქალაქეთა ტანსაცმლის დეზინფექციისთვის, რომელთაც შინიდან გასვლა და სამსახურში სიარული უწევდათ. ქალაქის ცენტრში განთავსებული გვირაბი სენსორებზე მუშაობს და არ ახდენს უარყოფით გავლენას ჯანმრთელობაზე.

ქეჩიორენის მუნიციპალიტეტმა თავის ვებსაიტზე შექმნა „წიგნის გამოძახების“ სერვისი, რომელიც მოქალაქეებს აძლევს ბიბლიოთეკიდან წიგნების გამოტანის შესაძლებლობას, ასევე, წვდომას *Fatih*-ის ბიბლიოთეკაში დაცულ 40,000-ზე მეტ გამოცემაზე. მოთხოვნილი წიგნი, დეზინფექციისა და ჩანთაში განთავსების შემდეგ, მომხმარებელს 48 საათში ეგზავნება.

ქ-ნი აიბენ ოქალი აქთაში
საერთაშორისო საქმეთა დეპარტამენტი
ტელეფონი: +90 312 419 21 00/ 367
ფაქსი: +90 312 419 21 30
ayben.okkali@tbb.gov.tr
http://www.tbb.gov.tr

მობილური საავადმყოფო COVID-19-ით დაავადებულ პაციენტთათვის, იასის საოლქო საბჭო, რუმინეთი[61]

მოსახლეობა: 772 348

2020 წლის აპრილში იასის საოლქო საბჭომ განაცხადა, რომ ამ ქალაქთან ახლოს მდებარე ტრანსაგროპოლის ინდუსტრიულ პარკში მოეწყობოდა 250-საწოლიანი მობილური საავადმყოფო COVID-19-ით დაავადებული პაციენტებისათვის. ახალი სამედიცინო განყოფილება ემსახურება მთლიან ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონს.

მობილური საავადმყოფო ერთობლივად შეისყიდეს იასის, ნიმტისა და ბაკაუს საოლქო საბჭოებმა, *Euronest*-ის თემთაშორისი განვითარების ასოციაციის საშუალებით. ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 17.6 მილიონ ევროს. იასის საოლქო საბჭოს წევრებმა მობილური საავადმყოფოების შესაძენად 10.3 მილიონი ევრო გამოყვეს, ნემტისა და ბაკაუს საოლქო საბჭოებმა კი, შესაბამისად, 3.2 და 4.1.

ახალ სამედიცინო ობიექტში სპეციალური სივრცეა გამოყოფილი სამედიცინო ანალიზების ჩასაბარებლად და პაციენტთა შესამოწმებლად; ასევე არსებობს საოპერაციო ოთახები, ინტენსიური თერაპიის განყოფილება (50-70 საწოლით) და სამედიცინო მოწყობილობათა შესანახი ოთახი.

იასის საოლქო საბჭოს პრეზიდენტის განცხადებით, პანდემიის შემდეგ, მობილურ საავადმყოფოს გამოიყენებენ სამედიცინო კამპანიებისთვის, ასევე, სამედიცინო ქარავნებისთვის მოლდოვას რეგიონის სოფლებში და გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევებთან გასამკლავებლად; შესაძლოა, ის გადაეცეს საგანგებო სიტუაციების ინსპექტორატს.

ბ-ნი მარისელ პოპა
Bd. Stefan cel Mare si Sfant, nr. 69, 700075 Iasi
ტელეფონი: +40/(00)40232210330
ფაქსი: +40(00)40232261360
ელფოსტა: maricel.popa@icc.ro

ნაწილი III **რეკომენდაციები**

- **გააქტიურდეს** მობილური საავადმყოფოების გამოყენება საზოგადოების მარგინალიზებული წევრებისთვის, რომელთაც არ აქვთ წვდომა ჯანდაცვაზე;
- **შენარჩუნდეს** გლობალური პანდემიისას დანერგილი სასარგებლო და ინოვაციური ჯანდაცვითი ღონისძიებები, რათა ისინი მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისთვის. ამ გზით, COVID-19-ის კრიზისის დროს მიღებული მნიშვნელოვანი გამოცდილება გამოყენებული იქნება საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგაც;
- **ამაღლდეს** მოქალაქეთა ცნობიერება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ, რათა პროაქტიული ქცევით, მათ შორის, პირადი ჰიგიენის დაცვით, დაიცვან საკუთარი ჯანმრთელობა;
- **გასათვალისწინებელია უფლებათა მჭიდრო ურთიერთკავშირი:** ჯანმრთელობაზე წვდომა საჭიროებს საცხოვრებელზე, დასაქმებასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე წვდომასაც.

სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება

ნაწილი I **განმარტება**

სოციალური დაცვის უფლების თანახმად, ყველას, ასაკის ან მუშაობის უნარის მიუხედავად, უნდა შეეძლოს საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება და საბაზისო სერვისების მიღება.

ყველა მოქალაქე თანასწორად უნდა სარგებლობდეს სოციალური დაცვის უფლებებით. ამასთან, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია სოციალური დაცვის გაუმჯობესება, ან სოციალურ დებულებათა შეტანა საჯარო შესყიდვებში.

ახალგაზრდების ჯგუფებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ არასტაბილური დასაქმების გამო, მათ ხშირად არ აქვთ ფინანსური დახმარების მიღების უფლება. OECD-ის ქვეყნებში უმუშევრობის დახმარებას იღებს ახალგაზრდების მხოლოდ 30%, მაშინ, როდესაც ამ ასაკობრივ ჯგუფში სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ხანდაზმულებს შორის.

იცით თუ ასა, რომ?

სოციალური უფლებებით სრულფასოვან სარგებლობას ხელს უშლის ზრუნვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები: OECD-ის თანახმად, ქალები 1.4-ჯერ უფრო ხშირად ხვდებიან NEET-ის კატეგორიაში (განათლების, დასაქმების ან სწავლების მიღმა დარჩენილი პირები), ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცები.[62] შესაბამისად, ბავშვზე ზრუნვის მოქნილი და ფინანსურად ხელმისაწვდომი სქემის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია ქალთა სოციალური უფლებების დასაცავად.

ნაწილი II **რეაგირების მაგალითები**

B-MINCOME, ბარსელონა, ესპანეთი

მოსახლეობა: 5 575 000

ბარსელონის ღარიბ უბნებში სიღარიბესა და უთანასწორობასთან საბრძოლველად, ქალაქის საბჭომ და მისმა პარტნიორებმა შექმნეს საპილოტე პროექტი, სახელწოდებით B-MINCOME**. პროექტის ინოვაციური ასპექტია მინიმალური შემოსავლის პოლიტიკის ექსპერიმენტირება სხვადასხვა ფორმით. კერძოდ, იგი მოიცავს ეკონომიკური მხარდაჭერის ზომებს და ოთხი სახის აქტიური ინკლუზიის პოლიტიკას: (1) ტრენინგი და დასაქმება, (2) სოციალური ეკონომიკა, (3) დახმარება ოთახების გაქირავებაში და (4) საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა.**

პროექტის სახელწოდება მომდინარეობს მინიმალური შემოსავლის ექსპერიმენტიდან, რომელიც 1970-იან წლებში კანადაში ჩატარდა. იგი ამოწმებს მინიმალური შემოსავლის პოლიტიკის სხვადასხვა ფორმის ეფექტიანობას. პასიური ეკონომიკური მხარდაჭერისა და აქტიური სოციალური ინკლუზიის პოლიტიკის გაერთიანებით, ბენეფიციარები საზოგადოებაში მეტად ინტეგრირებულად გრძნობენ თავს. მინიმალური შემოსავლის უზრუნველყოფით, პროექტი *B-MINCOME*-ის ბენეფიციარებს აძლევს მოქმედების თავისუფლებას, ასევე, განამტკიცებს მათ უნარებს გადაწყვეტილების მიღების კუთხით, რათა თავად შექმნან სტრატეგიები მოწყვლადი მდგომარეობიდან დასაღწევად. პროექტის მიზანია ისეთი ეკოსისტემის შექმნა, რომელიც ებრძვის სიღარიბესა და გარიყულობას, რათა საჯარო და კერძო სუბსიდიებზე დამოკიდებულების შემცირებით, ბენეფიციარები გაძლიერდნენ და გახდნენ დამოუკიდებლები. 2017-2018 წლებში განხორციელებული საპილოტე პროექტის წინასწარი შედეგების ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის ივლისში.[63]

ქალაქ ბარსელონის საბჭო
Plaça de Sant Jaume, 1,
08002 ბარსელონა
ტელეფონი: +34/(0)934027000

საკვები პროდუქტების მიწოდების ცენტრი და საწყობი COVID-19-ით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობისას, ლიდსი, გაერთიანებული სამეფო

მოსახლეობა: 474 632

ქალაქ ლიდსის საბჭომ მიაგნო მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ინოვაციურ გზებს: COVID-19-ის კრიზისის პირობებში, ერთ-ერთ სასაწყობე პუნქტს იყენებს გაჭირვებული მოქალაქეებისთვის სურსათის მისაწოდებლად. კერძოდ, ობიექტი ასრულებს საკოორდინაციო პუნქტის ფუნქციას, საიდანაც ავტომობილებს გააქვთ საკვები პროდუქტები და ადგილზე აწოდებენ მოქალაქეებს. ამასთან, სასურსათო პაკეტების დასაფასოებლად გამოყოფილია ფართო სივრცე, სადაც შესაძლებელია სოციალური დისტანციის დაცვა. 18 მარტიდან 27 აპრილამდე ამ ობიექტის საშუალებით 10 083 სასურსათო პაკეტი დაფასოვდა და მიეწოდა მოქალაქეებს.

აღნიშნული სერვისით სარგებლობენ ის ოჯახები და პირები, რომლებსაც სირთულეები აქვთ საკვებზე წვდომის კუთხით (მათ შორისაა ფინანსური სიდუხჭირე, თვითიზოლაცია, ან მაღალი რისკის კატეგორიაში მოქცევა). მოქალაქეთა ინფორმირებისთვის, საბჭომ გამოაქვეყნა ბროშურა, განმარტებით, თუ ვის აქვს ამ მომსახურების მიღების უფლება.[64] ბენეფიციარებს შეუძლიათ, ისარგებლონ მოხალისეობრივი მიტანის სერვისით (უკონტაქტო მიტანა), ან თავად მიაკითხონ ადგილობრივ ცენტრებს, როგორიცაა: საკვების ბანკები, სათემო ცენტრები, არაკომერციული ორგანიზაციების ოფისები, სკოლები, ან საბავშვო ცენტრები. ადგილობრივი სკოლები და მათი კაფეტერიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახებისთვის სურსათის მიწოდებაში (სასკოლო საკვების ჩათვლით). დეტალური ინფორმაცია ამ სისტემაზე, მათ შორის, გამოყოფილ ბიუჯეტზე, ხელმისაწვდომია საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.[65]

ლიდსის საბჭო
სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
+44/(0)1133760330
https://www.leeds.gov.uk/leedsmic/local-welfare-support

გრანტი უცხოელი სტუდენტებისთვის COVID-19-ით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ქალაქ რიგის საბჭო, ლატვია

მოსახლეობა: 632 614

ქალაქ რიგის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რიგაში მცხოვრებ უცხოელ სტუდენტებს, რომელთაც COVID-19-ით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობისას ამ ქალაქში დარჩენა მოუწიათ და არ ჰქონდათ საბაზისო საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა. გრანტზე შეტანილ მოთხოვნათა შესწავლის შემდეგ, თითოეულ სტუდენტს, რომელიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა, გადაეცა 128 ევრო.

რიგის საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ამ ქალაქში მცხოვრებ უცხოელ სტუდენტებს შეეძლოთ, მიეღოთ სუბსიდია 128 ევროს ოდენობით, თუკი COVID-19-ის პანდემიის გამო მატერიალური პრობლემები ჰქონდათ. განმცხადებლებს უნდა წარედგინათ: დოკუმენტი, რომელიც ასახავდა მათ მოულოდნელ სირთულეებს; რიგაში ცხოვრების უფლებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მტკიცებულებები; და საბანკო რეკვიზიტები. დეტალური ინფორმაცია განაცხადის წარდგენასა და შესაბამის კრიტერიუმებზე ხელმისაწვდომი იყო ქალაქის საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.[66] გრანტი გაიცემოდა საბაზისო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ინფორმაცია დახმარების შესახებ გავრცელდა სოციალური ქსელების საშუალებით. პროცესს კოორდინირებას უწევდა არასამთავრობო ორგანიზაცია *Make Room*[67], რომელიც მუშაობს უცხოელ სტუდენტთა ინკლუზიის მიმართულებით.

უცხოელ სტუდენტთა დახმარება სამართლებრივად ეყრდნობოდა კანონს, რომელიც ლატვიის პარლამენტმა 2020 წლის აპრილში მიიღო. ამ კანონის თანახმად, COVID-19-ის გამო ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებს ენიჭებათ უფლება, სოციალური სერვისები და დახმარება მიაწოდონ იმ სამიზნე ჯგუფებს, რომლებიც არ არიან მითითებულნი კანონში სოციალური სერვისებისა და სოციალური დახმარების შესახებ.[68]

რიგის სოციალური სამსახური
19/23 Baznicas Street (1st floor), Riga, LV-1010
ტელეფონი: +371/(0)67105048 E-mail: soc@riga.lv

სოციალური ერთიანობის გეგმა, ვალონიის ქალაქები და მუნიციპალიტეტები, ბელგია

მოსახლეობა: 3 644 000 (ვალონიას რეგიონი)

მზარდი დაუცველობისა და გარიყულობის ფონზე, სოციალური ერთიანობის გეგმის (PCS) მიზანია, ხელი შეუწყოს ექვსი ფუნდამენტური უფლების განხორციელებას, რომლებიც ექცევა რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებაში. ესენია: ღირსეული შემოსავლის უფლება; ჯანდაცვის, ასევე, სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება; უფლება ღირსეულ საცხოვრებელსა და ჯანსაღ გარემოზე; შრომის უფლება; მომზადების უფლება; კულტურული და სოციალური განვითარების უფლება. PCS-ის მიზანია რიგი ინიციატივების კოორდინაცია და განვითარება მუნიციპალიტეტებში, რათა ვალონიის თითოეულ მოსახლეს შეეძლოს ღირსეულად ცხოვრება თემზე დაფუძნებული სოციალური განვითარების მეშვეობით, ასევე, მოწყვლადობის, სიღარიბისა და დაუცველობის ყველა ფორმასთან ბრძოლით.

PCS-ის ფარგლებში შემუშავებულ ღონისძიებათა ბენეფიციარები, ძირითადად, ყველაზე ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფები არიან. ამავდროულად, ეს ღონისძიებები ხელს უწყობს სოციალურ მრავალფეროვნებას ფართო საზოგადოებაში. PCS-ის ახორციელებენ ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივ პარტნიორებსა და მოხალისე სექტორთან თანამშრომლობით. იგი აერთიანებს კოორდინირებული ქმედების 4 მიმართულებას: სოციალურ-ოკუპაციური ინტეგრაცია; წვდომა ღირსეულ საცხოვრებელ ადგილზე; წვდომა ჯანდაცვასა და ნივთიერებებზე დამოკიდებულების მკურნალობაზე; სოციალური, თაობათაშორისი და კულტურათაშორისი კავშირების აღდგენა. PCS-ის მიზანია შესაბამის მოთამაშეებს შორის თანამშრომლობის წახალისება და კოორდინაცია ეფექტიანობის გასაზრდელად, ასევე, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა პასუხისმგებლობათა გასაზიარებლად.

PCS ეყრდნობა ფუნდამენტურ უფლებებზე წვდომის კომპოზიტურ ინდექსს (ISADF) და სოციალური ერთიანობის დიაგნოსტიკას. ISADF, რომელიც IWEPS-მა (*Institut Wallon de l'Evaluation, de la Prospective et de la Statistique*) დანერგა, აფასებს სოციალური ერთიანობის დონეს ვალონიის თითოეულ მუნიციპალიტეტში (კერძოდ, წვდომას ზემოთ ჩამოთვლილ 6 ფუნდამენტურ უფლებაზე და რისკფაქტორებს, რომლებიც უკავშირდება სოციალური ერთიანობის შენარჩუნებას მუნიციპალიტეტში).

სოციალური ერთიანობის დიაგნოსტიკით, რომელსაც ატარებენ ადგილობრივი აქტორები, განისაზღვრება ადგილობრივ დონეზე მიმდინარე საჯარო და/ან

კერძო ინიციატივები, ასევე, საზოგადოების მოლოდინები და საჭიროებები. ISADF-სა და დიაგნოსტიკის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდება სამოქმედო გეგმა, რომელიც საბოლოოდ გადაიხედება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

PCS-ს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალური ერთიანობის გაუმჯობესებაში, რათა ყველამ შეძლოს თავისი როლის შესრულება საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი მოქალაქეებს აძლევს დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობას, მოსახლეობის უკიდურესად ღარიბ ნაწილს კი მხარს უჭერს სირთულეების დაძლევასა და საზოგადოებასთან რეინტეგრაციაში.

პროგრამა 2009 წელს დაიწყო, ხუთწლიანი ვადით, მოგვიანებით კი განახლდა 2014-2019 წლებისთვის. ვალონიის მთავრობამ დაამტკიცა გეგმის მეორე განახლებაც 2020-2025 წლებისათვის.[69]

SPW (ვალონიის საჯარო სამსახური), Intérieur & Action sociale
სოციალური ინიციატივების დეპარტამენტი - სოციალური ერთიანობის
დირექტორატი (DiCS)
Avenue Gouverneur Bovesse, 100 - 3ème étage, 5100 Jambes (Namur)
ტელეფონი: +32/(0)81327345, ელფოსტა: dics@spw.wallonie.be

სოციალური უზრუნველყოფისა და სოლიდარობის სქემა „სიყვარულის ქსელი“, მიკონოსი, საბერძნეთი

მოსახლეობა: 10 134

COVID-19-თან ბრძოლის ღონისძიებათა პარალელურად, მიკონოსის მუნიციპალიტეტმა შექმნა სოციალური უზრუნველყოფისა და სოლიდარობის დროებითი სქემა, სახელწოდებით Dihti Agapis **(„სიყვარულის ქსელი“), რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 24 მარტს. იგი ითვალისწინებს საჭირო მარაგებისა და მედიკამენტების უზრუნველყოფას მოწყვლადი მოქალაქეებისთვის, ასევე, მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სერვისებზე წვდომას სატელეფონო ცენტრის საშუალებით.**

სქემით გათვალისწინებული სერვისები მოიცავს მიკონოსის იმ მოწყვლად მოქალაქეთა რეგისტრაციას, რომლებიც შინიდან ვერ გადიან და ფინანსურ სირთულეებს განიცდიან. ბენეფიციართა დახმარება ითვალისწინებს ფარმაცევტულ საჭიროებათა დაკმაყოფილებასა და საჭირო მარაგების მიწოდებას.

გარდა ამისა, სქემა იძლევა წვდომას მუნიციპალიტეტში მოქმედ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სერვისებზე. ქოლცენტრისა და ვებსაიტის საშუალებით, აღირიცხება მოსახლეობის მოთხოვნები და საჭიროებები. სქემა მათ უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტებითაც (შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე) და მუნიციპალიტეტის მცხოვრებთ ეხმარება შინ დარჩენასა და COVID-19-ის გავრცელების პრევენციაში.

სქემის მოქმედებაში მონაწილეობენ: Π.Α.Κ.Ο. Γ. Αξιώτης-ის (კულტურის, სპორტისა და სოციალური საკითხების ორგანიზაცია PAKO G Axiotis) დირექტორი, ბორდის წევრები და თანამშრომლები; შინ ზრუნვის სამსახურის (Βοήθεια στο Σπίτι) წარმომადგენლები; ჯგუფი „მიკონოსის მოხალისეები“; და სხვა მოხალისეები, რომლებიც მერის მოწოდებებს დადებითად გამოეხმაურნენ.

მიქალის ზუგანელისი (პალტასი)
ვიცე მერი უსაფრთხოების, ყოველდღიური ცხოვრებისა და სოციალური დაცვის საკითხებში
ტელეფონი: +30/(0)22890 28636
ელფოსტა: menoumespiti@mykonos.gr

ებრძოლე სიღარიბეს - დამფრისისა და გალოვეის საბჭო, გაერთიანებული სამეფო

მოსახლეობა: 148 790

დამფრისისა და გალოვეის საბჭომ ბრძოლა გამოუცხადა სიღარიბის ყველა ფორმას. მისი ძალისხმევა ამ კუთხით ეყრდნობა სიღარიბესთან ბრძოლის სტრატეგიას, რომელიც ადგილობრივ დონეზე აღიარებულია. 2018 წელს ის დაჯილდოვდა შოტლანდიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კონვენციის ოქროს მედლით უთანასწორობასთან ბრძოლისა და ჯანდაცვის გაუმჯობესებისათვის. 2017 წლიდან ადგილობრივმა ხელისუფლებამ სიღარიბის ყველა ფორმასთან საბრძოლველად გამოყო 4 700 000 ბრიტანული ფუნტი და დააფინანსა 109 პროექტი, რომელთა უმრავლესობის მიზანია ბავშვთა სიღარიბის შემცირება რეგიონში.

ჯანდაცვის სამსახურებსა და მესამე სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე, დამფრისისა და გალოვეის საბჭო მუშაობს სიღარიბის პრევენციის მიმართულებით და ეხმარება ადამიანებს, რომ აიცილონ

სიღარიბე, ასევე, შეძლონ დამოუკიდებლად, უსაფრთხოდ, ბედნიერად და სრულფასოვნად ცხოვრება. ადგილობრივი ხელისუფლება ორგანიზებას უწევს სიღარიბესთან ბრძოლის კვირეულებს - რეგიონულ პროგრამას, რომლის მიზანია: ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება, სტერეოტიპებთან ბრძოლა და სიღარიბის გადაჭრის გზების გამოვლენა.

ყველა პროექტი ფორმულირებულია ადგილობრივი *Tackling Poverty Reference Group*-ის მეშვეობით, რეალური ცვლილებების განსახორციელებელად და ისეთი შედეგების მისაღწევად, რომლებიც სასიკეთოდ შეცვლის სიღარიბის რისკის ქვეშ ან სიღარიბეში მცხოვრები ოჯახებისა და ადამიანების ცხოვრებას. პროექტებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ადგილობრივი სერვისების მიწოდების მექანიზმები, ასევე, ხელისუფლებისა და ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის მუშაობის სტრატეგიული გზები. შედეგად, მოხერხდება სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება ისეთ პერიოდში, როდესაც მცირდება სჯარო სექტორში ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა.

ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიღწეული პროგრესი ნათელია. მის შესრულებას მონიტორინგს უწევს საბჭოში მოქმედი „ბავშვთა სერვისების აღმასრულებელი ჯგუფი“. ამ საკითხზე ანგარიში მზადდება „სათემო პროექტების დაგეგმვის პარტნიორობის“ ყოველწლიური ანგარიშის ფარგლებში. მსგავსი ანგარიშგება გათვალისწინებულია ბავშვთა სერვისების გეგმაზეც. შედეგად, თანმიმდევრულად ქვეყნდება ინფორმაცია ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლის სხვადასხვა გეგმის ფარგლებში მიღწეულ პროგრესზე.

დამფრისისა და გალოვეის საბჭო
ტელეფონი: +44 30 33 33 3000
ელფოსტა: contact@dumgal.gov.uk
https://www.dumgal.gov.uk/tacklingpoverty

უმუშევარ და თვითდასაქმებულ მოქალაქეთა დახმარება ფორსმაჟორულ სიტუაციაში, ბრიუსელი, ბელგია

მოსახლეობა: 174 383

ბრიუსელის სოციალური ინიციატივების საზოგადოებრივმა ცენტრმა (CPAS) ორი ღონისძიება განახორციელა უმუშევარ და თვითდასაქმებულ მოქალაქეთა დასახმარებლად, რათა დაცული იყოს ამ პირთა სოციალური უფლებები, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის უფლება.

ქალაქის დასაქმებისა და სოციალური ეკონომიკის დეპარტამენტში შეიქმნა ახალი განყოფილება. მისი მიზანია მუშაკთა მხარდაჭერა დროებით უმუშევრობასთან დაკავშირებული დახმარების გამარტივებული პროცედურით (ფორსმაჟორის გამო) მიღებაში, ასევე, სოციალური მუშაკების მხარდაჭერა უმუშევარ მოქალაქეთა განცხადებების განხილვაში.

გარდა ამისა, მედიაციის სერვისების დეპარტამენტში შეიქმნა ახალი განყოფილება, რომელიც თვითდასაქმებულ მოქალაქეებს მხარს უჭერს ფედერალური დახმარების მიღებაში. ეს დახმარება გაიცემა სამსახურის დაკარგვის ან ხელფასის მნიშვნელოვნად შემცირების გამო, რაც უკავშირდება COVID-19-ით შექმნილ საგანგებო ვითარებას. განყოფილებას აქვს ორი ფუნქცია: (1) პირველ რიგში, იგი ამუშავებს განაცხადებს კომუნალური გადასახადების სუბსიდირებაზე და ქირის სუბსიდირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს უგზავნის საბინაო სამსახურს; (2) იგი აგროვებს ფედერალურ და რეგიონულ დონეზე არსებულ ყველა სახის ინფორმაციას დამოუკიდებელი მუშაკების, თვითდასაქმებულებისა და მენარდე პირების შესახებ; ასევე, ინფორმაციას აწვდის სოციალურ მუშაკებს, რათა ისინი მაქსიმალურად დაეხმარონ მოქალაქეებს და უპასუხონ მათ მოთხოვნებს.

ბრიუსელი
ქ-ნი რიტა გლინერი
ელფოსტა: Rita.glineur@cpasbxl.brussels

სოციალურ უფლებებზე ორიენტირებული შესყიდვები, ბერგენი, ნორვეგია

მოსახლეობა: 271 949

ქალაქი ბერგენი, დაახლოებით, 5 მილიარდ ნორვეგიულ კრონს (490 მილიონი ევრო) ხარჯავს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, რაც მუნიციპალიტეტს მსხვილ შემსყიდველ აგენტად აქცევს. ვინაიდან ორივე მათგანი (საქონელიც და მომსახურებაც) გლობალური ბაზრის ნაწილია, უაღრესად მნიშვნელოვანია, შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე მოქმედებდეს პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები.

ბერგენის შესყიდვების პოლიტიკის თანახმად, სავალდებულოა ადამიანის უფლებების, სოციალური უფლებებისა და სამართლიანი ვაჭრობის კრიტერიუმების პატივისცემა. ეს გულისხმობს, რომ შესყიდვის მთლიანი პროცესის ფარგლებში მხარეებმა ცალსახად უნდა სცენ პატივი გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებას, ILO-ის ძირითად კონვენციებსა და სხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა კონვენციებს.

შესყიდვების პოლიტიკა, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, რთულად მისაღწევი მიზანია. მტკიცებულებები, ძირითადად, მოთხოვება მაღალი რისკის პროდუქტებისა ან ქვეყნების შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით, ბერგენმა შექმნა შესაბამისი შიდა პროცედურები. დაიწყო საპილოტე პროექტი, რომელიც შეეხება დამატებითი მოკვლევის ჩატარებას ელექტრომანქანების ელემენტებზე. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ნორვეგიაში ელექტრომანქანების ფლობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, ხოლო ბერგენი „ელექტრომანქანების დედაქალაქია“, რომლის საქალაქო სამსახურებიც, ძირითადად, ასეთ ტრანსპორტს იყენებენ. დამატებითი მოკვლევა შერჩეულ მწარმოებელთა შესახებ გრძელდება. ამის მიზანია წარმოების ჯაჭვზე დაკვირვება კობალტის მაღაროებში და ადამიანის უფლებათა პატივისცემა მის ყველა დონეზე. სამომავლო ხელშეკრულებებზე გავლენას იქონიებს თითოეული მწარმოებლის გამჭვირვალობის დონე.

საკონტაქტო ინფორმაცია
Allehelgens gate 5
Postboks 7700, 5020 Bergen, Norway
ტელეფონი: +47/(0)55565556
ელფოსტა: arkiv.byradsleders.avdeling@bergen.kommune.no
www.bergen.kommune.no

საგადასახადო შეღავათები, უფასო სასადილოები COVID-19-ის პანდემიის დროს, თბილისი, საქართველო

მოსახლეობა: 1 114 000

პანდემიის დროს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა თბილისის მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის ითვალისწინებდა საგადასახადო შეღავათებსა და ჯარიმების გაუქმებას.

ლოქდაუნის დროს სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად, თბილისის ღია კაფეებსა და რესტორნებს გაუუქმდათ იჯარის გადასახადი (2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე). ადგილობრივი საგადასახადო შეღავათებით ისარგებლა ზოგიერთმა ბიზნესმაც. ასევე აღსანიშნავია მნიშვნელოვანი სოციალური მხარდაჭერა - მთელი ქალაქის მასშტაბით 62 პუნქტის ამოქმედება, რომლებიც ბენეფიციარებისთვის უფასო საკვებს გასცემდნენ და, დაახლოებით, 39 000 სოციალურად დაუცველ ადამიანს გაუმასპინძლდნენ სადილით. ლოქდაუნის დაწყების შემდეგ, ბენეფიციარებს მიეცათ საშუალება, უფასო სადილი თან წაეღოთ. ხანდაზმულებს შეეძლოთ, ასეთი საკვები ბინაზეც მიეღოთ, ადგილობრივ მოხალისეთა და მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა დახმარებით, რომელთაც გაიარეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სპეციალური მომზადება.

საკონტაქტო ინფორმაცია
შარტავას ქ. 7, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995/(0)2722222
ელფოსტა: info@tbilisi.gov.ge

WhatWorks -კვლევა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ, უტრეხტი, ნიდერლანდები

მოსახლეობა: 544 389

ნიდერლანდებში ამჟამად მოქმედი სოციალური დახმარების წესები საკმაოდ მკაცრია. უტრეხტის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, გამოეკვლია, თუ რა სახის ცვლილებებია საჭირო სოციალური უზრუნველყოფის სქემის გასაუმჯობესებლად (მაგ: რეგულაციებისა და სანქციების შესამცირებლად). 2018 წლის ივნისიდან 2019 წლის დეკემბრამდე მუნიციპალიტეტმა, უტრეხტის უნივერსიტეტის მკვლევარებთან ერთად, ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობდა 752 მოხალისე/სოციალური

დახმარების ბენეფიციარი. კვლევა მიზნად ისახავდა სოციალური დახმარების გასაუმჯობესებელი გზების განსაზღვრას, რათა საბოლოო ჯამში, ბენეფიციარებს შეძლებოდათ გადასვლა ანაზღაურებად სამსახურსა და სოციალური მონაწილეობის სხვა ფორმებზე. შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, მონაწილეები 4 ჯგუფად დაიყვნენ: ერთი - საკონტროლო (რეგულარული რეჟიმის) და სამი - ალტერნატიული ინტერვენციის ჯგუფი: (1) მეტი ავტონომია; (2) დამატებითი დახმარების მიღება სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოდან; და (3) ფულად სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებითი შემოსავლის მიღება.

მოკლედ რომ ვთქვათ, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ არსებობს სოციალური სქემის გაუმჯობესების პოტენციალი. ამ სამ ინტერვენციას დადებითი შედეგები ჰქონდა, რომლებმაც აჩვენა შრომის ბაზარზე მონაწილეობის გაზრდა. მეტი ავტონომია, დამატებითი დახმარება და დამატებითი შემოსავლის მიღება ის ცვლილებები აღმოჩნდა, რომლებიც დადებითად აისახება არსებულ სოციალურ სქემაზე. ვინაიდან ინიციატივა პოზიტიურად შეაფასეს როგორც მონაწილეებმა და სოციალურმა მუშაკებმა, ისე მუნიციპალურმა და ცენტრალურმა მთავრობებმა, ნიდერლანდებმა მიიღო გადაწყვეტილება სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანაზე. ამჟამად ცენტრალური ხელისუფლება უტრეხტის მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ალტერნატიული ინტერვენციების გზებზე.

კვლევა ჩატარდა უტრეხტში, ნიდერლანდების სიდიდით მეოთხე ქალაქში, 544 398 მცხოვრებით. კვლევის დაწყებისას ამ ქალაქში სოციალური დახმარება მიიღო 10000-მა ოჯახმა, საერთო რაოდენობის, დაახლოებით, 6%-მა. ეს ციფრები ასახავს დანარჩენ ნიდერლანდებში არსებულ მდგომარეობასაც. უტრეხტში სოციალური დახმარების სქემის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის დასაქმებისა და შემოსავლის დეპარტამენტი (Werk en Inkomen).

ბ-ნი როჯერ ვან ლუნი
უტრეხტის მუნიციპალიტეტი

ბ-ნი ტიმო ვერლატი
უტრეხტის უნივერსიტეტი
ელფოსტა: roger.van.loon@utrecht.nl / t.l.l.verlaat@uu.nl https://www utrecht.nl/wetenwatwerkt

პოლიცია ხანდაზმულ მოსახლეობას საყიდლებზე ეგზავნება, ფენდიქი, თურქეთი

მოსახლეობა: 711 894

თურქეთის ქალაქ ფენდიქში მუნიციპალიტეტის პოლიცია საყიდლებზე ეგზავნება 65 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს, რომლებიც, COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, შინ უნდა დარჩნენ. კერძოდ, მათ შეუძლიათ, პოლიციას დაუკავშირდნენ და შეძენილ პროდუქტებს სახლში მიუტანენ.

ამავე ასაკის პირებისთვის, რომელთაც ქრონიკული დაავადებები აწუხებთ, COVID-19-ის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა ვეფას კომუნიკაციების ცენტრი. ფენდიქის ოლქის გუბერნატორის ოფისთან თანამშრომლობით, ცენტრში დასაქმებულია 50-კაციანი ჯგუფი. მათი მოვალეობაა ხანდაზმულ მოქალაქეთა ინფორმირება, მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება პირველადი მოხმარების პროდუქტებისა და მედიკამენტების შესაძენად. სერვისი ხელმისაწვდომია იმ პირებისთვისაც, რომლებსაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ან ქრონიკული დაავადებები, ანდა სჭირდებათ შინ მოვლა.

ბ-ნი ოგუზ ქარაქაია
ელფოსტა: okarakaya@pendik.bel.tr

ღია მონაცემების პოლიტიკა Smart Vilnius, ვილნიუსი, ლიეტუვა

მოსახლეობა: 544 386

ვილნიუსის ღია მონაცემთა რადიკალური პოლიტიკა რეალურ დროში იძლევა წვდომას კრიტიკული მნიშვნელობის მონაცემებზე. შედეგად, შესაძლებელი გახდა უფრო ცხადი წარმოდგენის შექმნა საავტომობილო მოძრაობის გადატვირთულობასა და გადაადგილების ვარიანტებზე, წახალისდა ავტომობილთა გაზიარება და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, ასევე, შემცირდა საგზაო საცობები.

2015 წელს არჩეული ქალაქის საბჭოსთვის მთავარ პრიორიტეტი იყო მუნიციპალიტეტის მონაცემთა საჯარო ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემთა პოლიტიკის თანახმად, თუ ინფორმაცია არ არის განსაკუთრებულად სენსიტიური უსაფრთხოების პერსპექტივიდან და

მისი გამჟღავნება არ ეწინააღმდეგება მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (GDPR), ის საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

მობილური აპლიკაციის *Tvarkau Miesta*-ს გამოყენებით, ვილნიუსის მცხოვრებთ შეუძლიათ შეტყობინების გაგზავნა გადავსებულ ნაგვის ბუნკერებზე, მოძრაობის შემაფერხებელ გარემოებებსა და სხვა პრობლემებზე. აპლიკაცია ემსახურება პირდაპირი კომუნიკაციის დამყარებას ქალაქის მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ვინაიდან მუნიციპალური მონაცემები ფინანსების, საჯარო შესყიდვების, უძრავი ქონებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესახებ საჯაროა, ვილნიუსი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ ტექნოლოგიურ ექსპერტებთან პრობლემათა გადაჭრის ჭკვიანური გზების მოსაძებნად. ამის მიზანია ახალი ინიციატივების განხორციელება, რომლებიც სარგებელს მოუტანს ვილნიუსის მცხოვრებთ და ქალაქს წარმოაჩენს ღია მონაცემთა დედაქალაქად.

ქ-ნი ერიკა ბრაზაიტიტი
ტელეფონი: +370/(0)68657540
ელფოსტა: Erika.Brazaityte@vilnius.lt
www.smartcityvilnius.com

ნაწილი III **რეკომენდაციები**

- **გაციფრულდეს** სერვისები და ღია მონაცემთა პოლიტიკის დაშვებით გაიზარდოს ორმხრივი კომუნიკაცია და გახსნილობა მუნიციპალიტეტსა და მოქალაქეებს შორის;
- **დაინერგოს** სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები, რომლებიც იცავს სოციალურ უფლებებს; ტენდერების გამოყენებით, შეიქმნას სამუშაო ადგილები; ასევე, წახალისდეს ღირსეული სამუშაო, სოციალური თუ პროფესიული ინკლუზია და უკეთესი პირობები შშმ და მოწყვლადი პირებისთვის;
- **გადაიხედოს** სოციალური უზრუნველყოფის მარეგულირებელი პროცედურები და წესები, რათა სოციალურმა უფლებებმა წინ წამოიწიოს და გაჭირვებულმა მოქალაქეებმა მიიღონ შესაბამისი დახმარება;
- **გამოიცადოს** მინიმალური შემოსავლის პოლიტიკის სხვადასხვა ფორმა, რათა გამოვლინდეს ყველაზე ეფექტიანი მიდგომა მოქალაქეთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სოციალური ინკლუზიისა და ინტეგრაციის უფლება

ნაწილი I **განმარტება**

სოციალური ინკლუზია და ინტეგრაცია მჭიდროდ უკავშირდება დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს და გულისხმობს საზოგადოებაში მონაწილეობის პირობების გაუმჯობესებას მოქალაქეებისა და მათი ჯგუფებისთვის (განსაკუთრებით, ვინც დაუცველია საკუთარი იდენტობის გამო).[70]

წინამდებარე თავში განხილულია კონკრეტული მაგალითები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების საუკეთესო პრაქტიკიდან.

იცით თუ
არა, რომ?

სოციალურ გარიყულობას ყველაზე ხშირად განიცდიან შშმ პირები, ხანდაზმულები, სიღარიბეში მცხოვრები ან სოციალურ რესურსებზე წვდომას მოკლებული ადამიანები და ხანგრძლივად უმუშევარი მოქალაქეები.

ნაწილი II **რეაგირების მაგალითები**

Mob4seniors, ტულუზა, საფრანგეთი

მოსახლეობა: 471 941

ბოლო წლების განმავლობაში ტულუზაში მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები აღინიშნა: ამჟამად მოსახლეობის 12.8%-ზე მეტს 65 წელს გადაცილებული მოქალაქეები შეადგენენ. 2017 წლის შემოდგომაზე ქალაქმა დაიწყო პროექტი, სახელწოდებით Mob4seniors, რომლის მიზანია ხანდაზმულ მოქალაქეთა უზრუნველყოფა ტრანსპორტით. პროექტი ორი ძირითადი ელემენტისგან შედგება: სამოგზაურო ბარათი ხანდაზმულებისთვის და Allô Senior-ის მომსახურება.

ხანდაზმული მოქალაქეები სატრანსპორტო პოლიტიკისთვის გამოწვევას წარმოადგენენ. საზოგადოების ამ მრავალფეროვანი ჯგუფის ქცევა საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მოულოდნელად იცვლება. ტულუზის მთავრობამ სპეციალურად მათთვის შექმნა პერსონალიზებული ბარათები, რომლებიც წაახალისებს ამ ჯგუფის სარგებლობას საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ველოსიპედით. ბარათი გამოიყენება ხანდაზმულთა მუნიციპალური და სხვა სოციალური სერვისების მისაღებადაც. მის მფლობელებს შეუძლიათ სარგებლობა დაგროვების პროგრამებით, ასევე, ფასდაკლებებით კულტურულ დაწესებულებებსა და მაღაზიებში. ბარათი შეღავათიან ფასად იძლევა წვდომას ურბანულ სატრანსპორტო ქსელზე (ავტობუსი, მეტრო, ტრამვაი), ასევე, სხვადასხვა აქტივობაზე კულტურისა და დასვენების სფეროში.

მომსახურება Allô Senior გულისხმობს პერსონალიზებულ კომუნიკაციას ხანდაზმულებთან, მათი ავტონომიისა და მობილურობის ხელშესაწყობად და სხვადასხვა მუნიციპალურ აქტივობაში ჩასართავად. სერვისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა ის, რომ ახალგაზრდები პირდაპირ აკითხავენ იზოლირებულ ხანდაზმულ მოქალაქეებს და აწვდიან ინფორმაციას ასეთი ბარათით გადაადგილების შესაძლებლობებზე. შედეგად, მოხუცები უფრო თავდაჯერებულნი ხდებიან და იბრუნებენ მობილობას.

ქალაქ ტულუზის მერია
City hall - place du Capitole,
31 040 Toulouse Cedex 6, France
ტელეფონი: +33/(0)561222922
https://bit.ly/2KTchr5

COVID-19-ზე ინფორმაციის გაზიარება სხვადასხვა ენაზე, ალტენა, გერმანია

მოსახლეობა: 18 544

COVID-19-ზე მთავრობისგან მიღებულ ინფორმაციას ალტენა WhatsApp-ისა და Facebook-ის საშუალებით უზიარებს მიგრანტ თემებს, გერმანულ, ინგლისურ, არაბულ და ქურთულ ენებზე.

ალტენამ განახორციელა არაერთი ინიციატივა, რომლებიც ხელს უწყობს ახალჩამოსულ მიგრანტთა ინტეგრაციას საზოგადოებაში. მისი მიდგომა ითვალისწინებს მთლიანი მოსახლეობის ჩართულობას ამ საკითხებში. გაწეული ძალისხმევის გამო, 2017 წელს ქალაქმა მიიღო გერმანიის ეროვნული ჯილდო ინტეგრაციისთვის.[71] პროექტები და პროგრამები ხორციელდება არა მხოლოდ ლტოლვილებისთვის, არამედ ლტოლვილებთან ერთადაც: ისინი აქტიურად მონაწილეობენ ინტეგრაციის პროცესში და ეხმარებიან თავიანთ თემს.

ინტეგრაციაზე მიმართული ძალისხმევა შეეხო COVID-19-ის პანდემიასაც. ალტენას მუნიციპალიტეტმა საზოგადოებას ნათლად დაანახა, რომ მიგრანტი თემები საზოგადოების განუყოფელ ნაწილს ქმნიან და მთავრობის მიერ პანდემიაზე მოწოდებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადა მათთვისაც, სოციალური ქსელების გამოყენებით და ოთხ სხვადასხვა ენაზე.

ქალაქ ალტენას მერია
Lüdenscheider Str. 22, 58762 Altena, Germany
ტელეფონი: +49 2352 2090
https://bit.ly/2Vxv1yy

სოციალური გადამისამართების სერვისი და ოპერატიული შტაბი, ნოვოსიბირსკი, რუსეთის ფედერაცია

მოსახლეობა: 1 625 631

ქალაქ ნოვოსიბირსკის სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტი COVID-19-ის პანდემიის პირობებში მხარს უჭერს და ეხმარება მოქალაქეთა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს - ხანდაზმულებს, მობილობაშეზღუდულ პირებსა და მრავალშვილიან ოჯახებს. ქალაქის სოციალური ინფორმაციის სამსახური (CSIS) საქმიანობას მართავს ოპერატიული შტაბიდან, სადაც დასაქმებულია 138 მოხალისე. ისინი პასუხობენ ცხელ ხაზზე შემავალ

ზარებს და გაჭირვებულ მოქალაქეებს აწვდიან სხვადასხვა სახის მომსახურებას, პროდუქტსა და მედიკამენტს. სოციალურ პროექტს ძლიერი სინერგიული ეფექტი ჰქონდა მას შემდეგ, რაც მუნიციპალური ქოლცენტრი იქცა საინფორმაციო ცენტრად, სადაც მოქალაქეები აფიქსირებდნენ თავიანთ თხოვნებს, ზეპირ განცხადებებსა და მიმართვებს. მოხალისეთა გუნდმა ეფექტიანად აღმოუჩინა კონკრეტული მიზნობრივი დახმარებები მოწყვლად ჯგუფებს.

CSIS შეიქმნა 2019 წლის სექტემბერში. COVID-19-ის სწრაფი გავრცელების პირობებში სამსახურის მხარდასაჭერად, 2020 წლის მარტში შეიქმნა ოპერატიული შტაბი ხანდაზმულ მოქალაქეთა და შშმ პირთა დასახმარებლად.

CSIS-ის ცენტრში რეკავდნენ ნოვოსიბირსკში მცხოვრები ხანდაზმული და მობილობაშეზღუდული მოქალაქეები და ითხოვდნენ საკვებს, პირველადი მოხმარების საგნებსა და მედიკამენტებს. *WhatsApp*-ის საშუალებით შეიქმნა რვა ოპერატიული ჩატი, ოლქების რაოდენობის შესაბამისად.

2020 წლის 18 მარტიდან, როდესაც დახმარების ცენტრი გადავიდა 24-საათიან რეჟიმზე, ქოლცენტრში შესული ზარების მესამედი შეეხებოდა COVID-19-ს.

დახმარების თხოვნებს პასუხობდნენ როგორც კომპანიები, ისე ფიზიკური პირები. ამჟამად დონორთა რეესტრში აღრიცხულია 22 კომპანია, მათ შორის, ის არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც აწვდიან საკვებს, სასმელ წყალსა და დამცავ აღჭურვილობას.

ბ-ნი დიმიტრი პლოსკი
ნოვოსიბირსკის მუნიციპალური საზოგადოებრივი ინსტიტუტის დირექტორი
ნოვოსიბირსკის სოციალური პოლიტიკის განვითარების სააგენტო
ტელეფონი: +7 3832288086
ელფოსტა: DPloskih@admnsk.ru

ვილა მესკოლანზა, ტურნჰაუტი, ბელგია[72]

მოსახლეობა: 462 457

ვილა მესკოლანზა ქალაქ ტურნაუტის „დიალოგის სახლია“, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან. მიგრანტთა და სხვა ასოციაციები, რომლებიც მრავალფეროვნებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობენ, ამ სახლის „მცხოვრებნი“ არიან.

ასოციაციის აქტივობებთან ერთად, „დიალოგის სახლი“ მასპინძლობს ღონისძიებებს, რომლებიც ყველასთვის ღიაა. პროექტს სამი მიზანი აქვს: (1) სხვადასხვა ასოციაციისთვის შეხვედრების ადგილების უზრუნველყოფა; (2) ადამიანთა შორის კომუნიკაციისა და შეხვედრების წახალისება; და (3) ფორუმის შექმნა მათთვის, ვისაც ინფორმაციის მოძიება და საკუთარი მოსაზრებების გაზიარება სურს. პროექტი ხელს უწყობს სხვადასხვა ასოციაციას შორის თანამშრომლობასა და კავშირების დამყარებას. ვილა მესკოლანზა თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთანაც: იგი ავლენს ქალაქში არსებულ პრობლემებს და ქმნის ფორუმს სხვადასხვა თემის განსახილველად. გარდა ტურნაუტის ოლქისა, ინიციატივაში ჩართულია ინტეგრაციისა და მოქალაქეობის სააგენტო (Agency for Integration and Citizenship) და აქტიური კულტურათაშორისი ფედერაცია (Active Intercultural Federation).

დიალოგის სახლი - ვილა მესკოლანზა
Begijnenstraat 39 2300 Turnhout, Belgium
ელფოსტა: elshafei.babiker@blenders.be
bieke.vanriel@turnhout.be

ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ქალაქი კრალევო და ვრაჩარის მუნიციპალიტეტი, სერბეთი

მოსახლეობა: 67 142 (კრალევო), 56 363 (ვრაჩარი)

ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიზნით (განსაკუთრებით, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის), კრალევოსა და ვრაჩარის მთავრობებმა გააერთიანეს ძალისხმევა და რესურსები, ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მუდმივმოქმედი კონფერენციის მხარდაჭერით (SCTM, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ეროვნული ასოციაცია სერბეთში). ამით მათ ხაზი გაუსვეს თანამშრომლობისა და სოლიდარობის მნიშვნელობას, განსაკუთრებით, საგანგებო მდგომარეობის პირობებში.

საინფორმაციო შეთავაზების მოსარგებად ყრუ მოქალაქეთა საჭიროებებზე, კრალევოს სამოქალაქო დაცვის დეპარტამენტმა ითანამშრომლა ვრაჩარის მუნიციპალიტეტის შშმ პირთა სამსახურთან. სამსახურმა სერბულ ჟესტების ენაზე თარგმნა კრალევოს მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა საგანგებო მდგომარეობისას შემოღებულ ღონისძიებებს.

კრიზისის პირობებში სამსახური ინფორმაციას აწვდიდა სმენითი დარღვევების მქონე, ბრმა და მხედველობადაქვეითებულ მოქალაქეებს.

ვრაჩარის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია - კერძოდ, COVID-19-ის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული დახმარების შესახებ - ჟესტების ენაზე ითარგმნა და აუდიოფორმატით გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის *YouTube* არხზე.[73]

2018 წელს ვრაჩარის მუნიციპალიტეტმა მიიღო ჯილდო კარგი მმართველობის პრინციპების ეფექტიანად გამოყენებისთვის, რომელიც გადასცეს საჯარო ადმინისტრირების სამინისტრომ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ და SCTM-მა. გამარჯვებულები გამოვლინდნენ საჯარო კონკურსის საფუძველზე. დაფინანსება გამოიყო გაეროს ოფისისა და SCTM-ის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში - „კარგი მმართველობის გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე“. თავის მხრივ, პროექტი ნაწილია ინიციატივისა „კარგი მმართველობისა და სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესება მუნიციპალური განვითარებისთვის - Swiss PRO“. თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ნომინაციაში მიღებული ჯილდო ვრაჩარის მუნიციპალიტეტმა გამოიყენა განახლებული ჯანდაცვის ცენტრისთვის - კერძოდ, მას სენსორული კარები და ტაქტილური ბილიკი გადასცა.

ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მუდმივმოქმედი კონფერენცია
სერბეთის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ეროვნული ასოციაცია
22 Makedonska St. 8th floor 11 000 Belgrade, Serbia
ტელეფონი: +381/(0)113223446
ფაქსი: +381/(0)113221215
ელფოსტა: secretariat@skgo.org

ბოშებისა და ეგვიპტელი მოსახლეობის ინტეგრაციის ოფისი, ტივატის მუნიციპალიტეტი, მონტენეგრო

მოსახლეობა: 14 031 (აქედან 370 პირი რეგისტრირებულია, როგორც ბოშა და ეგვიპტელი)

ტივატის ბოშათა და ეგვიპტელთა (RE) ინტეგრაციის სამსახური შეიქმნა 2016 წელს, პროექტის „ბოშათა და ეგვიპტელთა სწავლების ასისტენტი და მედიატორი“ ფარგლებში, რომელიც ტივატის მუნიციპალიტეტისა და ეგვიპტელთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასოციაციის ინიციატივაა. სამსახური საჭირო მხარდაჭერას უწევს ეთნიკურ ბოშებსა და ეგვიპტელებს, ასევე, ხელს უწყობს მათ მაქსიმალურ ჩართულობას საგანმანათლებლო სისტემასა და, შესაბამისად, ადგილობრივ თემში.

მისი სერვისების მომხმარებლები არიან ბავშვები და მშობლები, რომელთაც სამსახური ეხმარება ენობრივი ბარიერის დაძლევაში, რადგან ეს პრობლემა მნიშვნელოვნად აბრკოლებს ხარისხიანი განათლების მიღებას ბოშა და ეგვიპტელი ბავშვებისთვის.

დღესდღეობით, სამსახურმა მიაღწია შემდეგ წარმატებებს:

- ტივატში ეთნიკურად ბოშა და ეგვიპტელი ბავშვები რეგულარულად დადიან დაწყებით სკოლაში;
- როდესაც ბავშვები ტესტირებას გადიან სკოლაში შესვლამდე, სამსახური მასწავლებლებსა და მშობლებს მხარს უჭერს ენობრივი ბარიერის დაძლევაში;
- იგი ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა ერთდღიან ექსკურსიებს, ასევე, ხელოვნების ნიმუშებისა და ფოტოების გამოფენას, სახელწოდებით „ყველა ჩვენგანის ქალაქი“. გამოფენის თემა შეეხება ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრებასა და საქმიანობას;
- ყოველ წელს სამსახური ახორციელებს სამთვიან პროექტს, რათა მოსწავლეები მოამზადოს პირველადი ტესტირებისა და სკოლაში შესვლისთვის.

ტივატის ბოშათა და ეგვიპტელთა ინტეგრაციის სამსახური შეიქმნა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით: „ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და უმცირესობათა დაცვა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში“. ამ რეგიონის 7 ქვეყნის 36 ადგილობრივი მთავრობის ინიციატივებს შორის პროექტი „ბოშათა და ეგვიპტელთა სწავლის ასისტენტი და მედიატორი“ გამოიკვეთა, როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი. ის 2016 წელს დასრულდა, თუმცა ტივატის მუნიციპალიტეტი აგრძელებს სამსახურის დაფინანსებას.

ტივატის მუნიციპალიტეტი
Trg magnolija 1, 85320 Tivat, Montenegro
ტელეფონი: +382/(0)32661300
https://opstinativat.me/en/contact/

ბრძოლა ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობასთან Covid-19-ის პანდემიის დროს - შოტლანდიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კონვენცია, გაერთიანებული სამეფო

მოსახლეობა: 18 544

2020 წლის აპრილში შოტლანდიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კონვენციის (COSLA) ჯგუფის ლიდერებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ფაქტზე, რომ ქალები და ბავშვები, რომლებიც ოჯახში ძალადობას განიცდიან, მოწყვლადნი არიან ძალადობრივი და მაკონტროლებელი ქცევის მიმართ, ხოლო COVID-19-ის საწინააღმდეგოდ მიღებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზომები კიდევ უფრო ზრდის მათ მოწყვლადობას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ, სავარაუდოდ, კვლავ გაიზრდება ოჯახში ძალადობა და ძალადობრივი კონტროლი. რეგულაციები ორიენტირებულია არსებული კრიზისის დაძლევაზე, თუმცა შესაძლებელია, პრობლემა მეტად გამწვავდეს და მოთხოვნა შესაბამის სერვისებზე, მათ შორის, ლტოლვილთა მომსახურებებზე, კიდევ უფრო გაიზარდოს.

ამ კონტექსტში, COSLA ცდილობს, მეტად დაუჭიროს მხარი ადგილობრივ მმართველობებს, რათა COVID-19-ის სწრაფი გავრცელების ფონზე, მათ შეძლონ გამკლავება ოჯახში ძალადობისა და გენდერზე დაფუძნებული ძალადობის მზარდ შემთხვევებთან. COSLA-მ შოტლანდიის მთავრობასთან ერთად შეიმუშავა ახალი სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ქალებსა და ბავშვებს დაეხმარება საჭირო მხარდაჭერის მიღებაში.

მითითებები შეიცავს ინფორმაციას ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეხმარება რისკქვეშ მყოფი ქალებისა და ბავშვების გამოვლენაში, ასევე, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ნაბიჯების გადადგმაში, რომლებიც მიემართება მათ რეაბილიტაციასა და კეთილდღეობას. სახელმძღვანელო მითითებები იმ ღონისძიებათა ნაწილია, რომლებიც დაინერგა ძალადობასთან საბრძოლველად. მათ შორისაა 1.5 მილიონი ბრიტანული ფუნტით დაფინანსებული პაკეტი ქალთა დახმარების ქსელებისა და კრიზისული ცენტრების მხარდასაჭერად. შედეგად, მაქსიმალურად გაიზრდება გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვა და მხარდაჭერა, როგორც კრიზისულ პერიოდში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

COSLA ითვალისწინებს, რომ პანდემიამ გაამწვავა საფრთხეები, რომლებიც ემუქრება ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ საფრთხეთა გასანეიტრალებლად შექმნილი სახელმძღვანელო მითითებები ეფუძნება შესაბამისი სერვისებისა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილებას. შოტლანდიის ადგილობრივი მმართველობები მჭიდროდ თანამშრომლობენ სამედიცინო სამსახურებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ სპეციალისტებთან და აგრძელებენ ასეთი ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას და მოძალადეთა პასუხისგებაში მიცემას.

COSLA-ს ოფისი ბრიუსელში
ელფოსტა: Judith@cosla.gov.uk
https://bit.ly/33ETTcc

მიგრანტთა სოციალური ინტეგრაცია - ფინლანდსკის ოლქის მუნიციპალიტეტი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია

მოსახლეობა: 75 332

სანკტ-პეტერბურგის მცხოვრებნი გამოირჩევიან კულტურული მრავალფეროვნებით, რაც ნიშნავს, რომ ურთიერთობათა დარეგულირება სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი მოვალეობაა. ამ კუთხით, მუნიციპალიტეტი ფოკუსირებულია ტოლერანტობის ამაღლებაზე და ადგილობრივ მოქალაქეებს ასწავლის მიგრანტ მუშაკთა პატივისცემას, ასევე, მათი ტრადიციებისა და ეთნიკური ღირებულებების გააზრებას. მისი პროექტები „კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა პეტერბურგში!“ და „ტოლერანტობის კვირა“ ხელს უწყობს სოციალურ ერთიანობას და ახალჩასულ მიგრანტთა ინტეგრაციას მუნიციპალიტეტში.

სპეციალური მუნიციპალური პროგრამა „კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა პეტერბურგში!“ შემუშავდა მიგრანტთა სოციალური და კულტურული ინტეგრაციისთვის. იგი ითვალისწინებს ისეთი კულტურული ფესტივალების, გამოფენებისა და კონცერტების გამართვას, რომლებიც წარმოაჩენს რუსეთსა და მსოფლიოში მცხოვრებ ხალხთა ისტორიას, კულტურას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. ამის მაგალითებია: „ადამიანები ერთი ოჯახის წევრები არიან“, „მე პუშკინის ნაწარმოებს მშობლიურ ენაზე ვკითხულობ“ და ადგილობრივ ბიბლიოთეკებში გამართული შეხვედრები ეროვნულ დიასპორათა ცნობილ წარმომადგენლებთან. მუნიციპალიტეტი ორგანიზებას

უწევს სპეციალურ თემატურ ექსკურსიებსა (მაგ: „მრავალმორწმუნე პეტერბურგი“) და საბავშვო წარმოდგენებს, ასევე, ფილმების ჩვენებას რუსული კულტურის მრავალფეროვნებაზე.

ყოველ წელს, მუნიციპალური ღონისძიების - „ტოლერანტობის კვირეულის“ ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლება ორგანიზებას უწევს მრგვალი მაგიდის დისკუსიას მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, ასევე, ოჯახურ სპორტულ შეჯიბრებებს. მუნიციპალიტეტი აქვეყნებს და ავრცელებს ბუკლეტებს, რომლებიც შეეხება ურთიერთობათა ჰარმონიზაციას სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის, ასევე, ტერორიზმისა და ექსტრემიზმის პრევენციას მიგრანტ მუშაკებში.

ბ-ნი ვსევოლოდ ბელიკოვი
ფინლანდსკის ოლქის ხელმძღვანელი

ქ-ნი ალექსანდრა კირპიჩნიკოვა
ფინლანდსკის ოლქის ხელმძღვანელის მოადგილე
ტელეფონი: +7 8125445841
ელფოსტა: mo20fo@yandex.ru
https://finokrug.spb.ru/

ბავშვთა უფლებების მონიტორინგი (Kinderrechtenscan), ამსტერდამი, ნიდერლანდები

მოსახლეობა: 821 752

ბავშვთა უფლებების მონიტორინგი ამსტერდამის მუნიციპალიტეტს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება ქალაქში და სწრაფად უპასუხოს შეუსრულებლობის შემთხვევებს.

2018 წლის 10 დეკემბერს ამსტერდამის მუნიციპალურმა საბჭომ წარმოადგინა ინიციატივა ბავშვთა უფლებების ყოველწლიური მონიტორინგის შესახებ, რათა შემოწმდეს, თუ როგორ ასრულებს ქალაქი ნიდერლანდების მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო თუ რეგიონული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ბავშვთა უფლებების მონიტორინგის ფარგლებში, საგანგებო ყურადღება ექცევა ჯგუფებს, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან (მაგ: შინიდან გაქცეული ან

სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები). მონიტორინგის შედეგების მიხედვით, მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც წარადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს. მონიტორინგის ჩატარება შესაძლებელია წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ.

პირველი მონიტორინგი ჩატარდა 2019 წელს. ამსტერდამის ბავშვთა ომბუდსმენი ამ მიზნით ასზე მეტ არასრულწლოვანს გაესაუბრა. შედეგები გამოქვეყნდა 2020 წლის მაისში.[74] ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია ჰოლანდიურ ენაზე და ადასტურებს, რომ ამსტერდამში ბავშვთა უფლებები სათანადო არის დაცული. იგი შეიცავს რეკომენდაციებსაც დაცვის გასაუმჯობესებლად.

ამსტერდამის მეტროპოლისის ომბუდსმენი
ტელეფონი: +31/(0)202547049
ელფოსტა: kinder@ombudsmanmetropool.nl
https://bit.ly/3oliyu9 https://bit.ly/39D3d41

მოხალისეთა კორპუსი COVID-19-ის პირობებში საზოგადოების მოწყვლად წევრთა დასახმარებლად, ვოლოგდა, რუსეთის ფედერაცია

მოსახლეობა: 317 329

COVID-19-ის პანდემიისა და თანმდევი თვითიზოლაციის პერიოდში, ხანდაზმულ და შშმ მოქალაქეებს ესაჭიროებათ ყოველდღიური დახმარება, რომელსაც უწევენ მოხალისეთა ჯგუფები, სახელწოდებით #WeAreTogether. ისინი ბენეფიციარებს აწვდიან პირველადი მოხმარების პროდუქტებს, ეხმარებიან ნაგვის გატანაში და ა.შ. მოხალისეები ატარებენ შესაბამის დამცავ აღჭურვილობას (პირბადეები, ხელთათმანები, სადეზინფექციო საშუალებები) და გადიან მომზადებას COVID-19-ის გავრცელების პრევენციაში.

ვოლოგდას მოხალისეთა კორპუსი შედგება 300 წევრისგან, რომლებიც ქმნიან 170 მობილურ ჯგუფს. თითოეული ჯგუფი უზრუნველყოფილია მანქანით. მოხალისეთა კორპუსს დახმარების თხოვნით მიმართავენ გაერთიანებული სატელეფონო ცენტრის მეშვეობით, საიდანაც მოთხოვნები ეგზავნებათ მოხალისეებს, მათი სამოქმედო ტერიტორიების შესაბამისად. თითოეული მოთხოვნის შესასრულებლად, საშუალოდ, საჭიროა 40-60 წუთი.

ვოლოგდაში მოხალისეები დაფასოებულ ლანჩებსაც აწვდიან შშმ ბავშვებსა და შეჭირვებული ოჯახების შვილებს. საერთო ჯამში, მათ 15 000-მდე მოთხოვნა

დააკმაყოფილეს. მშობლებს ლანჩის ასაღებად აღარ უწევთ შინიდან გასვლა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს COVID-19-ით დაავადების რისკს.

ამასთან, მოხალისეები შეჭირვებულ ადამიანებს ეხმარებიან საქველმოქმედო ღონისძიებებითაც. ვოლოგდაში არაერთი კომპანია უჭერს მხარს ასეთ ღონისძიებებს და მოხალისეებს აწვდის საკვებს, საწვავსა და პირბადეებს.

ორთვიანი მუშაობის შემდეგ, მოხალისეთა რაოდენობა ათჯერ გაიზარდა. ამ ეტაპზე მათი რეზერვი ხელმისაწვდომია და მოქალაქეებს დაეხმარებიან სამომავლო კრიზისულ სიტუაციებში.

ბ-ნი იური საპოჟნიკოვი
ვოლოგდას ხელმძღვანელი

ბ-ნი სერგეი ვოროპანოვი
ვოლოგდას მერი
E-mail: duma@vgd35.ru
agv@vologda-city.ru

„ხანდაზმულთა სმარტფონების“ პროექტი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სისტემა, ბრიუსელი, ბელგია

მოსახლეობა: 174 383

ქალაქ ბრიუსელში ასაკოვან მოქალაქეებს დაურიგდათ სმარტფონები, რათა მათ შეძლონ სახლში ხელმისაწვდომი სერვისებით სარგებლობა. ამასთან, ვირტუალური შეხვედრების მეშვეობით, შეიქმნა ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და დახმარების სისტემა, კარანტინის დროს ყველაზე მოწყვლად და იზოლირებულ ხანდაზმულებთან საკონტაქტოდ.

იმ ასაკოვან პირებთან კავშირის შესანარჩუნებლად, რომლებიც ვეღარ სარგებლობენ მუნიციპალური სერვისებით, ბრიუსელში სმარტფონები დარიგდა. მათი მეშვეობით, პანდემიისგან გამოწვეული კრიზისის დროს, ხანდაზმულებს შეეძლებათ სერვისების ვირტუალური ფორმატით მიღება.

ამავდროულად, ბრიუსელის ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარების სააგენტო, ტელეფონით და სპეციალისტებთან ვირტუალური შეხვედრებით, ახორციელებს მხარდაჭერის პროგრამას და საჭირო ფსიქოლოგიურ დახმარებას სთავაზობს ხანდაზმულ მოქალაქეებს, რომლებიც შფოთვას განიცდიან სავალდებულო იზოლაციის გამო.

ქ-ნი ბარბარა ველენსი
ელფოსტა: barbara.wellens@brucity.be

სოციალური უფლებები ახალგაზრდებისთვის: კონფლიქტის მოგვარების პროგრამა, ყაზანი, რუსეთის ფედერაცია

მოსახლეობა: 1 257 391

ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალგაზრდები სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციას აწყდებიან. მათ ასარიდებლად და ახალგაზრდების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტეგრირებული სოციალური სერვისების ცენტრმა „დოვერიემ“, რომელიც ფუნქციონირებს ყაზანის ბავშვებისა და ახალგაზრდული საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელობით, შექმნა კონფლიქტის მოგვარების პროგრამა.

თანატოლთა მედიაციის პროგრამა, ძირითადად, ხორციელდება სკოლებში, თუმცა მასში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიც არიან ჩართულნი. პროგრამის ფარგლებში იქმნება ჯგუფები, რომლებშიც შედიან კონფლიქტის მონაწილე მოსწავლეები, მასწავლებელი და ფსიქოლოგი და ერთად განიხილავენ საკითხს. ნაცვლად იმისა, რომ პასიურად უსმინონ სკოლის ადმინისტრაციის ან მასწავლებლების განმარტებას, თუ რატომ არის კონფლიქტი ცუდი, მოსწავლეები აქტიური მედიატორები ხდებიან. ეს მათ საშუალებას აძლევს, განსხვავებული პერსპექტივიდან დაინახონ კონფლიქტი, ისწავლონ მოლაპარაკება, კონფლიქტის აცილება და მისი გადაჭრა. ამ გზით, მოსწავლეები ეუფლებიან მნიშვნელოვან სოციალურ უნარებს და საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტის ტექნიკას, ივითარებენ ემოციურ ინტელექტს და შეძენილ ცოდნას იყენებენ თანატოლთა დასახმარებლად კონფლიქტების მოგვარებაში. ეს უნარები ახალგაზრდებს ეხმარება დადებითი და მზრუნველი ურთიერთობების დამყარებაშიც, განსაკუთრებით, როდესაც კონფლიქტი განპირობებულია განსხვავებულობით.

სააგენტო „დოვერიე“
79a, Chuykov st., Kazan, 420137, Russia
ტელეფონი: +7 8435225581

გენდერული თანასწორობა და ძალადობის პრევენცია იზოლაციის პერიოდში, ეტერბეკი, ბელგია

მოსახლეობა: 48 194

ოჯახში ძალადობისა და დაძაბულობის გაზრდილ რისკებზე რეაგირებისთვის, ეტერბეკის გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების დეპარტამენტმა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელა. ამისთვის მან გამოიყენა თავისი ვებგვერდი და ფლაერები; ასევე, შექმნა სპეციალური სატელეფონო ნომერი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც ესაჭიროებათ ინფორმაციის მიღება ან კონფიდენციალურად გაზიარება, ანდა საჩივრის აღძვრა.

2020 წელს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის პირობებში, ბელგიის მთავრობამ დაჩქარებული წესით მიიღო არაერთი ღონისძიება, რომელთა გატარებაც არ არის ადვილი და გარკვეულ პრაქტიკულ თუ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევს მოქალაქეებში. საზოგადოების წევრები, რომელთაც იზოლაციის გავლა უწევთ მოძალადე ოჯახის წევრებთან ერთად, საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. მოქალაქეების, მათ შორის, მშობლების, ქალებისა და ბავშვების დასაცავად, ეტერბეკის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ფორმით გაავრცელა ინფორმაცია გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების დეპარტამენტში არსებულ შესაძლებლობებზე და განმარტა, რომ ძალადობრივი ინციდენტების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, დახმარებისთვის მიმართონ დეპარტამენტს.

ბ-ნი ვინსენტ დე ვულფი
ელფოსტა: vincentdewolf@etterbeek.be
https://bit.ly/3qs0MHp

არქიტექტურა სოციალური ინკლუზიის სამსახურში, ბერგენი, ნორვეგია

მოსახლეობა: 271 949

Building Dignity-ის პროექტის მიზანია პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორ უნდა შეიტანოს არქიტექტურამ წვლილი ინკლუზიური ქალაქის შექმნაში. იგეგმება ყოფილი პედაგოგიური სასწავლებლის შენობის განახლება-გადაკეთება სპორტისა და კულტურის ცენტრად. ეს ადგილი თავს მოუყრის

ყველა მუნიციპალურ სერვისს, რომელიც უკავშირდება იმიგრანტთა ინტეგრაციასა და განათლებას.

Bergen inkluderingssenter არის *Building Dignity*-ის საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებშიც ქალაქი ბერგენი თანამშრომლობს *Rafto Foundation*-სა და ადამიანის უფლებათა დამცველ სხვა ორგანიზაციებთან. ცენტრის მიზანია, გახდეს საერთაშორისო მაგალითი, თუ როგორ შეიძლება არქიტექტურის აქტიურად გამოყენება ინკლუზიური საზოგადოების შექმნის პროცესში.

საკონტაქტო ინფორმაცია
Allehelgens gate 5
Postboks 7700, 5020 Bergen, Norway
ტელეფონი: +47/(0)55565556
ელფოსტა: arkiv.byradsleders.avdeling@bergen.kommune.no
www.bergen.kommune.no

Café Bienvenue და Info-Conseil Migration, მონტროს მუნიციპალიტეტი და ვოდ რივიერას რეგიონი, შვეიცარია

მოსახლეობა: 25 984

Café Bienvenue-ისა და ინტეგრაციის ოფისი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მიგრანტი მოსახლეობის სოციალურ ინკლუზიას რეგიონში.

პროექტი *Café Bienvenue* მასპინძლობს ყოველკვირეულ შეხვედრებს, რომლებსაც ზედამხედველობენ პროფესიონალი ფასილიტატორები. ამით მიგრანტ დედებსა და მათ სკოლამდელი ასაკის შვილებს, რომელთაც არ აქვთ წვდომა ინტეგრაციის სხვა შეთავაზებებზე, საშუალება ეძლევათ, შეხვდნენ სხვა ქალებსა და ბავშვებს და ისაუბრონ ფრანგულად. ინიციატივა ინტეგრაციისა და ფრანგული ენის სწავლებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

2018 წლის ოქტომბრის შემდეგ, მონტროს მუნიციპალიტეტში, ვოდის კანტონის *Service des Prestations Complémentaires*-თან თანამშრომლობით, მოქმედებს კოლექტიური და ანონიმური ცხელი ხაზი. იგი განკუთვნილია *Riviera-Pays-d'Enhaut*-ის ოლქის მცხოვრებთათვის, რომელთაც სურთ ინფორმაციის მიღება მიგრაციის საკითხებზე. ცხელი ხაზით სარგებლობა შეუძლიათ როგორც შვეიცარიელებს, ისე უცხოელებს. ამ ოფისებს სხვადასხვა ამოცანა აქვთ, კერძოდ: ისეთი ადგილის შექმნა, სადაც ადამიანები კომფორტულად იგრძნობენ თავს, მათ მოუსმენენ და მისცემენ რჩევას; ადამიანთა ინფორმირება ინტეგრაციასთან დაკავშირებულ შეთავაზებებსა და ამ კუთხით

გადადგმულ ნაბიჯებზე; ინფორმაციის მიწოდება სოციალურ დაზღვევასა და უცხოელთა უფლებებზე; დახმარება ადმინისტრირებასთან დაკავშირებული რთული საკითხებისა და მიღებული ოფიციალური წერილების გააზრებაში; საჭიროებისას, მათთვის მხარდაჭერის შეთავაზება ადმინისტრაციულ პროცედურებში.

ბ-ნი კარიმ ბუკაფი
ტელეფონი: +41/(0)791991815
ელფოსტა: karim.boukhaf@montreux.ch
https://bit.ly/33FDCDO

საზოგადოებასთან ინტეგრაციის გეგმა და გაცვლისა და მხარდაჭერის ჯგუფი, ლუქსემბურგის მუნიციპალიტეტები, ლუქსემბურგი

მოსახლეობა: 25 984

ლუქსემბურგის მუნიციპალიტეტთა სოციალური ინტეგრაციის პოლიტიკა ორ მიმართულებას აერთიანებს: თემის ინტეგრაციის გეგმა (PCI: Plan Communal d'Intégration) და გაცვლისა და მხარდაჭერის ჯგუფი - GRESIL (GRoupe d'Echange et de Soutien en matière d'Intégration au niveau Local), რომელიც მუნიციპალიტეტებს ეხმარება ახალი PCI-ის მიღებაში.

თემის ინტეგრაციის გეგმა (**PCI**) არის ინსტრუმენტი, რომლითაც მუნიციპალიტეტები შეიმუშავებენ სტრატეგიული ინტეგრაციის მდგრად, ყოვლისმომცველ და მეთოდურ პოლიტიკას, მაქსიმალურად ბევრი ადგილობრივი აქტორის ჩართულობით. სახელმძღვანელო PIC-ის შექმნის შესახებ მომზადდა ინტეგრაციის დეპარტამენტსა (ოჯახის, ინტეგრაციისა და ფართო რეგიონის სამინისტრო) და SYVICOL-ს (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელი ასოციაცია ლუქსემბურგში) შორის თანამშრომლობით. დასრულებული ინტეგრაციის გეგმები ხელმისაწვდომია ლუქსემბურგისა[75] და ეშ-სურ-ალზეტისთვის.[76]

გაცვლისა და მხარდაჭერის ჯგუფი (GRESIL) შეიქმნა ადგილობრივ დონეზე ინტეგრაციის მეორე ეროვნული კონფერენციის შედეგად, რომელიც 2017 წელს გაიმართა. კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა ლუქსემბურგის მუნიციპალიტეტთა დიდი ინტერესი და საჭიროებები ინტეგრაციისა და „ერთად ცხოვრების" თემებზე თანამშრომლობის კუთხით. GRESIL-ის შექმნის ინიციატორები არიან SYVICOL, ინტეგრაციის დეპარტამენტი და იმიგრანტ

მუშაკთა მხარდაჭერის ასოციაცია (*Association de Soutien aux Travailleurs Immigrés*).

GRESIL მუნიციპალიტეტებს პლატფორმას სთავაზობს ისეთი აქტივობებისთვის, როგორიცაა ადგილობრივ დონეზე შეხვედრების გამართვა, იდეების გაცვლა, სინერგიების შექმნა, ინფორმაციის გაზიარება და ტრენინგისა და მხარდაჭერის მიღება. GRESIL-ის მეშვეობით, ადგილობრივი საბჭოები ერთმანეთს ეხმარებიან და უზიარებენ ცოდნას. ზოგიერთი საბჭოს აზრით, სახელმძღვანელო საკმაოდ რთული და თეორიულია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება PCI-ის შექმნას. შესაბამისად, GRESIL-ის პირველი რამდენიმე შეხვედრა, რომლებიც, ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ იმართება, დაეთმო სახელმძღვანელოს განხილვას და საბჭოების დახმარებას პირველი PCI-ის მომზადებაში. ამ სესიებზე წარმოდგენილ კარგ პრაქტიკასა და იდეებს ორგანიზატორები აგროვებენ და შემდეგ აქვეყნებენ, რათა ლუქსემბურგის ადგილობრივმა საბჭოებმა ისარგებლონ ერთმანეთის გამოცდილებით, მაშინაც კი, თუ ვერ შეძლებენ შესაბამის შეხვედრაზე დასწრებას.

და ბოლოს, GRESIL-ის ორგანიზატორები გამოსცემენ წიგნს (*carnet d'accueil*), რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეიცავს ადგილობრივი საბჭოების მიერ მომზადებულ მისასალმებელ ბროშურებს. ეს ბროშურები ლუქსემბურგის ახალ მცხოვრებთ უადვილებენ ახალ ქალაქში გადასვლის პროცესს.[77]

ქ-ნი ვანესა შმიტი
ლუქსემბურგის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების ასოციაცია
ტელეფონი: +352/(0)44365821
ელფოსტა: vanessa.schmit@syvicol.lu
https://www.syvicol.lu/fr/dossiers-thematiques/integration

ნაწილი III **რეკომენდაციები**

- **გაძლიერდნენ** მოქალაქეები და გათვალისწინებული იქნეს ყველას ხმა, ხანდაზმულების, ბავშვების, ახალგაზრდების, შშმ პირებისა და ყველა მარგინალიზებული ჯგუფის ჩათვლით;
- **მხარი დაეჭიროს** კულტურათაშორის კომუნიკაციას და გაძლიერდეს თემში არსებული სხვადასხვა ჯგუფის მოსაზრებათა მოსმენა, რათა ისინი გახდნენ ქალაქის აქტიური წევრები და სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით;
- **პასუხი გაეცეს** ოჯახში ან ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის მზარდ შემთხვევებს; ისაუბრონ და მიიღონ ზომები გენდერული თანასწორობის დასაცავად, უსაფრთხო თავშესაფრებისა და პლატფორმების შეთავაზებით, სადაც ძალადობის მსხვერპლნი და შესაბამისი საჭიროების მქონე პირები თავს დაცულად იგრძნობენ და დახმარებას მიიღებენ;
- **მიიღონ მედიაციის** ზომები მოქალაქეთა შორის კონფლიქტების გადასაჭრელად;
- **გამოიყენონ ტექნოლოგიები მოწყვლად პირთა გასაძლიერებლად:** კერძოდ, სმარტფონები ხანდაზმულებისთვის და დისტანციური სწავლების ინსტრუმენტები - მარგინალიზებული პირებისთვის, სოციალურ მედიასთან ერთად, რათა თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს შესაბამისი ინფორმაციის მიღება.

გამოყენებული წყაროები და დამატებითი საკითხავი

- Cities' pledges to the European Pillar of Social Rights (*Eurocities*-ის ინიციატივა დაიწყო 2019 წელს).
- ევროპის საბჭო, European Social Cohesion Platform, Compilation of good practices and innovative approaches by theme, PECS (2017)3revbis, ნოემბერი, 2017.
- ევროპის საბჭო, New version of the Digest of the case law of the European Committee of Social Rights, https://www.coe.int/en/web/european-social-charter/-/new-version-of-the-digest-of-the-case-law-of-the-european-committee-of-social-rights
- ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტი (CDDH), https:// www.coe.int/en/web/human-rights-intergovernmental-cooperation/human- rights-development-cddh/social-rights-in-europe
- *Eurocities*-ის ვებგვერდი, http://www.eurocities.eu/
- *Eurocities,* European Pillar of Social Rights-Cities delivering social rights: Equal opportunities and access to the labour market in cities in Europe (2018).
- *Eurocities:* Live updates COVID-19, European cities respond to the coronavirus crisis https://covidnews.eurocities.eu/
- ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი.
- ევროპის სოციალურ უფლებათა სვეტი.
- ევროპის სოციალური ქარტია.
- Frontier Cities: The Rise of Local Authorities as an Opportunity for International Human Rights Law? (article), Barbara Oomen & Moritz Baumgärtel (2018)
- Focusing on Human Rights at Local and Regional Level, Simone Philipp & Klaus Starl (2017)
- Improving the protection of social rights in Europe, Volume I: analysis of the legal framework of the Council of Europe for the protection of social rights in Europe adopted by the CDDH at its 89th meeting (19–22 June 2018)

- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) – Society at a Glance reports.
- Reducing Early School Leaving in Europe – Policies on Early School Leaving in nine European countries: a comparative analysis, May 2014.
- Social Rights in Europe (book), Gráinne de Búrca & Bruno de Witte (2005).
- Social Rights in Europe in an age of austerity (book), Stefano Civitarese Matteucci & Simon Halliday (2018).
- The role of local authorities in promoting decent work (working paper for the ILO), Jeroen Klink (2006).
- The role of local government in the promotion and protection of human rights – Final report of the Human Rights Council Advisory Committee (2015).
- The State of European Cities 2016, report published as a European Commission Staff Working Document with the agreement of the United Nations Human Settlements Programme (UN-Habitat), https://ec.europa.eu/regional_policy/sources/policy/themes/cities-report/state_eu_cities2016_en.pdf
- მსოფლიო ბანკი: Social Inclusion https://www.worldbank.org/en/topic/social-inclusion
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები.
- What role do cities play in social inclusion and welfare policies? (Policy brief for Eurocities), Paul Jeffrey (2017).
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, Health, prosperous lives for all: the European Health Equity Status Report (2019), https://www.euro.who.int/en/publications/abstracts/health-equity-status-report-2019.
- UN HABITAT, Local governments are in the frontline of coronavirus response, https://unhabitat.org/opinion-local-governments-are-in-the-frontline-of-coronavirus-response

შენიშვნები

1 https://www.coe.int/en/web/congress/overview

2 https://www.coe.int/en/web/compass/the-evolution-of-human-rights

3 https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx

4 https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/cescr.aspx

5 https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=basictexts&c

6 https://www.coe.int/en/web/european-social-charter

7 გვ. 19: https://rm.coe.int/improving-the-protection-of-social-rights-in-europe-volume-i-en/168097adf1

8 Congress Report Social rights of young people: the role of local and regional authorities (CG36(2109)12final)

9 "The State of European Cities 2016" https://ec.europa.eu/regional_policy/sources/policy/themes/ cities-report/state_eu_cities2016_en.pdf

10 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/Cities_and_Social_Welfare_FINAL.pdf

11 https://unhabitat.org/opinion-local-governments-are-in-the-frontline-of-coronavirus-response

12 http://www.euro.who.int/en/publications/abstracts/health-equity-status-report-2019

13 იხ. Airey v Ireland: ECHR 9 Oct 1979. References: 6289/73, Series A no 32, (1979)

14 https://www.coe.int/en/web/european-social-charter

15 (გადახედილი) ქარტიის მოქმედება, რომელიც შეიცავს სოციალურ უფლებათა კომპლექსურ კატალოგს, შეზღუდულია დებულებათა აღიარების *à la carte* სისტემით, ასევე, ფაქტით, რომ ეს ქარტია შესასრულებლად სავალდებულოა ევროპის საბჭოს 47-დან 43 წევრისთვის (აქედან, 9 სახელმწიფოსთვის სავალდებულოა მხოლოდ 1961 წლის ქარტია, ხოლო

დანარჩენი 34-სთვის - 1996 წლის გადახედილი ქარტია). 1995 წელს მიღებული დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, სავალდებულოა ევროპის საბჭოს მხოლოდ 15 წევრი სახელმწიფოსთვის.

16 https://www.coe.int/en/web/human-rights-intergovernmental-cooperation/human-rights- development-cddh/social-rights-in-europe

17 https://ec.europa.eu/commission/sites/beta-political/files/social-summit-european-pillar-social- rights-booklet_en.pdf

18 შეგახსენებთ, რომ ევროკავშირში 27 წევრი სახელმწიფოა, ხოლო ევროპის საბჭოში - 47.

19 გვ. 116: https://rm.coe.int/improving-the-protection-of-social-rights-in-europe-volume-ii-en/168097adf3

20 https://eurocities.eu/latest/join-eurocities-initiative-inclusive-cities-for-all-social-rights-in-my-city/

21 https://www.ohchr.org/Documents/Publications/FactSheet33en.pdf

22 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც 37 სახელმწიფოს აერთიანებს (OECD). ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალური ოფისი მდებარეობს პარიზში (საფრანგეთი). მისი მიზანია ისეთი საჯარო პოლიტიკის ხელშეწყობა, რომელიც მხარს უჭერს საყოველთაო განვითარებას, თანასწორ შესაძლებლობებსა და კეთილდღეობას.

23 https://www.oecd.org/els/soc/OECD-SocietyAtAGlance2014-ExecutiveSummary.pdf

24 გვ. 21 https://rm.coe.int/improving-the-protection-of-social-rights-in-europe-volume-i- en/168097adf1

25 https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Population_structure_and_ageing

26 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/353-green-web_final.pdf

27 https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Population_structure_and_ageing#Slightly_more_than_three_persons_of_working_age_for_every_person_aged_65_or_over

28 https://sites.google.com/view/stay-tuned-report/partners/ghent

29 https://www.leics-als.ac.uk/mod/forum/discuss.php?d=6644&fbclid=IwAR05c4g23SfvAHOqf3nJLzSXPmPmy3dR_iTaYkVEwaf0IiAN8M8ePNnuzk8

30 https://www.leics-als.ac.uk/course/view.php?id=494

31 https://reykjavik.is/sites/default/files/ymis_skjol/skjol_utgefid_efni/roots_and_wings_ens_web_2018_0.pdf

33 https://www.oecd-ilibrary.org/sites/c665889e-en/index.html?itemId=/content/component/ c665889e-en

32 https://www.uantwerpen.be/images/uantwerpen/container23160/files/RESL%20Publication%201. pdf

34 https://ec.europa.eu/eurostat/web/european-pillar-of-social-rights/indicators/social-scoreboard- indicators

35 https://www.investeriga.lv/en/start-up-support/

36 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/353-green-web_final.pdf

37 European Social Cohesion Platform, Compilation of good practices and innovativeapproaches by theme, PECS(2017)3revbis, November 2017, გვ.გვ. 58-60; https://ec.europa.eu/social/ BlobServlet?docId=22341&langId=en

38 European Social Cohesion Platform, Compilation of good practices and innovative approaches by theme, PECS(2017)3revbis, November 2017, გვ. 33.

39 European Social Cohesion Platform, Compilation of good practices and innovative approaches by theme, PECS(2017)3revbis, November 2017, გვ.გვ. 86-88.

40 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/Cities%20in%20action_commonwealth_ apprenticeship_initiative_glasgow.pdf

41 https://www.tampere.fi/en/city-of-tampere/info/current-issues/2019/03/13032019_1.html

42 https://eurocities.eu/latest/unleash-innovative-thinking-to-address-long-term-unemployment-city-

guidelines-based-on-lessons-learnt-from-local-practices/

43 https://eurocities.eu/latest/unleash-innovative-thinking-to-address-long-term-unemployment-city- guidelines-based-on-lessons-learnt-from-local-practices/

44 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/Dublin%20-%20Senior%20Enterprise%20-%20for%20 website.pdf

45 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/Stockholm%20-%20Project%20Filur.pdf

46 https://www.un.org/sustainabledevelopment/cities/

47 Municipal Declaration of Local Governments for the Right to Housing and the Right to the City:https://citiesforhousing.org/

48 https://www.uclg.org/en/media/news/right-housing-and-right-city-cities-across-world-come- together-launch-common-message

49 http://wsdomino.eurocities.eu/eurocities/news/Highlights-from-preventing-evictions-and- homelessness-study-visit-in-Vienna-WSPO-B84LAE

50 https://www.local.gov.uk/our-support/coronavirus-information-councils/covid-19-good-council- practice

51 https://twitter.com/SoTCityCouncil/status/1257360052027117569

52 https://ec.europa.eu/migrant-integration/news/portuguese-municipality-prepares-500-quarantine- places-for-foreign-agricultural-workers

53 https://www.publico.pt/2020/03/17/sociedade/noticia/coronavirus-odemira-500-lugares- quarentena-imigrantes-1908173

54 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/2019_CitiesAction_Strasbourg.pdf

55 http://nws.eurocities.eu/MediaShell/media/2019_CitiesAction_Bristol.pdf

56 https://www.who.int/about/who-we-are/constitution

57 https://www.coe.int/en/web/commissioner/-/learning-from-the-pandemic-to-better-fulfil-the-right-to-health

58 https://www.mhfi.org/menshealthpolicy.pdf

59 http://www.patt.gov.gr/site/attachments/entipo.pdf?fbclid=IwAR2eki7VRLOddNdxbSQn5-fpMjeTAf8ANbWaDGzZtJwpNfrMd3VIcDRqkyU

60 https://aitimata.kedke.gr/

61 https://www.romania-insider.com/coronavirus-mobile-hospital-ias

62 https://www.oecd-ilibrary.org/sites/c665889e-en/index.html?itemId=/content/component/c665889e-en

63 https://ajuntament.barcelona.cat/dretssocials/sites/default/files/arxius-documents/results_ bmincome_eng.pdf

64 https://www.local.gov.uk/sites/default/files/documents/Food%20Scheme%20Poster%20Public%20 Use.pdf

65 https://www.local.gov.uk/sites/default/files/documents/Briefing Note on impact of UC and rise in food provision_.pdf

66 https://ld.riga.lv/files/Bukleti/ENG_for%20students.pdf

67 https://makeroomeu.com/

68 https://likumi.lv/ta/id/313730-par-valsts-instituciju-darbibu-arkartejas-situacijas-laika-saistiba-ar-covid-19-izplatibu

69 http://cohesionsociale.wallonie.be/actions/PCS

70 https://www.worldbank.org/en/topic/social-inclusion

71 https://www.kommunen.nrw/presse/pressemitteilungen/detail/dokument/nationaler-integrationspreis-an-die-stadt-altena.html

72 https://www.turnhout.be/villa-mescolanza-7

73 https://www.youtube.com/playlist?list=PLJIsMkm2R69hVEOMz2AwhOnhfZ8faScYu

74 https://www.ombudsmanmetropool.nl/Nieuws-Publicaties/article/1282/Kinderrechtenscan-2020

75 https://www.vdl.lu/en/city/projects-and-commitments/social-action/municipal-integration-plan

76 https://administration.esch.lu/plan-communal-integration-2/

77 https://integratioun.lu/project/carnet-daccueil/

ჯანმრთელობა - განათლება - შრომა - საცხოვრისი - სოციალური უზრუნველყოფა - სოციალური დაცვა, ინკლუზია და ინტეგრაცია

მრავალი წელია, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვას ადგილობრივ და რეგიონულ არჩეულ წარმომადგენლებს შორის, განსაკუთრებით, იმ ვიზიტების ფარგლებში, რომლითაც კონგრესი მონიტორინგს უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესრულებას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს წევრ 46 სახელმწიფოში.

ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოების სერიაც ამ პროცესის ნაწილია და მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას აღნიშნულ უფლებებზე, ასევე, მათ ხელშეწყობას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. მისი ამოცანაა, გახდეს შთაგონების წყარო თითოეული არჩეული წარმომადგენლისთვის ისეთი პროექტების შესაქმნელად, რომლებიც გაუაუმჯობესებს ამმრჩეველთა ყოველდღიურ ცხოვრებას და წვლილს შეიტანს ადამიანის უფლებათა რეალობად ქცევაში. შესაბამისად, ეს სერია მომზადდა როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, რომელიც გამოყოფს ადამიანის უფლებათა განხორციელების კონკრეტულ მაგალითებს ევროპულ ქალაქებსა თუ რეგიონებში. გამოცდილების გაზიარების მიზნით, სახელმძღვანელოში განხილულია ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა ინიციატივები და მითითებულია თითოეული ინიციატივის ხელმძღვანელ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია.

ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოს II ნაწილი ეძღვნება სოციალურ უფლებებს და განიხილავს საკითხებს, რომლებიც შეეხება ჯანდაცვას, განათლებას, შრომას, საცხოვრისით უზრუნველყოფას, სოციალურ დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას, სოციალურ ინკლუზიასა და ინტეგრაციას. ასევე, კრებულში წარმოდგენილია კარგი პრაქტიკის მაგალითები COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში. ეს თემები გაშუქებულია, დაახლოებით, 65 პროექტის ან პროგრამის მაგალითზე, რომლებიც შემუშავდა ევროპის საბჭოს წევრ 27 სახელმწიფოში. მათ თან ახლავს რეკომენდაციებიც, რომლებიც ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს დაეხმარება, პრობლემის გადაჭრის გზები მოარგონ მოქალაქეთა საჭიროებებს.

სახელმძღვანელოს I ნაწილი 2018 წელს გამოქვეყნდა და ეძღვნება დისკრიმინაციის აკრძალვას ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების, იძულებით გადაადგილებული პირების, ბოშების, მომთაბარეებისა და ლგბტი პირების მიმართ.

www.coe.int/congress-human-rights

congress.monitoring@coe.int

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა ევროპის კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განმტკიცებაზე 46 წევრ სახელმწიფოში. მასში შედის ორი პალატა - ადგილობრივი თვითმმართველობის პალატა და რეგიონების პალატა - და სამი კომიტეტი, რომლებიც აერთიანებს ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების 130 000-ზე მეტი ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ პირს.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE